საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და

სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი

ნინო ჩიკვილაძე

მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა 08.00.10 დემოგრაფია

მეცნიერ - ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

ელგუჯა მენაბდიშვილი

2006 წელი

სარჩევი

შესავალი.

პირველი თავი: კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები.

§1 რელიგიის ფუნქციები და მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა საქართველოში.

§2 რელიგიურობის კვლევის გამოცდილება საზღვარგარეთ

§3 რელიგიურობის კვლევის გამოცდილება საქართველოში.

§4 დემოგრაფიული ვითარება საქართველოში.

§5 მართლმადიდებლური სარწმუნოება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

მეორე თავი: ოჯახის ადგილი მართლმადიდებელ მორწმუნეთა ფასეულობით ორიენტაციებში.

§1 მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური შემადგენლობა.

§2 მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება ქორწინებისა და ოჯახისადმი.

§3 მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება განქორწინებისა და ხელახალი ქორწინებისადმი.

§4 მართლმადიდებელ მორწმუნეთა შვილიანობა ოჯახის დაგეგმვა.

§5 მართლმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციული განწყობა და რეპროდუქციული ქცევა.

§6 მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარებისადმი.

დასკვნები.

ლიტერატურის სია.

დანართი: (კითხვარი).

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველო დემოგრაფიული კრიზისის სტადიაში შევიდა. რაც გამოიხატა შობადობის დონის მკვეთრ დაცემაში, მოკვდაობის დონის ზრდასა და, შესაბამისად, ბუნებრივი მატების მინიმუმამდე შემცირებაში. მას ემატება მოსახლეობის

მნიშვნელოვანი ნაწილის მიგრაცია და ქორწინების დონის შემცირება. 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობა მომდევნო რვა წლის განმავლობაში 363,7 ათასი ადამიანით, ანუ 6,7%-ით შემცირდა. რაც საქართველოსთვის ძალიან დიდი რიცხვია.

დემოგრაფიულ პროცესებზე გავლენას ახდენენ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა პროცესები. გავლენა ცალმხრივი არაა. თავად დემოგრაფიული პროცესებიც უკუგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ პროცესებზე. შობადობის დონის შემცირება იწვევს პენსიონერთა პროცენტული წილის ზრდას. რაც აისახება არა მხოლოდ შრომისა და სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობაზე, არამედ საზოგადოების სოციალურ და კულტურულ უწყვეტობაზეც. აღნიშნული, ბუნბრივია, დემოგრაფიულ პროცესებს ნებისმიერი საზოგადოების მუდმივი ზრუნვა-ყურადღების საგნად ხდის. დემოგრაფიული პროცესები, რომელიც საქართველოშია, ქართველი ერის აღწარმოების პოტენციალს საფრთხის წინაშე აყენებს. ვითარების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია არა მხოლოდ ხელისუფლებისა და მეცნიერთა, არამედ მთელი საზოგადოების სათანადო ძალისხმევა. სოციო-დემოგრაფიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის თვით ყველაზე მატერიალურად უზრუნველყოფილი ფენის _ მეწარმეთა რეპროდუქციული ქცევა და ორიენტაციები ვერ უზრუნველყოფს ვერც თავად მეწარმეთა და ვერც საქართველოს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. სტუდენტი ახალგაზრდების დემოგრაფიული ორიენტაციების შესწავლამ, აგრეთვე, აჩვენა, რომ მათი აღწარმოების პროცესში მონაწილეობის შედეგადაც არაა მოსალოდნელი უკეთესი ვითარების შექმნა. აქტუალური გახდა იმ სოციალური ჯგუფების გამოვლენა, რომელთა რეპროდუქციული ქცევა და ორიენტაციები ხელსაყრელ პირობებს შექმნის თუ გაფართოებული არა, მარტივი აღწარმოებისათვის მაინც. ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 83,9% მართლმადიდებელია, აქტუალურს ხდის მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობების, განქორწინებებისადმი დამოკიდებულებისა და რეპროდუქციული ორიენტაციების კანონზომიერებათა გამოვლენას. რადგან მორწმუნე საკუთარ ქცევასა და მოქმედებას ღვთის მიერ დადგენილ იდეალებს, ზნეობრივ მოთხოვნებსა და წესებს უფარდებს, მოსალოდნელია რომ მართლმადიდებელი თავისი ქცევით ხელს უწყობდეს ქართული გენოფონდის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

პრობლემის მეცნიერული დამუშავების მდგომარეობა. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული პროცესების კვლევას მრავალი წიგნი, სტატია, სამეცნიერო

კონფერენცია, სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა. დემოგრაფიული პროცესები შეისწავლეს: ლ. ჩიქავამ, მ. ხმალაძემ, მ. ბექაიამ, მ. ტუხაშვილმა, ვ. ლორთქიფანიძემ, ე. მენაბდიშვილმა, ა. სულაბერიძემ. გ. წულაძემ, თ. ზუბიაშვილმა, გ. მელაძემ, გ. ფირცხალავამ, ზ. გოქაძემ, ე. გაჩეჩილაძემ, ზ. ცხოვრებაძემ, ნ. მენაბდიშვილმა, ლ. მენაბდიშვილმა, თ. ღამბაშიძემ, და სხვებმა.

დემოგრაფიული პროცესები აღნიშნულ მეცნიერთა მიერ შესწავლილია ეთნიკურ, ტერიტორიულ, ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფებში. აქამდე მათი ყურადღების ცენტრში არ მოხვედრილა მართლმადიდებელ მორწმუნეთა დემოგრაფიული ორიენტაციები. ეს ალბათ იმითაცაა განპირობებული, რომ აღმსარებლობის პრობლემას, გასული საუკუნის ბოლომდე, სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. 70-წლიანი ათეიზმის ბატონობამ საბჭოთა კავშირისა და მათ შორის საქართველოს მეცნიერთა შემეცნებითი ინტერესების გარეთ დატოვა აღმსარებლობის სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული და სხვა პრობლემები.

რელიგიურობა ყოფილ საბჭოთა კავშირის დემოგრაფებისა და სოციალურ მეცნიერთა მიერ განიხილებოდა როგორც ფაქტორი, რომელიც ქრისტიანულ და მაჰმადიანურ აღმსარებლობის ხალხებში იწვევს განსხვავებული ინტენსივობის დემოგრაფიულ პროცესებს. აღნიშნავდნენ შობადობისა და მრავალშვილიანობის, აგრეთვე, ქორწინების ასაკის განსხვავებულ დონეს მაჰმადიან და მართლმადიდებელ ხალხებში. ამავე ფაქტორით ხდებოდა ერთი და იმავე ხალხის განსხვავებული აღმსარებლობის ჯგუფებს შორის შობადობისა და მრავალშვილიანობის დიფერენციაციის ახსნაც. ხოლო ერთი და იმავე აღმსარებლობის ხალხებში განსხვავებული ინტენსივობის დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების კვლევა დარჩენილი იყო მეცნიერული შემეცნების გარეშე. ერთი სიტყვით, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ერთი ეთნიკური და აღმსარებლობის ხალხის რელიგიურობის ხარისხის გავლენას დემოგრაფიულ პროცესებზე. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ არა მხოლოდ აღმსარებლობისადმი კუთვნილება, არამედ აღმსარებლობის იდეალების, ფასეულობების, წესებისა და ნორმებისადმი ერთგულებაც განაპირობებს ადამიანთა ცხოვრების წესს. მეცნიერ ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ მორწმუნეებში გამოიყოფა რელიგიურობის ორი ტიპი. ისინი განსხვავდებიან თავიანთი დამოკიდებულებებითა და ორიენტაციებით. ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა დემოგრაფიული ორიენტაციების

შესწავლის აქტუალობამ და მისდამი მიძღვნილი სათანადო მეცნიერული გამოკვლევის არარსებობამ განაპირობა ამ საკითხზე დემოსოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება და ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის შექმნა.

გამოკვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია მართლმადიდებელ მორწმუნეთა დემოგრფიული ქცევისა და რეპროდუქციული ორიენტაციების კანონზომიერებათა შესწავლით დაადგინოს მათი მონაწილეობის ხასიათი ქართველების თაობათა განახლების პროცესში.

დასახული მიზნის შესაბამისად ნაშრომში დასმულია შემდეგი ამოცანები:

_ ოჯახის, როგორც დემოგრაფიული ფასეულობისადმი მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულებების დადგენა;

_ მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის რეპროდუქციული ქცევისა და რეპროდუქციული ორიენტაციების თავისებურებების დადგენა;

_ მართლმადიდებელ მორწმუნეთა შვილიანობის ტიპების გარკვევა;

_ ქორწინებისა და ოჯახისადმი მორწმუნეთა დამოკიდებულებების გარკვევა. ამ მიზნით:

ა) ქორწინებითი პარტნიორის არჩევის საფუძვლის დადგენა;

ბ) ცოლ-ქმრული ერთგულების დაცვის მოთხოვნილების გარკვევა;

გ)განქორწინებისა და ხელახალი ქორწინებისადმი დამოკიდებულებების დადგენა;

დ)სხვა ეროვნებისა და აღმსარევლობის წარმომადგენლებთან ქორწინებისადმი დამოკიდებულებების გარკვევა;

ე) ოჯახში ბავშვთაშობის დაგეგმვისადმი დამოკიდებულების დადგენა;

_ საქართველოს დემოგრაფიული ვითარებისადმი მართლმადიდებელ მორწმუნეთა პოზიციის გარკვევა:

ა) მორწმუნეთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასებით;

ბ) დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესით;

გ) დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების გზების დასახვით;

გამოკვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველსა და საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმა, მოციქულთა და თეოლოგთა შრომები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები და სხვა სპეციალური ლიტერატურა, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის

შედეგები. ძირითადი ინფორმაციული ბაზაა ჩვენს მიერ 2004 წელს ჩატარებული დემოსოციოლოგიური გამოკვლევით მოპოვებული მასალები.

გამოკვლევის მეცნიერული სიახლე: საკვალიფიკაციო თემის ძირითადი სიახლეა ის, რომ დემოსოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე პირველად გაირკვა ქართველი მართლმადიდებელი მორწმუნეების დემოგრაფიული ორიენტაციები. ჩვენს მიერ შემუშავებული კითხვარით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა:

1. მორწმუნეთა რეპროდუქციული ქცევის და რეპროდუქციული განწყობების თავისებურებები;
2. მორწმუნეებში საშუალოშვილიანობისა და მრავალშვილიანობის გავრცელების თავისებურება;
3. მორწმუნეების დამოკიდებებულების თავისებურება ოჯახის დაგეგმვისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებისადმი;
4. მორწმუნის დამოკიდებულების თავისებურება ოჯახის, როგორც ფასეულობისა და სიყვარულის როგორც ქორწინების საფუძვლის მიმართ;
5. ცოლ-ქმრული ერთგულებისადმი მორწუნეთა დამოკიდებულების თავისებურება;
6. განქორწინებისა და ხელახალი ქორწინებისადმი მორწმუნეთა დამოკიდებულების თავისებურება;
7. მორწმუნეთა დამოკიდებულება სხვა აღმსარებლობისა და ეროვნებების წარმომადგენლებთან ქორწინებისადმი;
8. მორწმუნეთა პოზიცია საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესის, შეფასებისა და გაუმჯობესებების გზების მიხედვით.

მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ ეს არის მორწმუნეთა დემოგრაფიული ორიენტაციების გარკვევის პირველი მცდელობა. ამიტომ კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დემოგრაფიის, ისე ოჯახის სოციოლოგიის რიგი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის დროს. მიღებული შედეგები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული განვითაების ეფექტური ღონისძიებების შემუშავებისა და გატარებისათვის.

ნაშრომის აპრობაცია. კვლევის შედეგები განხილულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის

თაოსნობით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე, აგრეთვე მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე: “ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი”, რომელიც ჩატარდა 2005 წლის 24-26 ნოემბერს ქ. თბილისში.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 152 გვერდს. მათ შორის ტექსტი 129 გვერდია. იგი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნებისაგან. ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც შედგება 58 დასახელებისაგან და დანართი. დანართში წარმოდგენილია კითხვარი, რომლითაც ჩატარდა დემოსოციოლოგიური გამოკვლევა და მონაცემთა ცხრილები.

პირველი თავი

კვლევის თეორიულ_მეთოდოლოგიური საკითხები

§1 რელიგიის ფუნქციები, მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა საქართველოში

მკვლევართა ნაწილის აზრით, ლათინური სიტყვა “რელიგია” თავდაპირველად აღნიშნავდა ზეადამიანურ ძალას, რომელიც ადამიანებისაგან მოითხოვს გარკვეული წესით მოქცევას. ამ მოთხოვნას ადამიანები ასრულებდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ ამ ძალებისაგან მოსალოდნელი უბედურება. სხვა მკვლევარები კი თვლიან, რომ რელიგია აღნიშნავს გრძნობას, რომელიც ადამიანს გააჩნია და რომლითაც აკვირდება ზებუნებრივ ძალებს. იგი ამ გრძნობითაა მთლიანად მოცული და იმეცნებს მას. ამ თვალსაზრისის დამცველის სმიტის აზრით, ეს ტერმინი აღნიშნავს იმას, “რაც ადამიანის ნებას გარედან წარმართავს, ან განაცდევინებს ძლიერ ემოციას, ან აკეთებინებს კონკრეტულ რამეს და საპასუხოდ ჰპირდება დასჯას, ან წყალობას საკუთარ სოციუმში”[1]. მოგვიანებით რელიგიამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და იდეების სისტემის აღმნიშვნელ ზოგად ცნებად იქცა. იგი აერთიანებს რწმენის ყველა სისტემას, ან აღიარებს მათ არსებობას.

რელიგია, სოციოლოგიური განსაზღვრებით არის მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება, აგრეთვე კულტთან დაკავშირებული შესაფერისი ქცევებისა და

[1]მ. ჩიტაშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული გამოკვლევები , თბილისი 1998., გვ. 32.

სპეციფიკური მოქმედებების სისტემა, რომელიც ეფუძნება რწმენას ღმერთის ან ღმერთების, ან სიწმინდის არსებობის შესახებ, იგი აღიარებს ისეთ საწყისს, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანური გაგების მიღმა დევს. რელიგიის მთავარი ნიშანი არის ზებუნებრივის რწმენა, დამოკიდებულება, რომელიც აერთიანებს ადამიანს ღმერთთან [2].

რელიგია რთული და მრავალმხრივი ფენომენია. ის მრავალი მეცნიერების შემეცნების საგანია. მას იკვლევს თეოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია და სხვა მეცნიერებები.

რელიგიურობის პრობლემის იმ ასპექტებს, რომლებიც სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის ინტერესს წარმოადგენს ევროპისა და ამერიკის სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. რელიგიის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების დაფუძნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს გრინვილ სტენლი ჰოლს. მის სახელთანაა დაკავშირებული პირველად კითხვარის როგორც მეცნიერული მეთოდის გამოყენება და მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. ეს კი რელიგიის ფსიქოლოგიაში ერთ_ერთ ცენტრალურ და ძირითად მეთოდად ითვლება[3]. რელიგიურობის ფსიქოლოგიაში გამოყენებული მეთოდების მიხედვით გამოყოფენ კვლევების სამ ჯგუფს: ემპირიულ კვლევებს, რომელიც სწავლობს თვითდაკვირვებითა და თვითანგარიშებით მოწოდებულ მორწმუნეთა რელიგიურ გამოცდილებებს; კორელაციურ კვლევებს, ე.ი. ემპირიულ კვლევებს, რომელიც სწავლობს მორწმუნეების სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს და ექსპერიმენტულ კვლევებს, რომელიც სწავლობს რელიგიური გამოცდილების თავისებურებებს ლაბორატორიულ პირობებში. ამ სამი ჯგუფიდან ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად ნაკადს წარმოადგენს კორელაციური კვლევები.

მასალის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით კორელაციურ ემპირიულ კვლევებს სამ ჯგუფად ჰყოფენ: კოგნიტურ, ბიჰევიორალურ და ფსიქოდინამიკურად. "კოგნიტური ტიპის კვლევებისათვის დამახასიათებელია იმ კოგნიციების შესწავლა, რომელიც მორწმუნეს გაჩნია. ეს შეიძლება იყოს დამოკიდებულებების სისტემები, ღირებულებები, პიროვნული მახასიათებლები და ა. შ. ბიჰევიორალური ტიპის კვლევებისათვის დამახასიათებელია იმ კანონზომიერებების კვლევა, რომელიც

---

[2] СЭС, Стр. 117.

[3] მ. ჩიტაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 43-45.

არსებობს რელიგიური ქცევის სიხშირესა და სხვა სოციალურ ცვლადებს შორის. მაგალითად, ეკლესიაში სიარულის სიხშირე და ეთნოცენტრიზმი, კრიმინალური ქმედებების სიხშირე და ა. შ. ფსიქოდინამიკური კვლევებისათვის დამახასიათებელია პიროვნული სტრუქტურის იმ კანონზომიერებების კვლევა, რომელიც მორწმუნეს ჰქონდა ბავშვობაში და ემოციურ_მოტივაციური სფეროს თავისებურებანი, რომელიც მას ამჟამად, როგორც პიროვნებას, ახასიათებს, აგრეთვე ის გავლენა, რაც მის ბავშვობისდროინდელ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მშობლებთან ურთიერთობასა და მის თავისებურებებს აქვთ მის ამჟამინდელ მორწმუნედ ყოფნასთან" [4]. აღნიშნული არ ნიშნავს რომ გამოკვლევები ყოველთვის მკაცრადაა გამიჯნული და ადგილი არ აქვს შერეული ტიპის კვლევებს. ასეთი კვლევები არის და არც შეიძლება რომ არ იყოს.

რელიგიურობის პრობლემების მკვლევარები გვერდს ვერ აუვლიდნენ თვითონ გასარკვევი ფენომენის რაობის საკითხს, იმას თუ რას წარმოადგენს რელიგიურობა. ამ მხრივ ორი ხაზი გამოიყოფა. ერთისათვის რელიგიურობა ადამიანის პიროვნული თვისებაა, რომელიც მას თან დაჰყვება და აუცილებლად იჩენს თავს მეტ_ნაკლები სიძლიერით იმისდა მიხედვით თუ როგორი აქვს სხვა პიროვნული სტრუქტურა (ტემპერამენტის ტიპი, შფოთვის ხარისხი, ინტენცია და ა. შ.). მეორე თვალსაზრისით რელიგიურობა სხვა არფერია თუ არა სოციალიზაციის გზაზე ინტერნალიზებულ ღირებულებათა სისტემა, რაც გამოიხატება პიროვნებების ღირებულებით ორიენტაციაში".[5] ბუნებრივია გამოკვლევები წარმოადგენენ რელიგიურობის შესწავლას პიროვნული მახასიათებლებისა და სოციალური ღირებულებების სახით. იმის მიუხედავად რელიგიურობის ფენომენი როგორაა გააზრებული იგი არსებით მნიშვნელობას არ ახდენს მორწმუნეთა დემოგრაფიული ორიენტაციების გარკვევაზე, უფრო სწორად იმის დადგენაზე თუ როგორ დემოგრაფიულ შედეგებს იძლევა მორწმუნეთა დემოგრაფიული ქცევები და განწყობები საზოგადოებაში, აღწარმოების როგორ რეჟიმს უწყობს ხელს მორწმუნეობა.

რელიგია თავად ფასეულობაა. რელიგიურ რწმენას ადამიანები იღებენ ღრმა მიზეზებით, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების საზრისის ძებნასთან. როგორც

---

[4] მ. ჩიტაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ.119

[5]იქვე გვ. 121.

სოციოლოგი მალინოვსკი მიიჩნევდა, რელიგია წარმოიშობა ჩვენი სიყვარულის და სხვაზე ზრუნვის უნარებიდან, აგრეთვე, სიკვდილის გარდაუვალობის გაცნობიერებიდან. რელიგია არა მხოლოდ აძლევს მოკვდავს ნუგეშისცემას, არამედ ის აძლევს აზრს და სხვა ასპექტებს ადამიანურ ცხოვრებას. [6]

ყოველი რელიგია, მათ შორის ქრისტიანულიც, საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. მას გააჩნია მსოფლმხედველობრივი ფუნქცია _ ცდილობს განსაზღროს ადამიანის ადგილი სამყაროში, მისი ცხოვრების მიზანი, ახსნას სამყარო, გაარკვიოს მისი მახასიათებლები, შეიმუშაოს შეხედულება თვით ადამიანზე, მის ადგილსა და დანიშნულებაზე ამქვეყნად.

ცალკე გამოყოფენ რელიგიის საკომუნიკაციო და მაინტეგრირებელ აგრეთვე, ფსიქოლოგიურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სხვა ფუნქციებს.

რელიგიის ფუნქციებიდან ერთ_ერთი მნიშვნელოვანია სოციალური ფუნქცია, იგი ღრმა დაინტერესებას იჩენს საზოგადოებისა და საზოგადოებრივი პროცესების მიმართ, ადამიანთა ჯგუფობრივი გაერთიანებებისა და მათი ურთიერთობების, სახელმწიფოს, საკუთრების, ომისა და მშვიდობის, სოციალური ცხოვრების მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხებისადმი. რწმენის, რელიგიური გრძნობისა და საკულტო მოქმედებათა საშუალებით რელიგია ქმედით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ადამიანთა გაერთიანებებსა და ცალკეულ ადამიანებზე, ხელს უწყობს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას, ცხოვრების გასაზრისიანებას. კონფესიები, რასაკვირველია, განსხვავდებიან თავიანთი მიზნებითაც და მათი განხორციელების საშუალებებითაც, მაგრამ ყოველი მათგანი ასრულებს გარკვეულ სოციალურ_დანიშნულებით ფუნქციას. სწორედ ამითაც აიხსნება მათი სიცოცხლისუნარიანობა და შთამაგონებელი ძალა.[7]

რელიგიის სოციალური ფუნქცია შეისწავლეს მარქსმა, ემილ დიურკჰეიმმა და მაქს ვებერმა. არც ერთი მათგანი არ იყო მორწმუნე, თუმცა ყველამ აღიარა რელიგიის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია.

ემილ დიურკჰეიმის თანახმად, რელიგია არა მხოლოდ ასახავს საზოგადოების სტრუქტურას, არამედ ხელს უწყობს მის გამყარებას. მას გააჩნია გამაერთიანებელი

---

[6] Н. Смелзер. Социология, м 1994, ст. 471.

[7] ლ.კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბ. 1995 წ., გვ. 34.

ფუნქცია, რადგან ახდენს ადამიანების ყურადღების კონცენტრირებას და მათ დაიმედებას.[8]

ტრადიციული ტიპის მცირე კულტურებში, ამტკიცებს დიურკჰეიმი, ცხოვრების ყველა მხარე ზუსტადაა ასახული რელიგიით. რელიგიური წეს_ჩვეულებები, ერთი მხრივ, ბადებენ ახალ იდეებსა და აზროვნების კატეგორიებს, მეორე მხრივ, ამყარებენ უკვე ჩამოყალიბებულ ფასეულობებს. რელიგია გვევლინება არა მხოლოდ თანამიმდევრულ გრძნობად და საქციელად, ის ფაქტიურად განსაზღვრავს ადამიანის აზროვნების წესს ტრადიცილ კულტურებში.[9]

დიურკჰეიმი მიიჩნევს, რომ რელიგიის სოციალური ფუნქცია ეს არის საზოგადოებრივი კავშირების ასახვა და გამაგრება.

კონფლიქტის თეორიის წარმომადგენელთა აზრით, რელიგია ეს არის ძალა, რომელიც ახდენს სოციალურ ცვლილებებს. რელიგიურ გულმოდგინებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს საზოგადოება. ისტორიული ანალიზი, რომელიც მოგვცა კლასიკოსმა მკვლევარმა მაქს ვებერმა, აჩვენებს რელიგიის გავლენას საზოგადოებაზე. გერმანელმა მეცნიერმა აჩვენა, რომ ფასეულობები არის ძლიერი ძალა, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ ცვლილებებზე. მან, პირველ რიგში, შეისწავლა ურთიერთკავშირი რელიგიურ და სოციალურ ცვლილებებს შორის. მარქსისგან განსხვავებით, მან დაასაბუთა, რომ რელიგია არ არის აუცილებლად კონსერვატორული ძალა, პირიქით, რელიგიური საფუძვლების მქონე სოციალური ცვლილებები ხშირად ახდენენ გასაოცარ ცვლილებებს საზოგადოებაში. ასე მაგალითად: პროტესტანტიზმმა (განსაკუთრებით პურიტანიზმმა) საფუძველი ჩაუყარა დასავლეთის კაპიტალიზმის განვითარებას. პირველი მეწარმეები უმთავრესად იყვნენ კალვინისტები (კალვინიზმი _ პროტესტანტიზმის სახეობა, რომელიც დაფუძნებულია მე-16 საუკ-ის თეოლოგის ჟანა კალვინის სწავლებაზე). მათი წარმატების შინაგანი წადილი, რომელმაც დახმარება გაუწია დასავლეთის ეკონომიკის დასაბამით განვითარებას, გამყარებული იყო თავდაპირველი სურვილით, ემსახურონ ღმერთს. მათთვის მატერიალური წარმატება იყო ღვთით ბოძებული კეთილდღეობა.

---

[8] Н. Смелзер, დასახ. ნაშრ. გვ. 473.

[9] Э. Гидденс. Социология м. 1999 г., ст. 430-431.

ვებერმა სცადა გაერკვია რელიგიის გავლენა განსხვავებულ კულტურებში სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე. გაანალიზა რა აღმოსავლეთის რელიგიები, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი გახდნენ დასავლური ნიმუშის სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების გადაულახავი ზღუდეები. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ სხვა ცივილიზაციები დასავლურთან შედარებით ჩამორჩენილები არიან, უბრალოდ, მათი ფასეულობები განსხვავდებიან იმათგან, რაც ევროპაშია გაბატონებული.[10]

ვებერი, აგრეთვე, აღიარებდა, რომ საზოგადოებას შეუძლია გავლენა მოახდინოს რელიგიაზე ისევე, როგორც რელიგია მოქმედებს საზოგადოებაზე. ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები რელიგიურ რწმენაში. ასე მაგალითად, პროტესტანტული რეფორმაციისას ცვლილებები განიცადა არა მხოლოდ ეკონომიკურმა სტუქტურამ, არამედ სხვა ბევრმა საზოგადოებრივმა ინსტიტუტმაც. მათ შორისაა: მეცნიერება, სამართალი, განათლება. ცვლილებების კომპლექსმა, რომელიც კალვინიზმის გავლენით მოხდა, გარდაქმნა საზოგადოების სოციალური მოწყობა.[11]

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორს ჩარლზ გლოკს მიაჩნია, რომ რელიგიური რწმენა გავლენას ახდენს ფასეულობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალური სამყაროს აღქმის ხარისხს[12].

ამგვარად, რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთობას გააჩნია ორი მხარე. ერთი, რელიგიის ზემოქმედება საზოგადოებაზე და მეორე, საზოგადოების დამოკიდებულება რელიგიისადმი.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურის შესახებ 2002 წლამდე ჩატარებული არც ერთი აღწერა არ იძლევა მასალებს. მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის მასალებით გვექმნება გარკვეული წარმოდგენა ქვეყნის მოსახლეობის აღმსარებლობითი სტრუქტურის შესახებ. ქვეყნის მოსახლეობა 4371535 კაცს შეადგენს. მათგან 83,7%-ია ქართველი _ ქვეყნის მკვიდრი ეროვნების წარმომადგენელი. ქვეყნის მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა. მათ შორის უმეტესობა _ 83,9% მართლმადიდებელია; 0,8% _ კათოლიკე; 3,9% _ სომხურ გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი; 9,9% _

---

[10]იქვე გვ. 431-432.

[11]Н. Смелзер, დასახ. ნაშრ. გვ. 477_478.

[12] ნ. მენაბდიშვილი, ლ.მენაბდიშვილი, სტუდენტთა რელიგიური ორიენტაცია, ჟ. “რელიგია” №4-5-6, 2005 წ., გვ. 91.

მაჰმადიანი; 0,1% _იუდეველი; 0,8% _სხვა აღმსარებლობის , ხოლო არც ერთ რელიგიას არ მიჰყვება 0,6%.

აღწერის დროს გამოყენებული იყო ადამიანის რელიგიურობის განმსაზღვრელი ერთ_ერთი კრიტერიუმი _ საკუთარი კონფესიური მიკუთვნებულობის აღიარება.

2002 წლის აღწერის მონაცემები, მოსახლეობის ეროვნულ ჭრილში რელიგიური კუთვნილების მიხედვით გაანალიზების საშუალებას იძლევა, რომლის თანახმადაც ქართველი მოსახლეობის 94,7% მართლმადიდებელია. 3,8% კი _ მაჰმადიანი. სომხურ გრიგორიანულ რელიგიას აღიარებს სომეხი ეროვნების 67,1%; სომხების 23,2% მართლმადიდებელია, ხოლო 8,6% კათოლიკე. რუსი და ოსი ეროვნების მოსახლეობის საკმაოდ დიდი წილი მართლმადიდებელია (რუსი _ 95,1%; ოსი _ 95,2%). ოსებს შორის ყველაზე მაღალი იყო (2,9%) იმათი წილი, ვინც თავს “სხვა” რელიგიების მიმდევრებად მიიჩნევდა. აფხაზთა 66,7% მართლმადიდებელი იყო, ხოლო 29,9% კი მაჰმადიანი. აფხაზთა შორის ყველაზე მაღალი იყო (2,3%) იმათი წილი, ვინც არც ერთ რელიგიას არ მიჰყვება. (აფხაზებისა და ოსების მონაცემები არ მოიცავს იმ ტერიტორიებს, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება).

ჩვენი ქვეყნის მუდმივი მოსახლეობის განაწილებამ ცალკეული სარმუნოების მიხედვით ადმინისტრაციული მხარეების გათვალისწინებით, აჩვენა, რომ მართლმადიდებელი მოსახლეობის სიხშირით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (99,4%), სამეგრელო და ზემო სვანეთი (99,2%), იმერეთი (99,1%), მცხეთა-მთიანეთი (97%), შიდა ქართლი (96,9%), თბილისი (91,4%). შემდეგ მოდის გურია (88,7%) და კახეთი (85,9%).კიდევ უფრო მცირეა მართლმადიდებელთა ხვედრითი წილი აჭარაში (63,9%), ქვემო ქართლსა (48,6%) და სამცხე-ჯავახეთში (40,9%)[13].

აღწერის მასალები იძლევა ინფორმაციას ამა თუ იმ რელიგიისადმი მიკუთვნებულობის შესახებ. მაგრამ იმის გასარკვევად, თუ რელიგია რა გავლენას ახდენს პიროვნებაზე, როგორ ცვლის მის ქცევას, აუცილებელია სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელია, აუცილებელია შესწავლილ იქნას მისი გავლენა საზოგადოებაზე, ოჯახზე, პიროვნებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი კვლევის მიზანია

[13] საქ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქ. მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2004 წ., გვ. 80-81.

მართლმადიდებლობის გავლენის შესწავლა დემოგრაფიულ ქცევაზე. სწორედ ამ მიზნით 2004 წლის სექტემბერ-ნოემბერში გამოვკითხეთ 1500 მართლმადიდებელს. სანამ შევუდგებოდეთ მართლმადიდებელ მორწმუნეთა დემოგრაფიული ორიენტაციების შესწავლას, განვიხილოთ, ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანები რამდენად რელიგიურები არიან.

სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ ადამიანის რელიგიურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება თვითონ ეს გაგება. ჩარლზ გლოკმა გამოყო რელიგიურობის შეფასების ხუთი საზომი : ემპირიული, რიტუალური, იდეოლოგიური, თანამიმდევრული და ინტელექტუალური. ემპირიულში იგულისხმება ინდივიდის რწმენაში ემოციურობის ხარისხი; რიტუალურში _ ლოცვების აღსრულებისა და ეკლესიაში სიარულის სიხშირე; იდეოლოგიურში _ რელიგიური დოქტრინების რწმენის ხარისხი; თანამიმდევრული ასახავს იმას, თუ რამდენად ძლიერ ჩანს რელიგიური რწმენა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინტელექტუალური ასახავს ადამიანის მიერ იმ რელიგიის ისტორიისა და დოგმების ცოდნის ხარისხს, რომლის მიმდევრადაც იგი თავს თვლის.[14]

ჩვენს მიერ შესწავლილ ერთობლიობაში რესპონდენტების უმეტესობას (81%) ჰყავს მოძღვარი. მარხვებს ინახავს 84%. თუმცა, რესპონდენტთა ეს ნაწილი მარხვებს ინახავს სხვადასხვა სიხშირით : მათ შორის ყოველთვის _ 61,86%, ხშირად _ 30,96%, იშვიათად _ 7,18%. წირვა_ლოცვებს ესწრება 90%. მათ შორის ყოველთვის _ 30,7%, ხშირად _ 55,18%, იშვიათად _ 14,14%. ე.ი. ჩვენი რესპონდენტების უმეტესობა (90% _ 81%) მეტ_ნაკლებად რელიგიურია. რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ, ეკლესიური იყო თუ არა მათი ცხოვრება. მათი 75% თვლის, რომ ეკლესიურად ცხოვრობს; 8% _ ახლა იწყებს ეკლესიურ ცხოვრებას, ხოლო 17% მიიჩნევს, რომ ის არ ცხოვრობს ეკლესიურად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეკლესიური ცხოვრება არ ნიშნავს მხოლოდ მარხვას, წირვა_ლოცვაზე დასწრებას. ეკლესიური ცხოვრებისათვის აუცილებელია დაიცვა ყველა ის მცნება, რომელსაც წმინდა წერილები გვასწავლის, სწორედ ამის გამოა, რომ იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ყოველთვის ინახავენ მარხვას, 0,3% თვლის, რომ ეკლესიურად არ ცხოვრობს, ვინც ხშირად ინახავს _ 3,91%, ხოლო ვინც იშვიათად ინახავს _ 45,73%%. მათ

[14]Дж. Масионис, социология М. 2004 г., ст.634-637.

შორის, ვინც ყოველთვის ესწრება წირვა_ლოცვებს, ეკლესიურად არ ცხოვრობს 0,49%; ვინც ხშირად _ 1,51%; ხოლო ვინც იშვიათად _ 55,98%. ძალზე საინტერესოა იმ რესპონდენტების შეფასება, რომლებსაც ჰყავთ მოძღვარი, რადგან მოძღვარი აუცილებლად მოითხოვს თავისი მრევლისგან წმინდა წერილების სწავლებების დაცვას. ამ ერთობლიობაში რესპონდენტების 2,92%-მა აღნიშნა, რომ ის ეკლესიურად არ ცხოვრობს. რესპონდენტები განსხვავდებიან ეკლესიური ცხოვრების ხანგრძლივობით. ყველაზე ბევრი აღმოჩნდა მათი რიცხვი, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს უკვე 10 და მეტი წელია (27%), მათ შემდეგ მოყვებიან 8-9 წლის ეკლესიური სტაჟის მქონე რესპონდენტები (22%), კიდევ უფრო ნაკლებია 2-3 წლის _ 11%, 6-7წლის _ 10%, 4-5 წლის _ 9% და ყველაზე მცირეა იმათი წილი, მხოლოდ ერთი წელია, რაც ეკლესიურად ცხოვრობენ _ 4%.

რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (51%) აღნიშნა, რომ მეუღლეც ეკლესიურად ცხოვრობს, 47% _ შვილები, 14%-ის მშობლები, ხოლო 7%-ის მეუღლის მშობლები, 4%-მა კი მიუთითა, რომ ეკლესიურად ცხოვრობს მისი ოჯახის “სხვა” წევრები.

§2 რელიგიურობის კვლევის გამოცდილება საზღვარგარეთ

რელიგიურობის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევების უმეტესობა ევროპელ და აშშ_ის მეცნიერებს ეკუთვნის. იგი საინტერესოა კვლევის თეორიულ_მეთოდური პრობლემების დამუშავებითაც და მიღებული შედეგების თვალსაზრისითაც. ჩვენ მხოლოდ მოკლედ გადმოვცემთ ზოგიერთ საკითხს, ჩვენი თემის კონტექსტიდან გამომდინარე.

რელიგიური და არარელიგიური პირების დამოკიდებულება ნარკოტიკებისა და სექსის მიმართ გამოიკვლიეს გორაჩმა და ბატლერმა. მათ დაადგინეს, რომ რელიგიურებს და არარელიგიურებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ნარკოტიკებისა და სექსის მიმართ. ”მორწმუნეებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ აკრძალული წამლების მიმართ. იმ პირებს, რომლებსაც რელიგიურობის საზომ სკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ნებისმიერი ტიპის სექსუალური ურთიერთობების მიმართ, რომელიც სოციალურ მხარდაჭერას არ იმსახურებს.

სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ რაც უფრო მაღალია კონსერვატორული რელიგიურობა, მით უფრო მიუღებელია ქორწინებამდელ სექსუალური ურთიერთობების მიმღებლობა. ფიშერის, ბელის, მარტინის და ვესტ ბრუკის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რელიგიური პირებისთვის მიუღებელია ქორწინების გარეშე სექსი, თუმცა რელიგიურები არაფრით არ განსხვავდებიან არამორწმუნეებისაგან ისეთი პარამეტრებით როგორიცაა სქესობრივი აქტის ხანგრძლივობა და ორგაზმის მიღწევის სიხშირე". [15]

მეოცე საუკუნის შუახანების გამოკვლევებით დადგინდა, რომ მორწმუნეები დაკავებულნი არიან თავიანთი პიროვნული ხსნის პრობლემებით და ინდიფერენტულნი არიან ისეთი პრობლემების მიმართ, როგორიცაა სოციალური უთანასწორობა და უსამართლობა.

რა პარამეტრებით ადგენენ რელიგიურობას? რელიგიურობის საზომად მეცნიერები იყენებენ ისეთ პარამეტრებს როგორიცაა: 1. რელიგიური მიკუთვნებულობა; 2. ეკლესიაში სიარული; 3. ორთოდოქსია დოგმატიზმი; 4. რელიგიის მნიშვნელობის შეფასება;

შეისწავლეს რა კორელაცია რელიგიურობასა და კონსერვატორულ სოციალურ დამოკიდებულებას შორის დაადგინეს: დადებითი კორელაცია ისეთი პარამეტრებთან როგორიცაა: ეთნოცენტრიზმი, ავტორიტარიზმი, დოგმატიზმი, სოციალური დისტანცია, ფრიგიდულობა, არატოლერანტულობა, სპეციფიკური დამოკიდებულებები წინასწარი მზაობების სახით ებრაელებისა და შავკანიანების მიმართ. [16]

რა გვიჩვენა მორწმუნეობის ხარისხის შესახებ გამოკვლევებმა? გამოკვლევებით დადგინდა, რომ მორწმუნეობის ხარისხის (ყოველი დღე ეკლესიაში სიარული, გარკვეული ყოველდღიური საქმიანობის შესრულება, ყოველდღე ზიარების მიღება და ა. შ.) მიხედვით დამოკიდებულება იცვლება კონსერვატორულ სოციალურ დამოკიდებულებებთან. ასე მაგალითად, ვინც ყოველდღე ზიარებას იღებს აჩვენებს ბევრად უფრო დაბალ ეთნოცენტრიზმს, ვიდრე იმავე ეკლესიის (რომის კათოლიკები)

---

[15] მ. ჩიტაშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია, ემპირიული კვლევები, თბილისი, 1998 წ., გვ.109.

[16] იქვე, გვ. 110.

სხვა წევრები. რასისტულ სკალაზე ძალიან დაბალ მაჩვენებელს უჩვენებენ ორი ისეთი უკიდურესი კონვენციონალური რელიგიის წარმომადგენლები, როგორიცაა “ ხსნის არმიის ოფიცრები “ და “ახალგაზრდა ჰუმანისტთა ასოციაციის წევრები” .[17]

დადგინდა კორელაცია ეკლესიაში სიარულსა და წინასწარმზაობებს (ცრურწმენებს) შორის. თვეში ორჯერ ეკლესიაში სიარული ცრურწმენებს დაბლა სწევს. ვინც კვირაში ორჯერ დადის ეკლესიაში ბევრად დაბალი ცრურწმენები აქვთ ვიდრე იმათ, ვინც საერთოდ არ დადის (1963 წლის გამოკვლევები).[18] ასეთივე შედეგი ჰქონდა 1959 წელს ჩატარებულ სხვა გამოკვლევას. ის მორწმუნენი, რომლებიც წელიწადში 31_60 რელიგიურ მსახურებას ესწრებიან უფრო მაღალ წინასწარმზაობებს აჩვენებენ, ვიდრე ისინი, რომლებიც 61_ზე მეტ მსახურებაში იღებენ მონაწილეობას. ის პირები, რომლებიც ეკლესაში ყოველკვირა დადიან, შავკანიანთა მიმართ უფრო ტოლერანტულნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც თვეში ორჯერ დადიან ეკლესიაში. ერთი სიტყვით, გამოკვლევებით დადგინდა ეკლესიაში სიარულის სიხშირის მნიშვნელობა ცრურწმენასა და ტოლერანტულობაზე. ადამიანი რაც ნაკლებად დადის ეკლესიაში და იშვიათად ესწრება რელიგიის მსახურებას, მით უფრო ცრურწმენების მქონეა და ნაკლებად ტოლერანტული.

დაადგინეს მრუდწირული კავშირი თვითშეფასებით გაზომილ რელიგიურობასა და უბედურად განცდას შორის. რაც უფრო რელიგიურად სუსტია პიროვნება, მით უფრო მაღალია მათი უბედურების, არაბედნიერების მაჩვენებელი, უკმაყოფილების მაჩვენებელი .[19]

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რელიგიურობის შესწავლამ ცხადყო, რომ არსებობს რელიგიურობის ორგვარი ტიპი: ერთი ტიპია, როდესაც იგი წარმოდგენილია ისეთი გარეგნული ფორმებით, როგორიცაა რიტუალები და ინსტიტუიზირებული ხასიათი, რომელიც კულტურისთვის ღვთისმოსაობის გამოვლინებადაა მიჩნეული. მეორე ტიპის რელიგიურობა ვლინდება “გულით ღვთისმოსაობის” სახით, ხედვის კუთხით, შემეცნების თავისებურებით და მიკუთვნებულობით, რომლის დროსაც რიტუალის შესრულება თითქმის სიცარიელის

---

[17] მ. ჩიტაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 111.
[18] იქვე, გვ. 111.

[19] იქვე, გვ. 112.

ტოლფასია. ეს ორი განსხვავებული ორიენტაცია დაფიქსირდა ადორნოსთან ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების გამოკვლევებში, რაც იმაში გამოვლინდა, რომ 1. ადამიანები, რომლებიც ეკლესიაში ხშირად დადიან და რელიგია მხოლოდ სოციალური მნიშვნელობისაა ხასიათდებიან ეთნოცენტრისტულ დამოკიდებულებებით. 2. იმ ადამიანებში, რომელთათვის რელიგია ბევრად უფრო სერიოზული მოვლენაა, ე. ი. რელიგია არის ღირებულებებისა და გამოცდილებების სისტემა ეთნოცენტრიზმი საერთოდ არ აღინიშნება. ამგვარი გამოკვლევების შემდეგ ოლპორტმა 1954 წელს რელიგიური ორიენტაციის ორი ტიპი გამოყო "ინსტიტუიზირებული" და "ინტერიორიზებული". მოგვიანებით მან (1959 წელს) ორი ტერმინი არჩია "ექთრინსიქ" და "ინთრინსიქ", რომლებიც ფართოდ იქნა გავრცელებული.

ექთრინსიქ ორიენტაციისა ის ვინც, რელიგიას იყენებს თავისი კონკრეტული მიზნებისათვის. ამგვარი ორიენტაციის მქონე ადამიანის ღირებულებები ყოველთვის უტილიტარული და ინსტრუმენტალურია. ისინი რელიგიას მიიჩნევენ სასარგებლოდ, რადგან რელიგია მათ აძლევს უსაფრთხოების განცდას, სტაბილურობას, სტატუსს და თვითგამართლებას. თეოლოგიური თვალსაზრისით ექთრინსიქი ღმერთისკენაა მიტრიალებული, მაგრამ არა ისე რომ საკუთარი "მე" დაივიწყოს ე,ი. იგი ღმერთისკენ კი არის მიტრიალებული, მაგრამ თავისი თავი არა აქვს დავიწყებული.

ინთრინსიქ ორიენტაციის არიან ისინი, რომლებიც თავიანთ ძირითად მოტივს ხედავენ რელიგიაში. ე.ი. მათი ძირითადი მოთხოვნილება რელიგიაშია. ყველა სხვა მოთხოვნილება, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობისაა და მხოლოდ იმდენად შემოდის, რამდენადაც ჰარმონიზირებულნი არიან არსებულ რელიგიურ რწმენასთან და დოგმებთან. ორიენტაციის ამ ტიპში რელიგია მთლიანადაა გაშინაგნებული და ადამიანი იმ რწმენით და ჩვევებით ცხოვრობს როგორც მას სარწმუნოება კარნახობს.

მორწმუნეებისადმი მიძღვნილი შრომები ორ დიდ ჯგუფად იყოფა, ერთი ჯგუფი აერთიანებს გამოკვლევებს, რომელიც მორწმუნის ფენომენის საკვლევად თავად რელიგიას აქცევს ფსიქოლოგიური შესწავლის ფენომენად. მეორე ჯგუფის კვლევები კი მორწმუნის ფენომენს გაიაზრებს ფსიქოლოგიური შემეცნების სხვადასხვა მიდგომისა თუ მეთოდიკური შესწავლის ხერხებით.

უაღრესად საინტერესოა აშშ-ში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც გადმოცემული აქვს ნეილ სმელზერს. მხედველობაში გვაქვს გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა აღმსარბლობის ისეთი ფასეულობებისადმი დამოკიდებულებებზე გავლენას, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, პრეზიდენტის კრიტიკა, რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლა, ფაშიზმისადმი მხარდაჭერა და სხვა. გამოკვლეულ იქნა პროტესტანტების, კათოლიკებისა და იუდეველების დამოკიდებულებები. დადგინდა, რომ ყველაზე უფრო ლიბერალური განწყობები აქვთ თეთრკანიან პროტესტანტებს, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ იუდეველები. ყველაზე ლიბერალური შეხედულებები ჰქონდათ შავკანიან პროტესტანტებს, შავკანიანი კათოლიკების პოზიცია კი საშუალო იყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა აღმსარებლობის გავლენას კულტურული, სოციალური და დემოგრაფიული ფასეულობებისადმი დამოკიდებულებებს. კერძოდ, კი აზარტული თამაშებისადმი, სპირტიანი სასმელების მოხმარებისადმი, შაბათობით ვაჭრობისა და საწარმოო საქმიანობისადმი, აგრეთვე შობადობისა და განქორწინებებისადმი კონკრეტულ დამოკიდებულებებს. დადგინდა, რომ: 1. ამ საკითხისადმი ყველაზე ნაკლებ რადიკალურნი არიან იუდეველები; 2. შავკანიანი და თეთრკანიანი პროტესტანტები უფრო გმობენ აზარტულ თამაშებსა და სპირტიანი სასმელების მოხმარებას, ვიდრე კათოლიკები და იუდეველები; 3. შობადობისა და განქორწინებებისადმი კონტროლის წინააღმდეგ უფრო კათოლიკები არიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენლები.

ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევებიდან დიდმნიშვნელოვანია გამოკვლევა, რომელიც მოგვიანებით ჩატარდა და მიეძღვნა კათოლიკებისა და პროტესტანტების სოციალური პოზიციების მსგავსებას. დადგინდა, რომ 1. კათოლიკების პოზიცია შობადობის კონტროლისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუ ადრე შობადობაზე კონტროლი მოიწონა კათოლიკების 37%_მა, საუკუნის ბოლოს ასეთი პოზიცია გამოავლინა 74%_მა. 2. კათოლიკებისა და პროტესტანტების დამოკიდებულება აბორტებისადმი უფრო მსგავსი გახდა, ვიდრე ადრე იყო; 3. კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის განსხვავება კვლავაც არსებობს ისეთ სადაო საკითხებზე, როგორიცაა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების საყოველთაო მისაწვდომობა, წიგნებზე რელიგიური ცენზურის დაშვება და სხვა.

ამრიგად, საზღვარგარეთ ჩატარებული ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების გამოკვლევები ამდიდრებენ და აზუსტებენ მეცნიერულ ცოდნას მრავალ საინტერესო საკითხზე. მათ გამოავლინეს კორელაციური კავშირი რელიგიურობის ხარისხსა და ცრურწმენების გავრცელებას შორის, აგრეთვე უბედურების განცდასა და უკმაყოფილების ხარისხს შორის. ჩვენი პრობლემისათვის მნიშვნელოვანია გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა აღმსარებლობის გავლენას კულტურულ, სოციალურ და დემოგრაფიულ ფასეულობებზე. განსაკუთრებით კი, შობადობისა და განქორწინებებისადმი დამოკიდებულებას, აგრეთვე დამოკიდებულებას შობადობაზე კონტროლისადმი. ამ გამოკვლევებში დადგინდა შობადობასა და განქორწინებებისადმი კონტროლზე განსხვავებული პოზიციები კათოლიკებსა და სხვა ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენლებს შორის. მნიშვნელოვანია, აგრეთვე ის, რომ კათოლიკებისა და პროტესტანტების პოზიციების რადიკალურობა განიცდის გარკვეულ ძვრებს დაახლოების მიმართულებით.

§3 რელიგიურობის კვლევის გამოცდილება საქართველოში

მორწმუნეთა შესწავლას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია არა აქვს, რაც იმ ობიექტური პირობებით იყო გამოწვეული, რომელიც სამოცდაათ წლიანი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში გაბატონებული ათეისტური იდეოლოგია მორწმუნეებს განიხილავდა როგორც არასერიოზულებს და მათ უყურებდა, როგორც «გონებაჩლუნგებს, გაუნათლებლებს, არაადექვატური სოციალური ადაპტაციის მექანიზმის მატარებლებს... იდეოლოგიური ზეწოლის საფუძველზე მორწმუნეობა სოციალური არსებობისათვის უსარგებლო ინსტიტუტად იქცა და სოციალურად არაპერსპექტიული ადგილიც კი დაიმსახურა.”[20]

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესის შედეგად, რომელიც საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებასა და დემოკრატიულ გარდაქმნებს გულისხმობდა, ვითარება შეიცვალა. სინდისის თავისუფლების გამოცხადების შედეგად საზოგადოება ურწმუნოების საპირისპირო სტატუსისკენ წარიმართა. მორწმუნეობა აუცილებელი გახდა საზოგადოებაში პრესტიჟული იმიჯის მოსაპოვებლად, ურწმუნოების დაგმობა

[20] 1. მ. ჩიტაშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები, თბილისი, 1998 წ., გვ. 8-9.

ყოველდღიურ საქმედ იქცა. ყოფილი საბჭოური სივრცის ხალხებში მიმდინარე რელიგიური განახლების პროცესი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტებისა და ექსპერტების ყურადღების ცენტრში მოექცა. იგი მიჩნეული იქნა კულტურისა და ცივილიზებული სამყაროსაკენ მობრუნების ნიშნად. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ასეთი შეფასება ნაჩქარევი და გაზვიადებული იყო. აღნიშნულის მართებულობა დაადასტურა რელიგიური ფუნდამენტალიზმის ტენდენციებმა, რომელიც ჭარბად აღინიშნება ახალმოქცეულთა ქმედებებში.

რელიგიას მრავალი მეცნიერება შეისწავლის, რაც განპირობებიულია მისი ინტერდისიპლინარული ხასიათით. Mმისი გააზრების მრავალი ასპექტიდან ერთ_ერთს წარმოადგენს მისი, როგორც სოციალური შემეცნების ერთ-ერთი ფორმის განხილვა. მას «ადამიანები ხშირად მიმართავენ, როგორც ქცევის სტრატეგიას თავიანთ ყოველდღიურ ყოფაში, ასეთებია, მაგალითად, ზნეობრივი ქცევის ნორმები და კატეგორიები, საზოგადოებაში თანაცხოვრების წესი, დამოუკიდებლობის ფორმები ოჯახში, ავტორიტეტისადმი დამოკიდებულობა ტოლერანტობა უცხო და ახალ გარემოსადმი, ლოიალობა და ა.შ."[21] ოჯახში დამოკიდებულობის ფორმები და წესები გულისხმობს ქორწინებას, მეუღლათა დამოკიდებულებას, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას, შვილთა ყოლასა და ოჯახის დაგეგმვას, თაობათა ურთიერთობას, თანაცხოვრების ნორმებსა და წესებს, აგრეთვე ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა აღნიშვნას, სოციალური და ოჯახური ცხოვრების სხვა ისეთ მხარეებსა და ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ნებისმიერი საზოგადოების ფიზიკური და კულტურული უწყვეტობის თავისებურებებს. რელიგიური აღმსარებლობების გავლენა არაა ერთნაირი არც სოციალური კოგნიციის სისტემაზე და არც ღირებულებათა იერარქიაზე. ეს განსხვავებები არა მხოლოდ ე.წ. მსოფლიო რელიგიებს შორისაა, არამედ ერთი რელიგიის შიგნითაც გვხვდება. აღნიშნულის დასტურია განსხვავებები მართლმადიდებლობასა და კათოლიკურობას, განსაკუთრებით პროტესტანტობას შორის. კათოლიკურისგან განსხავებით მართლმადიდებლური ეკლლესია აქცენტს აკეთებს ლოცვასა და რელიგიური გამოცდილების პროცესზე, პროტესტანტული და კათოლიკური ტრადიცია მეტ დროს უთმობს სოციალური კონტექსტის

[21] დასახელებული წიგნი, გვ. 10.

გათვალისწინებას, სამყაროს რაციონალიზაციის პროცესს თეოლოგიურ ჭრილში, მაშინ როდესაც მართლმადიდებლობისთვის ამგვარი რამ სრულიად უცხოა.[22]

რელიგიურობის მახასიათებლების მეცნიერული კვლევა საქართველოში იწყება მეოცე საუკუნის ბოლოს, კერძოდ 1989 წლიდან, როდესაც თსუ-ში შეიქმნა რელიგიის პრობლემების კვლევის რესპუბლიკური ცენტრი. პრობლემის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ მ. ჩიტაშვილთან, მან ფსიქომეტრიული ტექნიკის გამოყენებით შეისწავლა და დაადგინა მორწმუნესა და არამორწმუნეს შორის პიროვნული მსგავსება და განსხვავება. დაადგინა ის თავისებურებები რომელიც მორწმუნისათვის რელიგიას, როგორც ღირებულებას ახასიათებს. გაარკვია რომელი კომპონენტები იკავებენ ცენტრალურ ადგილს, როგორ წარმოდგება მორწმუნის სოციალური კოგნიციების სისტემა ისეთი მოვლენების მიმართ, როგორიცაა სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, მართვის სტილი, კრიზისული სიტუაციის დაძლევის სტრატეგიები, ზნეობა, ახალი იდეოლოგიის მიმღებლობა, ტოლერანტობა და სხვა. არამორწმუნესაგან განსვავებით მორწმუნის ყოფა განისაზრვრება, როგორც უშუალო ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან ურთიერთობებით, ისე ღმერთთან მიმართებით. მორწმუნის შემთხვევაში გარემოსთან ურთიერთობა უნდა აიგოს, იმ დოქტრინალური სისტემის მიხედვით, რომლის მიმდევარიც არის მორწმუნე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მორწმუნის ქცევა გარემოსთან უნდა ატარებდეს იმ ხასიათს და აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რაც მას აქვს წაყენებული თავისი რელიგიის მხრიდან. ეს კი გულისხმობს, მორწმუნის განსაზღვრული ქცევის სტილს გარემოსთან მიმართებაში. [23]

რით განისაზღვრება მორწმუნის ქცევა? იგი განისაზრვრება ტრასცენდენტურთან მიმართებით. აგრეთვე უშუალო ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან ურთიერთობით. მორწმუნის გარემოსთან ურთიერთობა უნდა აეწყოს იმ დოქტრინალური სისტემის მიხედვით, რომლის მიმდევარიცაა ესა თუ ის სუბიექტი, გარემოსთან მორწმუნის ქცევა უნდა იყოს იმ ხასიათის და იმ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც მას აქვს წაყენებული თავისი რელიგიის მხრიდან.

---

[22] მ. ჩიტაშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები, თბილისი, 1998 წ., გვ. 11.

[23] იქვე, გვ. 220.

რას გულისხმობს მორწმუნის სოციალური გარემო? იგი გულისხმობს ურთიერთობის მრავალფეროვნებას. თუ რა ტიპის ქცევას ირჩევს მორწმუნე სოციალურ გარემოში კრიტიკული სიტუაციისას, კონფლიქტის შემთხვევაში, განხეთქილების შემთხვევაში ქართველმა ფსიქოლოგმა მ. ჩიტაშვილმა გამოიკვლია რა ქცევის სტილს ირჩევენ მორწმუნენი და არამორწმუნენი კონფლიქტის შემთხვევაში? განსხვავდებიან თუ არა ქცევის სტილით ქალი და კაცი. მორწმუნეთა ქცევის სტილს აქვს თუ არა გარკვეული კავშირი რელიგიური ორიენტაციის მაჩვენებელთან. მან გამოიყენა სპეციალური ტესტი, რომელიც შეიცავდა ხუთ ქცევის სტილს: 1. თანამშრომლობას, 2. კომპრომისს, 3. გაქცევას (თავიდან აცილებას) 4. შემგუებლობას და 5. შეჯიბრებას. დადგინდა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში მორწმუნეების და არამორწმუნეების ქცევის სტილი ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ქცევის სტილი კომპრომისი პირველ ადგილზეა მორწმუნეებთანაც და არამორწმუნეებთანაც, ოღონდ შიგნით სქესის ფაქტორი მოქმედებს _ კაცებისთვის დამახასიათებელია შეჯიბრი, ქალებთან შედარებით. ქალები ხშირად მიმართავენ კონფლიქტურ სიტუაციიდან გაქცევას. კონფლიქტისას მორწმუნე კაცებისათვის ცენტრალური სტილია კომპრომისი, ქალებისთვის კი - გაქცევა.

არამორწმუნე კაცები და ქალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კონფლიქტისას კომპრომისის არჩევით .[24]

რელიგიურობის დემოგრაფიული შედეგის ერთ-ერთ ასპექტზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ვეხებით ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოგრაფებისა და სოციალური მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ იმ განსხვავების ახსნას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის განსხვავებული აღმსარებლობის ხალხებში. როგორც ცნობილია, 1959, 1970 და 1979 წლების მოსახლეობის საკავშირო აღწერებმა გამოავლინა რიცხოვნების ზრდის მაღალი ტემპი იმ ხალხებში, რომლებიც მაჰმადიანურ აღმსარებლობას იზიარებდნენ და რიცხოვნების შემცირების, ან უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია მართლმადიდებელ და კათოლიკურ აღმსარებლობის ხალხებში. აღნიშნული ცვლილებები მეცნიერთა მიერ ახსნილი იქნა მაჰმადიანურ აღმსარებლობაში შობადობის მაღალი დონისა და მრავალშვილიანობის გამორჩეული ფასეულობით, აგრეთვე დაბალ ასაკში ქორწინების ტრადიციით ამავე აღმსარებლობის

[24] 1. მ. ჩიტაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 223.

ხალხებში. რაც შეეხება ერთი აღმსარებლობის ხალხებში დემოგრაფიული პროცესების დიფერენციას, მას ხსნიდნენ მატერიალური და კულტურული ფაქტორების ზემოქმედებით.

ამრიგად, საქართველოში რელიგიურობის სოციალურ-კულტურული ასპექტების კვლევა არ შეხებია ერთი აღმსარებლობის წარმომადგენლებში დემოგრაფიული პროცესების განსხვავებულობის საკითხს. იგი მხოლოდ განსხვავებული აღმსარებლობის ხალხებსა და ჯგუფებში დემოგრაფიული პროცესების დიფერენციაციით შემოიფარგლა, ხოლო აღმსარებლობისადმი ერთგულების ხარისხით დემოგრაფიული პროცესების განსაზღვრულობა მათი გააზრების შესაძლებლობათა მიღმა დარჩა.

§4 დემოგრაფიული ვითარება საქართველოში

დემოგრაფიული ვითარება წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესების მდგომარეობას გარკვეულ ტერიტორიაზე დროის გარკვეული პერიოდში. იგი ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით, რომელიც მოიცავს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის, ბუნებრივი მოძრაობის, აღწარმოების რეჟიმის და სხვა მაჩვენებლებს.

ისტორიული ეპოქები განაპირობებენ მისთვის შესაბამის დემოგრაფიულ კანონზომიერებებს და მოსახლეობის აღწარმოების ტიპს. ანსხვავებენ მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ და თანამედროვე ტიპს. ტრადიციული ტიპის შემთხვევაში მოსახლეობის ზრდა მიიღწევა შობადობის მაღალი და მოკვდაობის ასევე მაღალი დონის პირობებში. სიცოცხლის დაბალი საშუალო ხანგრძლივობა განაპირობებს თაობათა სწრაფ ცვლას. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის კი დამახასიათებელია მოსახლეობის ზრდა შობადობისა და მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ განაპირობა თაობათა ცვლის სისწრაფის შენელება.

მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპის თანამედროვე ტიპით შეცვლის სისწრაფე კონკრეტულ ქვეყნებში დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების თავისებურებებზე. აღწარმოების ტრადიციულ და თანამედროვე ტიპებს შორის არსებობს გარდამავალი პერიოდი,

რომელსაც მოსახლეობის აღწარმოების შუალედურ ტიპსაც უწოდებენ, და მისი ხანგრძლივობაც ასევე ინდივიდუალურია.

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია პირველად დაამუშავა ფრანგმა დემოგრაფმა ა. ლანდრიმ 1909-1934 წლებში. იგი სარგებლობდა ტერმინით- დემოგრაფიული რევოლუცია.

ლანდრის მიერ ჩამოყალიბებული დემოგრაფიული გადასვლის სქემის თანახმად მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმმა ისტორიული განვითარების თვალსაზრისით გაიარა გარკვეული სტადიები, იგი გამოყოფს სამ რეჟიმს: პირველს პრიმიტივს უწოდებს – არც ქორწინება და არც შობადობა არ არის რეგისტრირებული. მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონე საარსებო მინიმუმის ტოლია. მოსახლეობის რაოდენობის მთავარ რეგულატორად მოკვდაობა გვევლინება.

მეორე რეჟიმი ხასიათდება იმით, რომ შობადობა იზღუდება ქორწინების გადადების და დაუქორწინებულობის გამო. იგი გამოიწვევა ეკონომიკური პირობების ზეგავლენით.

მესამე რეჟიმს ლანდრი უწოდებს თანამედროვეს და მის ძირითად ნიშნად შობადობის ცნობიერების შეზღუდვას ასახელებს.ა. ლანდრი მიიჩნევდა, რომ მომავალში შობადობის მნიშვნელოვან შემცირებას შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის კლება და ცივილიზაციის დაღუპვა.

მოსახლეობის ციკლური განვითარების პრობლემამ მრავალი დემოგრაფის ყურადღება მიიპყრო, შეიქმნა დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის სხვადასხვა ვარიანტი. დემოგრაფიული გადასვლა არის კონცეფცია, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში მოსახლეობის აღწარმოების ტიპების ცვლის ასახსნელად[25]. ისტორიული თვალთახედვიდან გამომდინარე ანსხვავებენ მოსახლეობის აღწარმოების სამ ტიპს: არქიტიპს, ტრადიციულს და თანამედროვეს.

პირველი ფაზის დროს მოკვდაობა უფრო მნიშვნელოვნად კლებულობს, ვიდრე შობადობა, რაც იწვევს ბუნებრივი მატების სწრაფ ზრდას.

მეორე ფაზის დროს მოკვდაობის კლება გრძელდება და ფაზის ბოლოსათვის მიიღწევა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. ამავე დროს კლებას იწყებს შობადობა. შობადობის კლება უფრო მნიშვნელოვანია,ვიდრე მიკვდაობის. ამიტომ მოსახლეობის

[25] ДЭС. М. 1985 г., ст. 115.

ბუნებრივი მატება თანდათან ნელდება. მესამე ფაზის დროს იზრდება მოკვდაობა, რაც გამოწვეულია ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებებით, უფრო კონკრეტულად დემოგრაფიული დაბერებით. შობადობის შემცირება ნელდება და ფაზის ბოლოს აღწევს მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეს, თუმცა იმავე დროს, მოკვდაობა მაინც უფრო ნაკლებია შობადობაზე.

მეოთხე ფაზის დროს მოკვდაობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს – დაახლოებით 13-ს მოსახლეობის 1000 სულზე. ამის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა უნდა შეწყდეს და ერთ უცვლელ დონეზე დარჩეს.

დემოგრაფთა ნაწილი თვლის, რომ მეოთხე ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია მეხუთე ფაზის დადგომა. რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება შობადობის ძლიერი კლება, რაც გამოიწვევს მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას.[26]

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობის აღწარმოების მეხუთე ფაზა იქნება რეგრესული ფაზა, რომელსაც მოსახლეობის რეგრესი, ანუ რეგრესული მოსახლეობა მოჰყვება. რეგრესულ მოსახლეობაში ისინი გულისხმობენ კლებადი მოსახლეობის თეორიულ მოდელს, რომელიც მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების ასახვას. რეგრესულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი ნაკლებია მოკვდაობის კოეფიციენტზე. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი კი შეიძლება ერთზე ნაკლებიც იყოს. მეცნიერთა აზრით, რეგრესული მოსახლეობის შენარჩუნებას მოჰყვება დეპოპულაცია.[27]

დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები გადასვლის სხვადასხვა ფაზაში იმყოფებიან. ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნის შუა ხანებში მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილიზაციის პროცესი დამთავრდება.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ზემოთ მოცემული სქემა, საქართველოსთვის შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი ფაზა დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში. მისი ხანგრძლივობა საკმაოდ დიდი იყო და მან XX საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდამდე გასტანა. ამ პერიოდიდან საქართველო შესვლას იწყებს მეორე ფაზაში. მესამე ფაზაში ქვეყანა 60-იანი წლების დასაწყისში შევიდა და მან 1990-იანი

---

[26] გ.წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2000წ., გვ. 181.

[27] გ. წულაძე, მ. მელაძე, დემოგრაფიული გადასვლის შედეგი: სტაბილიზაცია თუ რეგრესი? საქართველო 1998 წ., №9 გვ. 171-179.

წლების შუა პერიოდამდე გასტანა. ამჟამად საქართველო მეოთხე ფაზაში იმყოფება.[28] ე.ი. იქმნება პირობა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის შეწყვეტისათვის.

XX საუკუნის ბოლოს ყურადღება იქნა გამახვილებული "მეორე დემოგრაფიული გადასვლის" თაობაზე. რომლის შინაარსიც გულისხმობს შობადობისა და მოკვდაობის უახლესი რეჟიმის ფორმირებას.

1990-იან წლებში უკვე ჩნდება «მეორე დემოგრაფიული გადასვლის" ალტერნატიული შეხედულება, რომლის თანახმადაც მსოფლიოს დემოგაფიულად განვითარებულ ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული რეჟიმი იშვიათადაა აღიარებული მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპად, რასაც «ცივილიზებული ტიპი" უწოდეს: საქართველო არსებული დემოგრაფიული რეჟიმით, კარგა ხანია დემოგრაფიულად განვითარებული ქვეყნების რიგში მოიხსენება. შესაბამისად, როდესაც მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ხასიათზეა საუბარი. იგი მასაც ეხება მით უფრო, რომ მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება 1990-ანი წლების შუა პერიოდში აღინიშნება და XXI საუკუნის დასაწყისში იგი მოსახლეობის ბუნებრივი კლების, ანუ დეპოპულაციის ღია ფორმით გამოვლინდა.[29] ადრე თუ გვიან ყველა ქვეყნის მოსახლეობა შეწყვეტს ზრდას და სტაციონალურ მდგომარეობაში გადავა. სტაციონალური მოსახლეობა კი არის თეორიული მოსახლეობა, როდესაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი ნულის ტოლია და მოსახლეობის რაოდენობა უცვლელია.[30] ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც ქართველია სულ ერთი არ არის რა რიცხოვნების მქონენი შეწყვეტენ ზრდას. დგება საკითხი, ხომ არ გვემუქრება ფიზიკური გაქრობის საშიშროება?

თვალი გადავავლოთ შობადობის დინამიკას საქართველოში. მოსახლეობის ყოველ ათას სულზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ 35-დან 40-მდე ბავშვი იბადებოდა.1913 წელს დაიბადა 28, 1960 წელს 102,8 ათასი, ხოლო 2001 წელს 40 ათასი ბავშვი, მიუხედავად იმისა, მოსახლეობის რიცხოვნობა მაშინ თითქმის ერთი მილიონით ნაკლები იყო ვიდრე XXIUსაუკუნის დასაწყისში.

შობადობასთან ერთად მოსახლეოიბის ზრდის ტემპებს განსაზღვრავს მოკვდაობაც. იგი საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო. 1960 წელს მან ყველაზე

[28] გ. წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2000 წ., გვ. 181.
[29] ვ. სულაბერიძე, დეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება, თბ. 2004 წ.

[30] გ.წულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 175.

დაბალ მაჩვენებელს მიაღწია (6,5%). და დიდი ხნის განმავლობაში სტაბილური იყო, ან ოდნავ იზრდებოდა, 90-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი არაორდინალური ვითარების გამო, მკვეთრად გაიზარდა და 10 პრომილეს გადააჭარბა 2000 წლის მონაცემებით კი იგი 9,1 პრომილეს შეადგენს. (სპეციალისტების აზრით, ეს მაჩვენებელი გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის მოშლის გამო, ხელოვნურად შემცირებულია). მოკვდავობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს წარმოადგენს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი, რომელიც საქართველოში 2002 წელს 23,8 პრომილეს შეადგენდა.

შობადობისა და მოკვდავობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე. (დაბადებათა და გარდაცვალებათა ერთობლიობის განზოგადებული ტერმინი, რომელიც ცვლის მოსახლეობის რაოდენობას). ე. ი. იმის შესახებ, იზრდება თუ მცირდება მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით შეადგენდა: 1960 წელს - 18,2; 1990 წელს -8,6; 1995 წელს – 3,8; 2000 წელს კი ნაცვლად მატებისა ადგილი ჰქონდა კლებას და ამ მაჩვენებლებმა მინუს 0,2 პრომილე შეადგინა. დეპოპულაცია მსოფლიოს სულ 14 ქვეყანაში აღინიშნება და მათ შორის ერთერთი საქართველოა. უნდა აღინიშნოს, რომ დეპოპულაცია საქართველოს ყველა რეგიონში შეიმჩნევა აჭარის, ქვემო ქართლისა და სამცხეთ ჯავახეთის გარდა.

ამ საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს ბადებს. რადგან ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენლები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე ქვეყნის მკვიდრი ეთნოსის წარმომადგენლები – ქართველები. 2001 წელს საქართველოში ქართველთა ბუნებრივ მატებას აზერბაიჯანელთა შესაბამისი მაჩვენებელი 17 ჯერ, ხოლო ქურთების 19,7 ჯერ აღემატებოდა.[31]

საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება; მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე;

---

[31] ლ. ჩიქავა, მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული II, თბ. 2004 წ., გვ. 6-9.

დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე. როგორც ქართველი დემოგრაფების გამოთვლები გვიჩვენებენ, ქვეყანაში 65 წლისა და უფრო მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 13,1% შეადგენს.[32] თუ ამ მაჩვენებელს შევუდარებთ გაეროს კვალიფიკაციით დადგენილ დაბერების ზღვარს – 7%-ს, აღმოჩნდება რომ იგი საკმაოდ მაღალია.

უკვე მოტანილი მონაცემები მეტყველებენ საქართველოს დღევანდელ მწვავე დემოგრაფიულ ვითარებაზე, მაგრამ კიდევ უფრო სავალალოა მისი მომავალი დემოგრაფიული ვითრება, რადგან ქართული გენოფონდის გადაშენების საშიშროების წინაშე ვდგავართ. ვაშინგტონში ფუნქციონირებადი მსოფლიოს მოსახლეობის ბიურო, მომავალში საქართველოს მოსახლეობის ასეთ დინამიკას ვარაუდობს (მლნ-ობით): 2000წ. – 4,4; 2025წ. – 3,6; 2050 წ. – 2,5 ე. ი. 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 2000 წელთან შედარებით შემცირდება 1,9 –მილიონი კაცით, ხოლო 1989 წელთან შედარებით 2,9 მილიონი კაცით. ასეთი ტემპით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის ნავარაუდევი [33].

ქართველ დემოგრაფთა აზრით, აუცილებელია ქვეყანაში დროულად გატარდეს გონივრული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად შეძლებს დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერებასა და არსებული სიტუაციის სტაბილიზირებას. შედეგიანი პოლიტიკის გატარებისათვის კი აუცილებელია მრავალ სხვა საკითხთან ერთად შევისწავლოთ ქვეყნის ცალკეული სოციალური ჯგუფების რეპროდუქციული ქცევა, ყველა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს შობადობის დონის ამაღლებას.

§5 მართლმადიდებლური სარწმუნოება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

[32] გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული ათწლეული _ 2002 თბ. 2003 წ., გვ.,28.

[33] ლ. ჩიქავა, დასახ. ნაშრ. გვ. 12.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ რელიგიას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია საზოგადოებაში. აღვნიშნეთ ისიც, რომ უმთავრესი არის ადამიანის ცხოვრების გასაზრისება. საუკუნეების განმავლობაში რელიგიის ინსტიტუტი უზარმაზარ გავლენას ახდენდა ამა თუ იმ საზოგადოების ცხოვრებაზე, განსაზღვრავდა რა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მათ შორისაა საოჯახო- საქორწინო ურთიერთობები. რადგან ჩვენი კვლევის მიზანია მართლმადიდებელთა დემოგრაფიული ორიენტაციების შესწავლა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ, რას გვასწავლის ქრისტიანობა (კონკრეტულ შემთხვევაში კი მართლმადიდებლობა) ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

“ცხოვრებაში შესაწევნელად და კაცთა ნათესაობის განსაგრძობად კაცი და ქალი ირჩევს ერთიმეორეს, აღუთქვამენ ერთმანეთს ერთგულებას, იწყებენ ერთად ცხოვრებას და იწოდებიან ცოლ_ქმარად. ქმარი და ცოლი ეწევა ერთსა და იმავე უღელს _ ოჯახობას, შვილების აღზრდას და სხვ. ამიტომაც ცოლ-ქმარი იწოდებიან კიდევ მეუღლეებად. ქრისტიანული წესით ქალმა და კაცმა, რომელთაც ერთი მეორე აირჩიეს საუკუნო ამხანაგებად და სურთ იყვნენ მეუღლეებად, ჯვარი უნდა დაიწერონ. ჯვარდაუწერლობა სჯულის წინააღმდეგია. ცოლქმრული კავშირის კურთხევა ღვთის ნებაა. პირველი ცოლ-ქმარი ადამი და ევა აკურთხა თვითონ ღმერთმა სამოთხეში: “და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას” (შექ. 1. 28). ახალ აღთქმაში თვით იესო ქრისტემ კანას გალილეას ქორწილზე დასწრებით აკურთხა ცოლქმრული კავშირი.[34]

ცოლ-ქმრობა თავად ღმერთმა დააწესა: როცა ღმერთმა შექმნა პირველი კაცი ადამი“ თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტო ყოფნა. გავუჩენ შემწეს. მის შესაფერს და შეუქმნა მას შემწე მისივე გვერდიდან და მიუყვანა მას. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი, დედაკაცი ერქვას მას. რაკი კაცისაგან არის გამოღებული. ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთ ხორცად იქცნენ. (დაბ. თქმა 18, 22, 23, 24), ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც (მარკ. 10, 6).

ქორწინება რადგან ღვთის დადგენილია, ამიტომ ყოველ ქრისტიანს, ვისაც სურს, შეუძლია იქორწინოს. როგორც პავლე მოციქული წერს: “კაცად-კაცსა (თითოეულ კაცს)

[34]ცოლ-ქმრობა, შედგენილი მღვდლის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ ტ. ფ. 1899 წ., გვ. 3-4.

თავისი ცოლი ესვინ (ყავდეს) და თვითეულსა ქალსა თავისი ქმარი ესვინ ... თუ იქორწინოს, ქორწილი არა სცოდა" (1კორ. 7, 2, 28). იგივე მოციქული წერს: "პატიოსანის ქორწილი ყოვლითავე და შეუგინებელი" (ებ. 13, 4); მაგრამ ყოველ ქრისტიანისათვის სავალდებულო კი არ არის ცოლქმრობა; უკეთუ კაცს შეუძლია უცოლოდ ან ქალს უქმროდ წმინდათ თავის დაცვა, შეუძლია სრულიად არ იქორწინოს, არ მოეკიდოს ცოლქმრობას, ხოლო უკეთუ აქვს იგეთი მიზიდულობა ცოლქმრობისადმი, რომ უიმისოდ თავს წმიდად ვერ დაიცავს, უმჯობესია იქორწინოს. ამაზედ მოციქული პავლე წერს : "ვეტყვი უქორწინებელთა მათ და ქვრივთა, კეთილ არს მათდა, უკეთუ ეგნენ (იყვნენ) ესრეთ, ვითარცა მე; (ე.ი. ქალწულად, უქორწინებელად); ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინედ, რამეთუ უმჯობეს არს ქორწინება, ვიდრე განხურვება (1კორ. 7,8, 1ტიმიტ. 5, 14). [35]

კემბრიჯისა და აბერდინის უნივერსიტეტებისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორი მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი წერს : ქორწინება სასწაულია დედამიწაზე, სამყაროში, სადაც ყველა და ყველაფერი განცალკევებისკენ მიილტვის, ქორწინება არის ადგილი, სადაც ორი ადამიანი ურთიერთსიყვარულით უკავშირდება ერთმანეთს. ესაა ადგილი, სადაც განხეთქილება თავდება და იწყება ერთობლივი ცხოვრების ხორცშესხმა. ამაში მდგომარეობს ადამიანურ ურთიერთობათა ყველაზე დიდი სასწაული. უცბად ორნი ერთ პიროვნებად იქცევიან, ორი პირი ურთიერთსიყვარულით და ერთმანეთის ბოლომდე მიღებით რაღაცით უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე უბრალო წყვილი, ორი ადამიანი ერთ მთლიანობად იქცევა.[36]

ეკლესიის ერთ_ერთმა მამამ ძველ დროში თქვა, რომ არ შეუძლია არსებობა საიდუმლოებების გარეშე. ქორწინება, როგორც ერთობა დანაწევრებულ სამყაროში, არის ისეთი საიდუმლო, რომელიც აღემატება ყოველგვარ ბუნებრივ ურთიერთობას, ყოველგვარ ბუნებრივ მდგომარეობას. და ხორციელი ქორწინებაც ასევე, ეკლესიის ერთ-ერთი მამის სწავლებით, გვევლინება საიდუმლოდ, რომელიც ჰგავს ევქარისტიას.[37]

---

[35] დასახ. ნაშრ. გვ.5.

[36] მიტროპოლიტი ა. სუროჟელი, სიყვარულის საიდუმლო, საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე, თბ. 2000 წ., გვ. 3.

[37] იქვე, გვ. 8-9.

ბიბლიაში ქორწინების ერთადერთ ფორმად გამოცხადებულია მონოგამია, ე.ი. ქმარს უნდა ჰყავდეს ერთი ცოლი და ცოლს ერთი ქმარი. ეს ცხადად ჩანს იქიდან, რომ ღმერთმა ადამს ერთი ცოლი შეუქმნა. მოციქული პავლე წერს:" ყველა კაცს თავისი ცოლი ყავდეს, ყველა ქალს თავისი ქმარი" (1კორ. 7. 2), ცოლქმრობას კი საფუძვლად მოწონება უდევს. "როდესაც ადამიანებმა გამრავლება იწყეს დედამიწაზე და ასულები შეეძინათ, დაინახეს ღვთის შვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად ვისაც ვინ მოეწონებოდათ" (დაბ. თ. 6. 1,2).

ცოლქმრული ურთიერთობის საფუძველი სიყვარულია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქრისტიანობა ეს არის რელიგია, რომელიც ქადაგებს სიყვარულს. ზემოთ, როდესაც რელიგიის ფუნქციებზე ვსაუბრობდით, აღვნიშნეთ, რომ მას აქვს ზნეობრივი ფუნქცია. აქ კი გვინდა, ცოტა ფართოდ შევეხოთ ამ საკითხს. ზნეობრივი ფუნქცია უმთავრესია რელიგიის ფუნქციებს შორის. რადგან ყოველი რელიგიის, მითუმეტეს ქრისტიანობის რელიგიური სისტემების სამყაროსეული ხედვის ცენტრში ადმიანები დგანან, მათი ცხოვრება, ქცევა, ურთიერთმიმართებები. ადამიანში, როგორც ფოკუსში, კონცენტრირდება ქრისტიანული მსოფლშეგნება. მის ზნეობრივ მოთხოვნებს მორწმუნეები აღიქვამენ როგორც უარსებითეს სულიერ ფასეულობებს. ღმერთმა, მაცხოვარმა დაგვიდგინა ადამიანთაშორისი ზნეობრივი ურთიერთობების წესები, შეგნებულად უნდა მივსდიოთ მათ, რათა ვეზიაროთ სიკეთესა და ბედნიერებას, საბოლოოდ კი სამუდამო სასუფეველს. ადამიანთა ზნეობრივი განწმენდა და სრულყოფა, ქცევა-მოქმედების იმ წესებისა და მოთხოვნების განუხრელი დაცვა და დაკავება, რასაც უქადაგებს ქრისტიანული რელიგია არის გარანტი სამუდამო სასუფევლისა. ღვთაებრივი სიბრძნის შესაბამისად ზნეობრივი ადამიანი უნდა იყოს წმინდა, " მშვიდი, თვინიერი, მორჩილი, გულმოწყალებითი და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და პირდაპირი" (იაკ. 3. 17). ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანთა შორის ურთიერთმიმართებების საფუძველი სიყვარულია და, ბუნებრივია, სიყვარულია ცოლქმრული ურთიერთობის საფუძველიც.

წმინდა წერილები გვასწავლიან, რომ ქმარი ვალდებულია უყვარდეს თავისი ცოლი, პატივს სცემდეს მას, ცხოვრობდეს მასთან და ისე ზრუნავდეს იმისთვის, როგორც თავისთვის. ამის შესახებ მოციქული პავლე წერს : "ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და მისცა თავისი თავი მისთვის"(ეფ. 5. 25). მაგრამ ქრისტემ როგორ შეიყვარა ეკლესია _ მთელი სიყვარულით,

მთელი ცხოვრებით, მთელი მისწრაფებით. “ქმრებს ისე უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეული; ცოლის მოყვარეს თავისი თავი უყვარს” (ეფ. 5. 28). “ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს და ასევე ცოლი _ ქმარს” (1კორ. 7, 3).

მოციქული პავლე წერს : “ჰმორჩილებდეთ ერთმანეთს ქრისტეს შიშით; ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს; ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თვითვეა სხეულის მხსნელი; მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს ყველაფერში; ასევე თითოეულ თქვენთაგანსაც უყუვარდეს ცოლი თავისი, როგორც თავი თვისი, ხოლო ცოლს ეშინოდეს თავისი ქმრისა” (ეფეს. 7. 21, 22, 23, 24, 33)

“ეს წერილი, ერთის მხრივ, მეტყველებს ეკლესიასა და ქრისტეს შორის მეტად ღრმა ურთიერთობაზე. ქრისტე მოევლინა ქვეყნიერებას კაცობრიობის გამოსახსნელად; ღმერთი განკაცდა და ამ გამოხსნას იგი ახორციელებს თავისი სიცოცხლისა და სიკვდილის ფასად. ეს არის პირველი, რაზეც უნდა იფიქრონ მამაკაცებმა, როდესაც ქორწინდებიან : მათ უფლისგან ებოძებათ სუსტი არსება, რომლის სიყვარულიც უნდა იყოს ისეთი, რომ ქმარი მზად იყოს შესწიროს ყველაფერი, მთელი თავისი სიცოცხლე ცოლისა და შვილებისადმი სიყვარულს.

ხოლო ცოლი წარმოადგენს ხატს, ეკლესიის სახეს. ეკლესიას თითქოს ორი სახე აქვს. ის არის _ საცოლე, _ მოხარული იმის გამო, რომ უყვარს ღმერთს და უყვარს ისეთი სიყვარულით, რომელიც განცხადებულია ქრისტეში. მაგრამ, ამასთან ის არის კრავის, ე.ი. დაკლული მაცხოვრის საცოლეც, ის არის საცოლე, რომელმაც იმდენად, ისე ღრმად, ისე სრულყოფილად შეიყვარა თავისი საქმრო, რომ მტკიცე ერთგულებით შეუძლია მიატოვოს ყველაფერი, დაივიწყოს ყველაფერი, მოსწყდეს ყველაფერს მისდამი სიყვარულის გულისთვის და გაჰყვეს მას, სადაც არ უნდა წავიდეს იგი, თუ საჭიროა _ საწამებლად, თუ საჭიროა _ ჯვარზე გასაკრავად”.[38]

ცოლ_ქმარნი უნდა იყვნენ ერთი_მეორის ერთგულნი, სხვას არ უნდა გაუზიარონ ცოლ_ქმრული სიყვარული, არ უნდა იმრუშონ. თვით იესო_ქრისტე ბრძანებს : “გესმა რამეთუ ითქვა : არა იმრუშო” (მათ. 5, 27. 19, 8 ; ლუკ. 18. 20 ; რომაელთა 13, 9; იაკობ. 2, 11). მოციქული პავლე წერს : “ცოლი კი არ არის საკუთარი სხეულის უფალი, არამედ ქმარი. ასევე ქმარიც როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ცოლი” (1კორ. 7. 4).

[38]ანტონ სუროჟელი, დასახ. ნაშრ. გვ. 37-38

ცოლ_ქმარნი ვალდებულნი არიან, ერიდონ თვალთ_ბოროტებას და ცუდ გულისთქმასაც. “იმიტომ, რომ, როგორც მრუშება, ეგრეთვე ყოველი ცოდვა პირველად გულისაგან წარმოსდგება. ამის გამო ყოველი კაცი უნდა ეცადოს, რომ ბოროტებამ არ შეიპყრას და გული წმინდა იქონიოს “.[39]

წმინდა წერილების მიხედვით, ვინც ცოლქმრულ კავშირს არღვევს, ის მძიმე ცოდვაში ვარდება. ის პასუხისმგებელია თავისი სულის, ხორცის და სინდისის წინაშე, თავისი მეუღლის, საზოგადოების და ღვთის წინაშე. იმიტომ, რომ ის ბოროტი საქმით ავნებს თავის ხორცსა და სულს, მით ღალატობს თვის მეუღლეს, ვნებას აძლევს საზოგადოებას და არღვევს ღვთის მცნებას.[40]

ქრისტიანული ზნეობა შეუთავსებელია ოჯახის დაშლასთან საკმაო საფუძვლის გარეშე. “ნუ განეშორებით ერთმანეთს, თუ არა დროებით, ურთიერთშეთანხმებით, რათა ლოცვისა და მარხვისათვის მოიცალოთ, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდით ერთიმეორეს, რათა სატანამ არ გაცდუნოთ თქვენი თავშეუკავლებლობის გამო”(1კორ 7,5).ძირითადი პოსტულატი, რომელიც განსაზღვრავს ქრისტიანის დამოკიდებულებას განქორწინებისადმი შემდეგია: “ის რაც ღმერთმა შექმნა ადამიანმა არ უნდა დაარღვიოს”. წმინდა წერილები გვასწავლიან “დაქორწინებულით მე კი არ ვეუბნები, არამედ უფალი: ცოლონ ნუ გაეყრები ქმარს”. “ცოლიანი ხარ? ნუ ეძებ ცოლთან გაყრას, ცოლგანაშვები ხარ? ნუ ეძებ ცოლს”(I კორ 7. 10, 27).

ამ ზნეობრივი ნორმის დამრღვევმა უნდა შეასრულოს დამატებითი მოთხოვნა: “ თუ გაეყრება აღარ გათხოვდეს, ანდა შეურიგდეს ქმარს და ნურც ქმარი მიატოვებს ცოლს(I კორ 7,11).

ცოლქმრული გაერთიანების დაშლის საპატიო მიზეზი მხოლოდ ერთ_ერთის _ ცოლის ან ქმრის სიკვდილი შეიძლება იყოს. რჯულით შეუღლებულებს, ჭეშმარიტ ცოლ_ქმარს მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებს ერთმანეთს. ასეთ პირობებში ქრისტიანული ზნეობა დასაშვებად თვლის ხელახალ ქორწინებას. “გათხოვილი ქალი ქმრის სიცოცხლეში მასთან შეკრულია რჯულით, ხოლო თუ ქმარი მოკვდა, განთავისუფლდება ცოლქმრობის რჯულისაგან”(რომ. 7, 2). და მას უფლება აქვს სხვას

[39] ცოლ-ქმრობა, გვ. 9.

[40] ცოლ-ქმრობა, გვ. 9.

გაჰყვეს ცოლად. ქალი რჯულითაა შეკრული სანამ ცოცხალია იმისი ქმარი, ხოლო თუ ქმარი მოუკვდა, თავისუფალია, ვისაც უნდა იმას გაჰყვეს, მხოლოდ უფლის მიერ”(I კორ 7,39).

ვინც არ შეასრულებს უფლის ზნეობრივ განაწესს, ცოდვას სჩადის, ქალის და კაცის ოჯახური გაერთიანების დაშლის მეორე, ამჯერად უკვე არასაპატიო მიზეზი _ ღალატია ცოლის ან ქმრის მხრიდან,ქრისტიანული ზნეობა ვერ უთავსდება მას როგორც მძიმე ცოდვას, რომლისთვისაც მოღალატეს პასუხი მიეკითხება უფლის მიერ.

თვით ქრისტიანობის შიგნით განქორწინებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებაა, კათოლიკები უფრო მკაცრად ეკიდებიან მას ვიდრე მართლმადიდებლები და პროტესტანტები. მათთან ის მიჩნეულია ცხოვრების უდიდეს ტრაგედიად, თუმცა დაშვებულია. ეს ფაქტი მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის მიერ ამგვარადაა ახსნილი: გაყრის წერილის მიცემის უფლება მოსემ ადამიანებს მისცა მათი გულქვაობის გამო.

მართლმადიდებლობა მეორედ ქორწინებას უშვებს, რადგან მიიჩნევს, რომ “მეორედ ქორწინება არის მკურნალობა სიძვისაგან და არა სიბილწის მიზეზი”. “მესამედ ქორწინება არის უწმინდურობა, მაგრამ სიძვაზე უკეთესია”.[41]

ყოველივე ზემოთთქმული ცხადჰყოფს, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის ქორწინება და ოჯახი მნიშვნელოვანი ფასეულობაა.

ქრისტიანული ზნეობა ამართლებს ცოლქმრულ ერთიანობას, მეუღლეთა ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას. მორწმუნე ქრისტიანი (მართლმადიდებელი) ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს, რომ საკუთარი ქცევა და მოქმედება ღვთის მიერ დადგენილ ზნეობრივ მოთხოვნებსა და წესებს შეუფარდოს.

ჩვენს ნაშრომში განხილულია მორწმუნე მართლმადიდებელთა დემოგრაფიული ორიენტაცია. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, აუცილებელია გავარკვიოთ თავად ამ ცნების ქვეშ რა იგულისხმება. რა არსებითი ნიშან_თვისებებით გამოირჩევა იგი. რას ნიშნავს ქრისტიანი ადამიანის მორალური ცნობიერება, რომელიც განსაზღვრავს მის ქცევას. ღმერთის რწმენა იწვევს ადამიანის ტრანსფორმაციას თვით ღმერთის, ერთმანეთისადმი სიყვარულის და პატივისცემის მიმართულებით, ე.ი. ღმერთის რწმენა განსაზღვრავს

---

[41] რჯულის კანონი (ერისკაცთათვის), ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი, ოზურგეთი, 1996 წ., გვ. 66-67.

ადამიანის მთელ პრაქტიკულ ზნეობას. იყო მორწმუნე ქრისტიანი _ ეს ამასთანავე ნიშნავს იყო ზნეობრივი. რწმენა ადამიანს ხდის პასუხისმგებელს ღვთის წინაშე და ავალდებულებს წარმართოს საკუთარი ქცევა ღვთის ნების შესაბამისად. მორწმუნის სარწმუნეობრივი მოწოდებაა, რომ საკუთარი ქცევა და მოქმედება ღვთის მიერ დადგენილ ზნეობრივ მოთხოვნებსა და წესებს შეეფარდოს. იმის შეგნება და განცდა, რომ ღმერთი, როგორც ყოვლის მხილველი ხედავს თითოეული ადამიანის ქცევას, და რომ იგი საკადრისს მიუზღავს მათ თავიანთი მოქმედებისათვის _ ადამიანში ზრდის მოკრძალებას, მორიდებას, გარემომცველი წრისადმი ანგარიშის გაწევის, სიყვარულის, პატივისცემის, მიტევების, დათმობის და ურთიერთობისათვის საჭირო სხვა კეთილშობილურ თვისებებს, მორწმუნის ქცევის კონტროლი ხდება თავად სარწმუნოებით. რადგან "რწმენა საბოლოო ანგარიშით, ადამიანის სულით შეხვედრაა ღმერთთან".[42] თავად ქრისტიანული სარწმუნოება აყალიბებს მორწმუნეში იმის შეგნებას თუ რა სახის ქცევა და მოქმედებაა სასურველი ან არასასურველი, სასარგებლო თუ უსარგებლო, მისაღები თუ მიუღებელი. მორწმუნეს სჯერა, რომ წმინდა წერილების ზნეობრივი შეგონებების გატარებით, დაცვით ახორციელებს ღვთის ნებას და ცხოვრების მიზანიც ეს უნდა იყოს. რათა "ვყოთ ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულოთ მისი საქმე"(იოან.4.34). ე. ი. ღმერთის რწმენა ემსახურება ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებას მაღალ და საყოველთაო ზნეობრივ საფუძველზე. ღმერთი არა მარტო ავსებს ადამიანებს მათი სამოქმედო ზნეობრივი მოთხოვნებითა და წესებით, არამედ თვით აჩვენებს მათ ქცევის ნიმუშს. ქრისტე – ძე ღვთისა, _ მორწმუნისათვის არის ზნეობრივი იდეალი. პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ: "ჩემი სიცოცხლე ქრისტეა"(ფილლიპ 1.21). ქრისტე განასახიერებდა ადამინთა თვალწინ ღვთის ნებას. ადამიანმა უნდა მიბაძოს ქრისტეს, "იაროს ისე როგორც იარებოდა იგი"(იოან 2.21.). ეს არის სვლა სიყვარულის, სიკეთის, სათნოების, ცოდვათა მიტევების, თანაგრძნობის, თანადგომის, მოთმინების, ჭირსა შიგან გამაგრების, მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრების გზით, სვლა სამუდამო სასუფევლისაკენ. ასეთი იყო უზენაესის მიერ ამქვეყნად მოვლინებული ქრისტეს ცხოვრება, სამაგალითო ადამიანებისათვის. "წმიდანი იყავით, რადგან მე წმიდა ვარ"(1პეტრ 12-16). "როგორც

[42] Франк С. Духовные основы общества, м. 1992 г., ст. 225

წმიდაა თქვენი მხმობელი, თქვენც წმიდანი იყავით ყველა თქვენი მოქმედებისას”(1პეტრ 1. 15). ის ვინც სრულიად შეითვისებს და ახორციელებს ზნეობრივი ცნების ღვთაებრივ მცნებებს, _ ამით ავლენს სიყვარულს მისდამი ყველა სასიკეთო შედეგით, “თუ ვინმე იმარხავს მის სიტყვებს, მასში ჭეშმარიტად აღსრულდა ღმერთის სიყვარული, ამით შევიცნობთ რომ ჩვენ მასში ვართ (1იოან. 2,5) “და რასაც ვითხოვთ მივიღებთ მისგან ვინაიდან ვიმარხავთ მის მცნებებს და ვყოფთ სათნოებას მის წინაშე”(1იოან 3.22). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მორწმუნეს ზნეობრივი ქცევისაკენ უბიძგებს არა მარტო ღმერთისადმი სიყვარული, არამედ მის წინაშე შიშიც . ბიბლია მოუწოდებს მორწმუნეებს: “ემსახურეთ უფალს შიშით და შეჰღაღადეთ თრთოლვით”(ფსალმ 1.11) და ამასთან განმარტავს, რომ ღვთისადმი შიში განარიდებს და იხსნის მათ გაჭირვებისაგან. “მოიშიშეთ უფლისა, წმიდანო მისნო, რადგან არა აქვს შეჭირვება მოშიშებს მისას”(ფსალმ 33.10). ჭეშმარიტ ღვთისმოშიშ ადამიანს ყოველთვის აქვს იმის განცდა, რომ ზნეობრივი განაწესის დარღვევით სათანადოდ დაისჯება ღმერთის მიერ, ამდენად, ღვთისმოშიშობა ადამიანთა საღი ურთიერთობის საშუალებად გვევლინება. ღვთისმოშიშობა ზრდის ადამიანის ზნეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებას.[43] ამრიგად მორწმუნე ადამიანის დახასიათებით ნათელი გახდა, რომ მისი ქცევა განსაზღვრულია რწმენით. ე. ი. სარწმუნოება უდიდეს როლს თამაშობს მორწმუნე ადამიანის ქცევაზე და რა თქმა უნდა დემოგრაფიულ ქცევაზეც. ბიბლიის, წმინდა წერილების, მოციქულთა და გამოჩენილ თეოლოგთა შეხედულებები ქორწინების, ოჯახის, განქორწინების, ცოლ-ქმრული ერთგულებისა და ოჯახური ურთიერთობების შესახებ ისეთია, რომ მართლმადიდებელი მორწმუნის დემოგრაფიული ორიენტაციების მიმართულება და შინაარსი, მხოლოდ გამორჩეული როლის შესრულებას განაპირობებს თაობათა აღწარმოების პროცესში.

მეორე თავი

ოჯახის ადგილი მართლმადიდებელ მორწმუნეთა ფასეულობათა ორიენტაციებში

§1 მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური შემადგენლობა

[43] ლელა კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბ. 1995 წ., გვ. 61_63.

დემოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის შესწავლა წარმოადგენს. ოჯახურ შემადგენლობას ახასიათებენ რიგი მაჩვენებლებით. პირველ რიგში დგინდება მოსახლეობის ის რიცხოვნობა, რომელიც ოჯახში ცხოვრობს. საქართველოს მოსახლეობის 1989 წლის აღწერით ქვეყნის 5. 400, 0 ათასი მცხოვრებიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა 5048,6 ათასი ე. ი. მცხოვრებთა 93,5%. საქართველოს პირველი ეროვნული აღწერა რომელიც 2002 წელს ჩატარდა ოჯახების შესახებ ინფორმაციას არ იძლევა. მასში მოცემულია მონაცემები შინამეურნეობის შესახებ.

ასეთი პრინციპული ცვლილება განაპირობა სტატისტიკის სფეროში განვითარების საერთო მიმართულებამ, აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლისა და აღწერის მონაცემების იმ ქვეყნების მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ, რომელთა უმრავლესობაში მოსახლეობის აღწერებსა და გამოკვლევებში დაკვირვების ობიექტს "შინამეურნეობა" წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს რეკომენდაციებში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის აღწერების ჩატარებისას, სწორედ ამ კატეგორიას ეძლევა უპირატესობა.[44] შინამეურნეობა" გულისხმობს პირთა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ადგილზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით) და ნათესაური და არანათესაური ურთიერთობით. იგი შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც, რომელიც წინა აღწერებში აღიწერებოდა როგორც "მარტოხელა" .[45]

ორი და მეტწევრიანი ოჯახების რიცხოვნობისა და საშუალო სიდიდის დინამიკა 1989-2002 წ.წ -ში[2]

წელი	ოჯახების რიცხვი	მათ შორის წევრთა რიცხვი									ოჯახის საშუალო რიცხვი
		2კაცი	3კაცი	4კაცი	5კაცი	6კაცი	7კაცი	8კაცი	9კაცი	10და Mმეტი კაცი	
1989	1243677	264490	242576	313964	200272	122192	53049	23623	10246	13235	4,1

[44] საქ. მოს-ბის 2002წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ.I თბ. 2003წ.,გვ.12.
[45] იქვე, გვ.12.

2002	1000004	193381	206165	265965	171598	100911	39570	12993	5133	4288	4,0
საოჯ. კერძო შინ-ეობა	1000181	192992	206146	266034	171747	101049	39689	13041	5158	4325	4,0

წარმოდგენილი ცხრილი აჩვენებს, რომ ადგილი აქვს ოჯახების რიცხოვნობის შემცირებას. თუ 1989 წლის ოჯახების რიცხოვნობას შევადარებთ 2002 წლის საოჯახო კერძო შინამეურნეობების რიცხოვნობას შემცირება გამოიხატება 243 496 ერთეულით, ხოლო თუ შევადარებთ ოჯახებს, მაშინ შემცირება

2. ცხრილი შედგენილია 1989 და 2002 წლის აღწერის მასალებით. საქართველოს ოჯახი სტატისტიკური კრებული თბილისი 1992წ გვ. 6; საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ. მე_4 თბ. 2004 წ გვ. 24

გამოიხატება 243 673 ერთეულით. შემცირება მოხდა ოჯახების საშუალო სიდიდის მიხედვითაც. 1989 წელს საქართველოში ოჯახების საშუალო სიდიდე შეადგენდა 4,1. 2002 წლისათვის შინამეურნეობის (ოჯახის) საშუალო სიდიდემ 4,0 შეადგინა.

ოჯახების დაჯგუფება მიმდინარეობს სიდიდის მიხედვით (ოჯახებში ერთად მცხოვრებ წევრთა რიცხვი); შვილთა რიცხვის მიხედვით, ოჯახის წევრთა ეროვნული ნიშნის მიხედვით და სხვა.

მართლმადიდებელ მორწმუნეებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ მათი ოჯახები ერთად მცხოვრებ წევრთა რიცხვისა და შვილთა რიცხვის მიხედვით. ოჯახში წევრთა რიცხვის მიხედვით მოპოვებული მონაცემების დაჯგუფებამ აჩვენა, რომ ყველაზე ბევრია ოთხი (28%) და ხუთ წევრიანი (26%) ოჯახები, ხოლო ყველაზე მცირე რვა და მეტი სულისაგან (2%) შემდგარი და აგრეთვე ორ წევრიანი ოჯახები (5%). ექვსი წევრისაგან შემდგარი ოჯახები (18%) ხუთი პროცენტით უსწრებს სამწევრიანებს.

მორწმუნეთა ოჯახების განაწილება ერთად მცხოვრებ წევრთა რიცხვის მიხედვით (%)

ერთად მცხოვრებ წევრთა რიცხვი	2	3	4	5	6	7	8 და მეტი	ჯამი
	5	13	28	26	18	8	2	100

რაც შეეხება ოჯახის სხვა წევრებთან ნათესაურ დამოკიდებულებებს, მასზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პასუხი კითხვაზე: "ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები"? დადგინდა, რომ ჩვენი რესპონდენტების 83% ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, 61% - ქალიშვილთან, 59% - ვაჟიშვილთან ერთად, 26% _ თავის დედასთან და 16% _ თავის მამასთან ერთად ცხოვრობს. 14 % _ მეუღლის დედასთან და 9% _ მეუღლის მამასთან ერთად. ხოლო 14 %-ს ოჯახში ჰყავს თავისი ან თავისი მეუღლის დედმამიშვილი.

რესპონდენტების 86% დაოჯახებულია, ხოლო დანარჩენს (14%) ჯერ კიდევ არ შეუქმნია ოჯახი სხვადასხვა მიზეზის გამო. მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება "ვერ ვიპოვე ჩემი საბედო"_ 58%, სხვა მიზეზები კი უფრო ნაკლებადაა გავრცელებული. კერძოდ, ეკონომიკური მდგომარეობა _ 14%, ჯანმრთელობის მდგომარეობა _ 6%, უმუშევრობა _ 8%, უბინაობა _ 3% და "სხვა" მიზეზები _ 12%.

შვილთა რიცხვის მიხედვით ოჯახების დაჯგუფებისას დადგინდა, რესპონდენტების 38,08%-ს სამი და მეტ შვილიანი ოჯახი აქვს, 41%-ს ორშვილიანი, ხოლო 14,3%-ს _ ერთშვილიანი.

§2 მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება ქორწინებისა და ოჯახისადმი

ქორწინებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და უკავია ადამიანთა ცხოვრებაში. იგი დასაბამს აძლევს ადამიანის ახალ ცხოვრებას, იქმნება ოჯახი _ ადამიანთა საზოგადოებრივი გაერთიანების პირველი უჯრედი. იგი მოიცავს ცოლქმრულ კავშირს, მათ ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას ერთმანეთის, შვილების, გარემომცველი ადამიანებისა და საზოგადოების მიმართ.

ოჯახური ცხოვრების წესი ადამიანური ყოფიერების წესია. სწორედ ამიტომ ყოველი რელიგია, მათ შორის ქრისტიანობაც, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ოჯახისადმი, ქორწინებისადმი, მეუღლეთა ურთიერთობისადმი. აყალიბებს ამ ურთიერთობების მარეგულირებელ ზნეობრივ წესებსა და მოთხოვნებს.

ქრისტიანული რელიგია, ქორწინებას განამტკიცებს სპეციალური საკულტო მოქმედებით, რელიგიური საიდუმლოებით. მას სრულიად ახალი და სხვა სარწმუნოებრივი სისტემისათვის უცნობი, არსებითი მომენტები შეაქვს ქორწინების ზნეობრივი საფუძვლებისა და დანიშნულების გაგებაში. კერძოდ, ქორწინება არა მარტო ქალისა და მამკაცის საკუთარი ნების, არამედ ღვთის ნების გამოხატულებად მიაჩნია. ღმერთმა იმთავითვე შექმნა ადამიანი კაცად და ქალად, განაწესა ქმრად და ცოლად. აქედან მოყოლებული დაადგინა წესი : რომ მამაკაცი და ქალი უნდა გაერთიანდნენ ცოლქმრული კავშირით. ეს უნდა იყოს მათი ხორციელი და სულიერი გაერთიანება. იესომ აი რა უთხრა ფარისეველთ: არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან კაცად და ქალად შექმნა ისინი? და თქვა : ამიტომ მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას და შეერთვის ცოლს და იქმნებიან ორივენი ერთ ხორც. (მათ. 19,45)

ქორწინება დაკანონებულია ყველა ქრისტიანისთვის. “სიძვის თავიდან ასაცილებლად ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყველა ქალს _ თავისი ქმარი. ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს და ასევე, ცოლი _ ქმარს. თუ იქორწინებ, არა სცოდავ და თუ ქალწული იქორწინებს, არ სცოდავს.” (Iკორ. 7-23,28)

მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიაში სრულდება შვიდი საიდუმლო. (საიდუმლო არის განსაკუთრებული მღვდელ-მსახურება. ამ დროს ეპისკოპოსი (მღვდელი) ასრულებს დადგენილი წესით ღვთისმსახურებას (ეს არის ხილული მხარე საიდუმლოსი) და მორწმუნეზე, რომლისთვისაც სრულდება საიდუმლო უხილავად გადმოდის მადლი (ნიჭი, ძალა, შემწეობა) ღვთისაგან) [46]. მათ შორის ერთ_ერთი არის ქორწინება. წმინდა პავლე მოციქული ქორწინების შესახებ ამბობდა: ”საიდუმლო ესე დიდ არს: ხოლო მე გეტყვით ქრისტესა და ეკლესიისათვის”. (ეფეს.5,32)

ქორწინების საიდუმლოს უხილავი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაქორწინებულები ღვთაებრივ მადლს აზიაროს, რომ ღმერთმა დაიცვას ზნეობრივ სიწმინდეზე დაფუძნებული მათი მომავალი ოჯახური კავშირი. ამასთან, ქორწინების მღდელმსახურებით დაქორწინებულები პასუხისმგებლობას კისრულობენ ღვთის წინაშე, რომ თანხმობით გასწევენ თავიანთი ცოლქმრული ცხოვრების ჭაპანს, განამტკიცებენ ქრისტეს რწმენას, განუხრელად მისდევენ ქცევის ღვთაებრივ მცნებებს სიტყვით და საქმით. სიყვარულის, ერთგულების, ურთიერთგაგების სანთლით მოსავს

[46]წყარო, ოზურგეთის მართლმადიდებელ ქრისტიანთა გამოცემა, 1994 წ., № 25, გვ. 19.

ამ კავშირს. თვით ჯვრისწერის პროცედურული წესები (ცოლ-ქმრული ერთგულების პირობის დადება საკურთხეველთან, მღვდლის დალოცვა, ბეჭდების ურთიერთგაცვლა, საკმევლის კმევა და სხვ.). ქორწინების საიდუმლო პასუხისმგებლობას აკისრებს, აგრეთვე, ახალშეუღლებულებს, რომ იყოლიონ და აღზარდონ შვილები ქრისტეს შთამაგონებელი რწმენით, ჩაუნერგონ მათ სიყვარულის, სიკეთის, პატიოსნების ქრისტესმიერი თვისებები[47].

"ქრისტიანული წესით კაცმა და ქალმა, რომელთაც ერთიმეორე აირჩიეს საუკუნო ამხანაგად და სურთ იყვნენ მეუღლეებად, ჯვარი უნდა დაიწერონ. ჯვარდაუწერლობა სჯულის წინააღმდეგია" [48].

ჩვენს მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მათ შორის, ვინც თვლის, რომ ეკლესიურად ცხოვრობს, ჯვარი აქვს დაწერილი 7,47%; ჯვარიც აქვს დაწერილი და სამოქალაქო ქორწინებაშიც იმყოფება 83,61%; ხოლო მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებაშია 8,24%. რესპონდენტთა შორის 0,68% თანაცხოვრებას ეწევა, ე.ი. არა აქვს რეგისტრირებული თავისი ქორწინება.

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება იმ რესპონდენტებში, რომლებიც ეკლესიურ ცხოვრებას არ ეწევიან. მათ შორის უმეტესობას შეადგენენ (46,34%) სამოქალაქო ქორწინებაში მყოფნი. ისინი, ვისაც ჯვარი აქვს დაწერილი და ხელიც აქვს მოწერილი _ 23,78%. ხოლო მიუხედავად არაეკლესიური ცხოვრებისა, აქ ჯვარდაწერილთა წილი მაღალია (19,51%). ასევე მაღალია იმათი წილი, ვინც თანაცხოვრებას ეწევა (10,37%).

ქრისტიანობის მიხედვით, დაუშვებელია მორწმუნის ურწმუნოსთან შეუღლება. არ დაუმოყვრდე წარმართს, არ გაათხოვო შენი ქალიშვილი მის ვაჟზე და არ მოუყვანო შენს ვაჟს მისი ქალიშვილი ცოლად, რადგან ჩემი გზიდან ააცდენ შენ ვაჟს, დაიწყებენ უცხო ღმერთების თაყვანისცემას, უფლის რისხვა დაატყდებათ თავს და დაუყოვნებლივ განადგურდებით (მეორე რჯული 7,3-4). "ეცადეთ კვლავ თქვენივე სიცოცხლისთვის, რომ გიყვარდეთ უფალი ღმერთი. თუ განდგებით და მიეწებებით ამ დანარჩენ ხალხს, იცოდეთ, აღარ აჰყრის უფალი თქვენგან ამ ხალხებს, არამედ მახედ და ხაფანგად, შოლტად ექცევიან თქვენს ფერდებს, ეკლად ჩაგესობიან თვალში, ვიდრე არ

[47] ლ. კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბ. 1995 წ., გვ. 142.

[48] ცოლ-ქმრობა, ტფ. 1889 წ., გვ. 3.

გადაშენდებით ამ მადლიანი მიწიდან, რომელიც უფალმა, თქვენმა ღმერთმა მოგცათ თქვენ" (ისე ნავინი 23, 12-13). "ადგა ეზრა მღვდელი და უთხრა მათ: დანაშაული გაქვთ ჩადენილი, უცხო ქალები გყავთ ცოლებად, რომ ისრაელის ცოდვა გაამრავლოთ. ახლა აღიარეთ შეცოდება უფლისა, თქვენი მამა_პაპის ღმერთის წინაშე და აღასრულეთ მისი ნება: განუდექით ამ ქვეყნის ხალხებს და უცხოელ ცოლებს" (ეზრა 10. 10-11). [49]

რჯულის კანონი ერისკაცებისათვის აფრთხილებს ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანს: "არ შეიძლება ერეტიკოსებთან მზახლობა, ვაჟის ან ქალის მიცემა მათთვის. უფრო დასაშვებია მოყვანა მათგან, თუ ისინი აღთქმას დადებენ, რომ გაქრისტიანდნენ". (ლაოდოკიის კრების 31-ე კანონი). [50]

თანამედროვე საზოგადოებაში ძნელად მოიძებნება ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ ერთი რასის, ეთნოსის თუ რელიგიის მოსახლეობით იყოს დასახლებული. როგორც გ.ხუბუა აღნიშნავს: "დღეს არსებულ სახელმწიფოთა მხოლოდ 10% არის მონოეთნიკური, ანუ ისეთი სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ერთი ჯგუფი. სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა ფუნქციონირებს მულტიკულტურულ, მულტიეთნიკურ საზოგადოებაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ენობრივი, რასობრივი, რელიგიური განსხვავებები".[51]ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ადგილი აქვს შერეულ ქორწინებას. ე.ი. პარტნიორების არჩევა ხდება სხვა (არა საკუთარ) ეთნიკურ, რელიგიურ ჯგუფში. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პარტნიორის არჩევის დროს უპირატესობა ეძლევა მაინც საკუთარ ეთნოსს, რასას, რელიგიას.

ამის თაობაზე საინტერესო მონაცემები მოჰყავს ნეილი სმელზერს: "საერთო რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლების დაქორწინების უპირატესობა დასტურდება მათ შორის ქორწინების მაღალი დონით. 1973-1978 წლებში პროტესტანტების 92,6% მხოლოდ პროტესტანტზე დაქორწინდა. ზუსტად ასევე მოიქცა კათოლიკების 82% და ებრაელების 88,2%. ეს მონაცემები თითქმის არ განსხვავდება 1957 წელს მიღებული მონაცემებისგან, როდესაც კათოლიკები და პროტესტანტები სამჯერ უფრო ხშირად

---

[49] ქრისტიანული ქორწინება, თბ. 1995 წ., გვ. 164.

[50] რჯულის კანონი (ერისკაცებისათვის), ოზურგეთი, 1996 წ., გვ. 62.

[51] გ. ხუბუა, ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ. 2000 წ., გვ. 164.

დაქორწინდნენ თავისივე რწმენის წარმომადგენლებზე. ებრაელები 14-ჯერ უფრო ხშირად დაქორწინდნენ თავისივე რწმენის წარმომადგენლებზე, ვიდრე სხვა რწმენის წარმომადგენლებზე.[52] ადამიანები თავიანთი რწმენის წარმომადგენლებზე ქორწინდებიან იმიტომ, რომ მათ ჩვეულებრივ უყალიბდებათ საერთო ფასეულობები. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილი აქვს საქორწინო პარტიორის არჩევას სხვა სარწმუნოებაში.

"ქართველების ცხოვრებაში რელიგიას გამორჩეული ადგილი უკავია: ა) იმ ათ ღირებულებაში, რომლითაც გამიკითხულაბმა
ქართველებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად დაასახელეს, რელიგიას მეორე ადგილი უკავია, თუმცა პირველ ადგილზე დასახელებულ ღირებულებას (ოჯახი) 22%-ით ჩამორჩება".[53] მაგრამ როცა მოახდინეს საკითხის ვერბალური ქცევით შესწავლა, აღმოჩნდა, რომ სტუდენტი ახალგაზრდების მხოლოდ 38% აქცევს ყურადღებას სარწმუნოებას მომავალი მეუღლის არჩევისას.[54]

ამ საკითხის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია თავად მორწმუნეებში. Eე.ი. იმ ადამიანებში, რომლებიც მართლმადიდებლობის თანმიმდევრული დამცველები არიან. სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს შორის ქორწინება დაუშვებლად მიაჩნია 81,75%_ს. გამონაკლისებით უშვებს 7,92%, მაგრამ გამონაკლისებში რა იგულისხმება, მითითებული არ არის. პასუხის გაცემა გაუჭირდა 5,42%, ხოლო მცირე ნაწილი (4,92%) მიიჩნევს, რომ სარწმუნოებას ქორწინებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მართლმადიდებელი მორწმუნეები სარწმუნოებრივ ერთგვაროვნებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ეროვნულს. მათი თითქმის ნახევარი (49,29%) უარყოფითად აფასებს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ქორწინებას, მაშინ როცა სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის ქორწინება დაუშვებლად

---

[52] Н. Смелзер, социология, м. 1994 г., ст. 411.

[53] ე. მენაბდიშვილი, ქართველები ღმერთის მნიშვნელობის შესახებ, დისციპლინათაშორისო რესპუბლიკური კონფერენცია, ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა, მოხსენებათა თეზისები, 2004 წ., გვ. 40.

[54] ნ. მენაბდიშვილი, ეროვნულობა და სარწმუნოება სტუდენტ ახალგაზრდობაში, დისციპლინათაშორისო რესპუბლიკური კონფერენცია, ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა, მოხსენებათა თეზისები, 2004 წ., გვ. 42.

მიიჩნია 32,46%-ით მეტმა. ქორწონებაში განმსაზღვრელად მიიჩნია სიყვარული 26,89%-მა, 12,32% კი მიიჩნევს, რომ ეროვნებას პარტნიორის არჩევისას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო 11,49%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. რამდენად ახასიათებს მორწმუნე რესპონდენტებს რელიგიურობა? ამის გასარკვევად მათ ეძლეოდათ საშუალება აღენიშნათ ის ოთხი თვისება, რომელიც ყველაზე მეტად ახასიათებდა მათ მეუღლეს. აღმოჩნდა,რომ ჩამონათვალში რელიგიურობამ მეოთხე ადგილი დაიკავა 12,50%-ით, შრომისმოყვარეობის (19,60%), მიმზიდველობის (14,84%), და განათლების(14,80%) შემდეგ.

“საღვთო წერილი ცხადად გვასწავლის, რომ არ შეხვიდე სასირცხვო კავშირში ხორციელ ნათესავთან (ლევიტელთა 18,6). მით უფრო ცხადად განვიხილოთ ისინი და დავადგინოთ, რომ თუ ვინმე ამიერიდან იქორწინებს მამის ძმისწულზე, ან მამა და ვაჟიშვილი იქორწინებენ დედასთან და ასულთან, ან ორი და იქორწინებს ვაჟიშვილთან და მამასთან, ან ორი ძმა შეირთავს დედას და ასულს, ან ორი ძმა ორ დას, განკანონებულნი იყვნენ შვიდი წლით უზიარებლობით (ეპიტამიით). რა თქმა უნდა, უწესო ქორწინების დაუყოვნებელი დარღვევის შემდეგ (მე-6 მსოფლიო კრების 54-ე კანონი). ვინც ძმის ცოლს შეირთავს, ის არ იქნება შეწყალებული სინანულამდე, სანამ არ გაშორდება მას (ბასილ დიდის 23-ე კანონი). გარდა ამისა ჩვილი ქალ_ვაჟის გვირგვინების კურთხევა არ შეიძლება (რუის ურბნისის კრების მე_10 კანონი).[55]

რა არის ქორწინების მიზანი? ძველთაგანვე საეკლესიო წმინდა მამები ქრისტიანულ ქორწინებას და ცოლქმრულ ურთიერთდამოკიდებულებას დიდ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ ქადაგებაში. მათ შორისაა მეოთხე საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე წმინდა იოანე ოქროპირი. იგი ორ ძირითად პირობას ასახელებს რის გამოც ქორწინება შედგება: ესაა ღვთით დადგენილი კანონი ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად და განხურვების თავიდან ასაცილებლად. განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს: ვქორწინდებით ბავშვების გასაჩენად და უფრო ვნებათაღელვის დასაცხრობად და განხურვების თავიდან ასაცილებლად. მას ადასტურებს წმ. პავლე მოციქულიც, როდესაც ამბობს: “სიძვის თავიდან ასაცილებლად ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყველა ქალს თავისი ქმარი (პირველი კორ 7,2), “რათა სატანამ არ გაცდუნოთ თქვენი

[55] რჯულის კანონი, გვ. 62-63.

თავშეუკავლებლობის გამო (პირველი კორ 7,5).[56] როგორ ფიქრობენ ამ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე მორწმუნეები? მათი უდიდესი ნაწილი (84, 69%) მიიჩნევს რომ ოჯახი აუცილებელია, 4,36% თვლის რომ ოჯახის შექმნის მიზანი მემკვიდრის გაჩენის სურვილია, ხოლო 2,48% აზრით მარტოობის შიშით. მოყვანილი ციფრები მეტყველებენ, რომ რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, ოჯახი დიდი ბედნიერებაა. ოჯახური ბედნიერება კი მეუღლებრივ ბედნიერებას გულისხმობს. ისევ წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებს მოვიშველიებთ, რომ სასიძოსა და საპატარძლოს არჩევანში თავიდანვე არის ჩადებული ოჯახური უბედურების ან ბედნიერების მარცვალი".[57] ქორწინება ეს არის ორი პიროვნების ნდობით და ურთიერთპატივისცემით შეერთება, მისი საფუძველი ძალიან ხშირად არის სიყვარული. ჩვენი რესპონდენტების შემთხვევაშიც უმეტესობამ (70,49%) ოჯახი სწორედ სიყვარულის საფუძველზე შეიქმნა. თუმცა იყო გარიგებისა (7,47%) და ნაცნობ_მეგობრების საშუალებით (22,04%) შექმნილი ოჯახის შემთხვევაც. ოჯახის შექმნას უმეტეს შემთხვევაში წინ უძღვის ქალ_ვაჟის ურთიერთნაცნობობა. რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი (74,26%) მეუღლეს ქორწინებამდე კარგად იცნობდა. ქორწინებამდელი ურთიერნაცნობობის ხანგრძლივობაც განსხვავებულია რესპონდენტებში. მათი უმეტესობისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი ურთიერთნაცნობობა, რაც მომავალი მეუღლის კარგად გაცნობის საწინდარია. ეს კი ხელს უწყობს ოჯახში მეუღლეთა შორის ურთიერთობის დარეგულირებას. წარმატებული ოჯახური ცხოვრებისათვის მომავალი მეუღლის კარგ არჩევას ურჩევენ წმინდა მამები.

წმინდა იოანე ოქროპირი დასაქორწინებლებს ურჩევს: "ვეძებოთ მხოლოდ ერთი რამ _ სულიერი სათნოება ზნეკეთილობა, რათა მშვიდობითა და თანხმობით დავტკბეთ და მტკიცედ სიყვარულით ნუგეშისცემულ ვიქმნეთ".[58] დაქორწინებამდე ორწლიანი ნაცნობობა ჰქონდა 39,27% , სამი და მეტწლიანი _ 28,4 %, ერთწლიანი _ 17,17%, ექვს თვიანი _ 9,68%. ხოლო ერთთვიანი _ 5,48% ე. ი. მათი ქორწინება ნაჩქარევად მოხდა.

---

[56] ქრისტიანული ქორწინება, თბ. 1995 წ., გვ. 12.

[57] იქვე, გვ. 12.

[58] დასახ. ნაშრ. ვვ. 13.

ოჯახი ემყარება ქცევის მდგრად და ურთიერთქმედების ნიმუშებს. ოჯახის წევრების როლს განსაზღვრავენ არა მარტო ურთიერთტოლვა, არამედ უფრო ფართო ერთობები: სახელმწიფო, ეკლესია, ლოკალური გაერთიანებანი და სხვა ის სპეციალური ინსტიტუტები, რომლებიც მეურვეობენ ბავშვებს ან დედებს, ზრუნავენ იმისთვის, რომ სრულდებოდეს ცოლ_ქმრის, დედ-მამის, შვილებისა და სხვა როლები. ამრიგად ურთიერთობას ოჯახის წევრებს შორის განსაზღვრავენ წევრთა გრძნობები და მდგომარეობა (სიყვარული, პატივისცემა). აღზრდის მეშვეობით გადმოცემული ტრადიცია, სამართალი, რელიგიის მცნებები.[59]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქრისტიანული რელიგია ოჯახის სიმტკიცის ზნეობრივ საფუძველს ცოლ-ქმრულ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაში ხედავს. “ვიდოდეთ სიყვარულით” “ქმრებო გიყვარდეთ თქვენი ცოლები” (ეფეს 5, 25). “ცოლის მოყვარეს თავისი თავი უყვარს” (5, 21). ქრისტიანობის მიხედვით დაქორწინებულთა მოვალეობაა “თვითეულ ჩვენგანს უყვარდეს ცოლი თვისი, როგორც თავისი თავი, ხოლო ცოლს ეშინოდეს თავისი ქმრისა” (ეფეს 5, 33). მოციქული პავლე წერს: “ ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოველთავე” (ეფეს 5. 24). მაგრამ ეკლესია ქრისტეს ემორჩილება სიყვარულით ე. ი. ცოლიც ქმარს უნდა სიყვარულით ემორჩილებოდეს. პავლე მოციქული აღნიშნავს, რომ “ ყოველი კაცის თავი ქრისტეა, ქალის თავი _ კაცი, ხოლო ქრისტეს თავი _ ღმერთი, კაცი ხატია და დიდება ღმრთისა: ხოლო ქალი ღმრთის დიდებაა, რადგან კაცი კი არ არის ქალისაგან, არამედ ქალი კაცისაგან და კაცი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი კაცისათვის”. თუმცა იქვე აღნიშნავს “არც კაცია ქალის გარეშე და არც ქალი კაცის გარეშე, რადგან როგორც ცოლი ქმრისაგან არის , ისე ქმარი ცოლისაგან (პირველი კორ 11, 3, 7, 8, 9, 11, 12). ე. ი. ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს, რომ ქრისტიანობა მეუღლეთა ურთიერთობის საფუძველს სიყვარულსა და ურთიერტპატივისცემაში ხედავს. მონოგამიური ოჯახის ერთგული ქრისტიანული ზნეობის მიხედვით უბიწოა “ერთი ცოლის ქმარი” (ტიტ 1,6). ქრისტიანული ზნეობა ამაღლებს ცოლ_ქმრულ ერთგულებას, მეუღლეთა ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას. სიყვარული და ერთგულება კი იქ შეიძლება იყოს , სადაც საერთო სულიერი და ზნეობრივი

[59] შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, 1997 წ., გვ. 128.

იდეალებია, საერთო გემოვნება და მისწრაფებებია. ოჯახური ურთიერთობისას ყოველივე ეს ხასიათის მსგავსება _ თანხმობაში გადაიზრდება, რაც სიყვარულის წყაროა. საინტერესოა რას გამოხატავს ჩვენი რესპონდენტების და მათი მეუღლის ურთიერთობას? როგორც მოსალოდნელი იყო უმეტესობისათვის (62,18%) არის სიყვარული, ერთგულება (11,07%), ურთიერთპატივისცემა (9,51%) , მეგობრობა (9,14%), შეჩვევა (7,5%). თუმცა ძალიან მცირეა (0,58%) , მაგრამ მორწმუნეთა შორის არის ისეთი ოჯახები სადაც მეუღლეთა ურთიერთობები გამოიხატება: გულგრილობით (0,22%), ჯიბრიანობით (0,15%), ეჭვიანობით (0,07%), უპატივცემლობით (0,07%) და სხვა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ "ოჯახში მეუღლეთა ურთიერთობას განსაზღვრავენ გარეგანი და შინაგანი ძალები. მეუღლეთა გრძნობები და მდგომარეობა (სიყვარული, პატივისცემა), აღზრდის მეშვეობით გადმოცემული ტრადიცია, სამართალი, რელიგიური წეს_ჩვეულებები, ყველა ეს ძალა და ფაქტორი ხელს უწყობს ოჯახის შეკავშირებას გარედან. შინაგანი ძალები წარმოიშობიან პირადი მოთხოვნილებებით, მიდრეკილებებით, გრძნობებით, მისწრაფებებით, თუმცა ისინი ყოველთვის და ყველა პირობებში ვერ უწევენ წარმატებით წინააღმდეგობას გარეგან ძალებს"[60]. რაც, ვფიქრობთ, გამოიხატა ჩვენი რესპონდენტების ძალიან მცირე ნაწილში.

ჩვენ საშუალება გვქონდა მორწმუნეებში გაგვერკვია როგორი დამოკიდებულება არსებობს მეუღლეობრივი ერთგულებისადმი. რადგან გლობალიზაციას მოაქვს ახალი იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები, საინტერესოა, ხომ არ ემუქრება ამ მხრივ რაიმე საფრთხე ისეთ ზნეობრივ ნორმას, როგორიც მეუღლეობრივი ერთგულებაა. ჩვენი რესპონდენტების აზრის შესწავლამ დაგვანახა, რომ გამოკითხული მორწმუნეების ცხრა მეათედზე მეტი (98,42%) იზიარებს იმ აზრს, რომ მეუღლისადმი ერთგულება ცოლის წმიდათაწმიდა ვალია. ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებს 1%, ხოლო არ ეთანხმება 0,33%, რაც შეეხება 0,25%_ს მათ პასუხის გაცემა გაუჭირდათ. ჩვენ ტრადიციების ქვეყანა ვართ, პატივს ვცემთ ქალის პატიოსნებას, მაგრამ როგორ არის მდგომარეობა საწინააღმდეგო შემთხვევაში? იზიარებენ თუ არა მორწმუნეები იმ აზრს, რომ ქმრის წმიდათაწმიდა ვალია მეუღლისადმი ერთგულება? თუ ამ მხრივ მათ მიმართ უფრო ნაკლებ მომთხოვნები არიან? აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაშიც რესპონდენტთა საკმაოდ დიდი

---

[60] ლ. მენაბდიშვილი, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება ქართულ ოჯახებში, შრომების კრებული, მეორე ტომი, გვ. 122.

ნაწილი ეთანხმება ამ მოსაზრებას, თუმცა მათი წილი 1%_ით ჩამორჩება, ცოლი ერთგულების მხარდამჭერებისას და შეადგენს 97,18%, არ ეთანხმება 0,08%, ხოლო პასუხის გაცემა გაუჭირდა 0,75%_ს.

ცოლქმრობაში წარმატებანი იმ ძალების მოქმედების შედეგია, რომლებსაც განაპირობებენ პარტნიორების პიროვნებანი, მათი შეგუების უნარი, ერთობლივი ცხოვრების მსვლელობაში წარმოშობილი შინაგანი ძალების გავლენა და, აგრეთვე, გარეშე ძალები. პოლონელი სოციოლოგი იან შჩეპანსკი ცოლქმრობის წარმატების შემდეგ კრიტერიუმებს გამოჰყოფს: 1) ქორწინების სიმტკიცე; 2) ორივე მეუღლის მიერ ბედნიერების სრული შეგრძნება; 3) უფრო ფართო ჯგუფების მოლოდინის შესრულება; 4) მეუღლეთა პიროვნების სრული განვითარება; მათი უნარებისა და აქტივობის განვითარება; ნიჭიერი და აქტიური შვილების აღზრდა; 5) მეუღლეთა სრული შეგუების, შინაგანი ინტეგრაციის მიღწევა, ოჯახის წევრებს შორის ანტაგონიზმით გამოწვეული კონფლიქტებისა კრიზისების არ არსებობა. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ცოლქმრობის სრული წარმატება რა კრიტერიუმებითაც არ უნდა გავზომოთ, იგი იშვიათია. თუმცა სრული წარმატების არ არსებობა არ ნიშნავს აუცილებლად ოჯახის დეზორგანიზაციასა და დაშლას.[61] როგორც ი. შჩეპანსკი აღნიშნავს, ცოლქმრობის სრული წარმატება საკმაოდ იშვიათია. ალბათ გამონაკლისს არც მართლმადიდებელი მორწმუნეები წარმოადგენენ. გამოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ჰარმონიული ოჯახი რესპოდენტთა მხოლოდ 14,54%-ს აქვს. მაგრამ საკმაოდ დიდია იმათი რიცხვი, ვის ოჯახშიც ზოგჯერ არის უთანხმოება, მაგრამ მათ მალევე ივიწყებენ (84,46%). ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ჩვენი რესპონდენტები იყვნენ მორწმუნე მართლმადიდებლები, რომლებიც იცავენ თავიანთი სარწმუნოების ძირითად მცნებებს. ეს მცნებები კი გვასწავლის, რომ სიყვარულია (და აქედან გამომდინარე მიმტევებლობა) ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი. როდესაც მოწაფეებმა კითხვა დაუსვეს უფალს, თუ რომელი მცნებაა მთავარი ახალი სარწმუნოებისათვის, ქრისტემ მათ მიუგო: “გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი, მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით”. ეს არის პირველი და ძირითადი მცნება და მეორე ამისი მსგავსი: “გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი” (მათ 22, 37, 38, 39, 40).

[61] ი. შჩეპანსკი, დასახ. ნაშრ. გვ. 135

ამასთან ადამიანის სიყვარული ადამიანისადმი ნაწარმოებია და მომდინარეობს მისი სიყვარულიდან ღმერთისადმი. თუ გიყვარს ღმერთი, მაშინ შეგიყვარდება მისი მსგავსი _ ადამიანი, და პირიქით, ადამიანისადმი სიყვარულით დასრულდება სიყვარული ღმერთისადმი .[62]

მორწმუნეთა შორის საკმაოდ მცირე აღმოჩნდა ისეთი ოჯახები, სადაც მეუღლეთა შორის ყოველთვის უთანხმოებაა (0,27%); და სადაც უთანხმოება ხშირად შეურაცჰყოფამდე მიდის (0,54%). როგორც შჩეპანსკი წერს, აშკარა კონფლიქტები ხშირი მოვლენაა, მაგრამ საფრთხეს არ უქმნის ურთიერთშეგუებას. დაგროვილი დაძაბულობა იწვევს მუდმივ გაღიზიანებას, აგრესიულობას და ამას შეიძლება მოჰყვეს ოჯახის დეზორგანიზაცია. ე. ი. ერთი ან ორივე მეუღლის მხრივ თავიანთ ვალდებულებათა უგულებელყოფა ან ოჯახის დანგრევა.[63] ოჯახში დაძაბულობა შეიძლება იყოს ფსიქოგენური ხასიათების, ფსიქიკური, ნიშან_თვისებების, მისწრაფებების, მოთხოვნილებების განსხვავებისა და შეუსაბამობის შედეგი. დაძაბულობა მეუღლეებს შორის შეიძლება წარმოიშვას კულტურის ნიმუშების დაპირისპირებამ, დადგენილი სოციალური როლების შეცვლამ, ეკონომიკურმა მდგომარეობამ, გრძნობამ ან სქესობრივმა შეუგუებლობამ.

ოჯახური ძალადობის შესახებ სოციოლოგი ნ. სმელზერი წერს, რომ აქ ჩართულია რამდენიმე ფაქტორი: ემოციური ინტესიურობა და პირადი ინტიმურობა, რომელიც ძალიან ახასიათებს საოჯახო ცხოვრებას. ოჯახური კავშირები დაკავშირებულია მძლავრ ემოციებთან. ხშირად ის, რასაც სხვებს მოუთმენს და გაუგებს ადამიანი ოჯახში იწვევს ჩხუბსა და აყალმაყალს.

შევეცადეთ გაკვერკვია ჩვენი რესპონდენტების მეუღლესთან უსიამოვნებების მიზეზები. როგორც მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა ყველაზე მეტად დასახელდა სამი მიზეზი: ოჯახის ეკონომიკური საკითხები (41,6%), ოჯახისადმი მოუცლელობა (20,6%) და ბავშვების აღზრდის საკითხები (15, 88%). მათთან შედარებით უფრო ნაკლები სიხშირით დასახელდა ოჯახისადმი უყურადღებობა (6,69%) და ხასიათის შეუთავსებლობა (6,22%). რესპონდენტთა საკმაო მცირე ნაწილმა დაასახელა ისეთ მიზეზები, როგორიცაა: მეუღლის მშობლებთან მისი ურთიერთობა (2,51%), ხშირი

[62] ლ. კოდუა დასახ. ნაშრ. გვ. 100
[63]შჩეპანსკი, დასახ. ნაშრ. გვ. 135.

სმა (2,99%), მის მშობლებთან მეუღლის ურთიერთობა (1,21%), ეჭვიანობა (1,86%), ნარკომანია (0,09%), სხვა ქალთან (კაცთან) ურთიერთობა (0,38%). მეუღლეთა უთანხმოება_უსიამოვნების მიზეზების გარკვევამ, კიდევ ერთხელ, დაგვანახა, რომ თანამედროვე მართლმადიდებელ მორწმუნეებს ოჯახში ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორც არამორწმუნეებს.[64] როგორც ჩანს, იგი ასახვაა ფართო საზოგადოებაში არსებული იმ პრობლემებისა, რომელშიც ეს სოციალური ჯგუფია ჩართული.

ამრიგად, გამოკითხული ერთობლიობის უმრავლესობა იცავს წმინდა წერილების მოთხოვნებს. ქორწინებით პარტნიორს ირჩევს სიყვარულისა და ხანგრძლივი ნაცნობობის საფუძველზე და ქორწინების წინააღმდეგია სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთან. წმიდათაწმიდათ მიაჩნია ცოლ-ქმრული ერთგულება. ოჯახში მეუღლეთა შორის ურთიერთობის დამყარებას ახდენს მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის და ერთგულების ნიადაგზე. ისინი ავლენენ მიმტევებლობას დაძაბულობისა და უსიამოვნებების გამო, რომელსაც იწვევს ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახისადმი მოუცლელობა, ბავშვთა აღზრდა და სხვა. ყოველივე ამით, გამოკვლეულთა უმრავლესობის ოჯახში ისეთი ფსიქოსოციალური ატმოსფეროა, რომელიც ხელს უწყობს სასურველი დემოგრაფიული ქცევისა და რეპროდუქციული ორიენტაციების რეალიზაციას.

§3 მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება განქორწინებისა და ხელახალი ქორწინებისადმი

განქორწინება ნიშნავს მეუღლეთა ცხოვრებაში ქორწინების შეწყვეტას კანონით დადგენილი წესის მიხედვით. “ქორწინების დაურღვევლობის პრინციპი პრაქტიკულად არსად და არასდროს ყოფილა სრულყოფილად დაცული. ის, რასაც ჩვენ გამონაკლისად ვთვლით, სინამდვილეში საკმაოდ ტიპური იყო და გათვალისწინებული იყო

[64] ლ. მენაბდიშვილი, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება ქართულ ოჯახებში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული თბ. 2004 წ., გვ. 126-127.

კანონმდებლობის მიერ, რომელიც თავის მხრივ ასახავდა ტრადიციულ საქორწინო მორალს”. [65]

სვადასხვა რელიგიები მეტ_ნაკლები სიმკაცრით ეკიდებიან ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და მათ შორის განქორწინებას. მაგალითად, მუსულმანებსა და იუდეველებს უფრო მეტი საფუძველი აქვთ ქორწინების დარღვევისათვის და ამ უკანასკნელის უფრო მარტივი პროცედურა არ მოითხოვს მიმართვას უმაღლესი სასულიერო ხელისუფლებისადმი.[66] ოჯახური ცხოვრების კეთილდღეობას მუსლიმანურ ფასეულობებს შორის პირველი ადგილი უკავია “ქორწინებაში შესულ ადამიანს ნახევრად უკვე შესრულებული აქვს საკუთარი რწმენის მიწერილობები”.[67] ისლამში არსებული განქორწინების პროცედურა საკმაოდ მსუბუქი და მარტივია. ქმარმა რომელსაც სურს განქორწინება, ამის შესახებ უნდა სამჯერ განუცხადოს ცოლს _ სამთვიანი დროის განმავლობაში, თუ ამ დროის განმავლობაში მეუღლეებს შორის მოხდა შეთანხმება, ქორწინება გაუქმებულად ითვლება. განქორწინებულებს კვლავ ეძლევათ ქორწინების უფლება. ამასთან იგივე პარტნიორზე. განქორწინების ინიციატივის უფლება ეძლევა როგორც ქალს ისე კაცს. განქორწინების სოციალურად გამამართლებელ მიზეზებად ითვლება: უშვილობა, იმპოტენცია, უსაქმურობა, შეურაცხყოფა, დამცირება, რაიმე განუკურნებელი დაავადება, მეუღლის მიტოვება, უგზო_უკვლოდ დაკარგვა, პატიმრობა, საქორწინო კონტრაქტის დარღვევა[68]. ტრადიციულად ქრისტიანობა ქორწინებას განიხილავს როგორც ღმერთის მიერ დადგენილს. ამიტომ ის დაურღვეველი უნდა იყოს. “ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე ნუ განაშორებს კაცი”(მათ. 19,6). განქორწინება აღიქმება, როგორც არა მარტო ღვთის საწინააღმდეგო, არამედ ბუნების საწინააღმდეგო საქმედაც, რამდენადაც იხლიჩება ერთი მთლიანობა და იყოფიან ისინი, ვინც შეაერთა ღმერთმა[69]. ქრისტიანული ზნეობა

---

[65] Синельников А. В. Социально одобряемые причины развода в прошлом и настаящем, ж. Соц. Исл. 1992 г., №2, ст. 27.

[66] იქვე, გვ. 27-37.

[67] Маскуд Рукаия, исл. М. 1999 ст 247.

[68] დასახ. ნაშრ. გვ. 256-260.

[69] Форсова В. В. праваславные семейные ценности, ж. Соц. Исл. 1997 г., № 1, ст. 64-72.

შეუთავსებელია ოჯახის დაშლასთან საკმაო საფუძვლის გარეშე: “ნუ განეშორებით ერთმანეთს, თუ არა დროებით, ურთიერთშეთანხმებით, რათა ლოცვისა და მარხვისათვის მოიცალოთ. შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდეთ ერთმანეთს, რათა სატანამ არ გაცდუნოთ თქვენი თავშეუკავებლობის გამო”(პირველი 7,5).

ცოლქმრული კავშირის დაშლის საპატიო მიზეზი მხოლოდ ერთ_ერთი მეუღლის სიკვდილი შეიძლება იყოს. რჯულით შეუღლებულებს მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებთ. ასეთ პირობებში ქრისტიანობა საკმაოდ დასაშვებად თვლის ქალის ხელახალ გათხოვებას, ან კაცის მიერ ცოლის ხელახლა შერთვას.

გათხოვილი ქალი ქმრის სიცოცხლეში შეკრულია რჯულით, ხოლო თუ ქმარი მოკვდა, გათავისუფლებულია ცოლქმრობის რჯულისაგან. ამიტომაც თუ ქმრის სიცოცხლეში სხვას გაჰყვება, მეძავად იწოდება, ხოლო თუ ქმარი მოუკვდა,

---

გათავისუფლებულია რჯულის მიერ და სხვას, რომ გაჰყვეს აღარ იწოდება მეძავად(რომ 7, 2, 3). ყველა სხვა შემთხვევაში ზნეობრივად საძრახისია. “ცოლი ნუ გაეყრება ქმარს” და “ცოლიანი ხარ? ნუ ეძებ ცოლს”. ზნეობრივი ნორმის დამრღვევებმა უნდა შეასრულონ მოთხოვნა: დაქორწინებულთ მე კი არ გეუბნები არამედ უფალი: ცოლი ნუ გაეყრება ქმარს, მაგრამ თუ გაეყრება, აღარ გათხოვდეს, ანდა შეურიგდეს ქმარს და ნურც ქმარი მიატოვებს ცოლს (პირველი კორ 7, 10, 11).

რჯული კრძალავს განქორწინებას: “უფალი არ შეიწირავს თქვენს შესაწირავს”. თქვენ ამბობთ რისთვისო? იმისთვის რომ მოწმე იყო უფალი შენსა და შენი სიყრმის ცოლს შორის რომელსაც უღალატე. ის კი შენი მეგობარი და შენი აღქმის ცოლი იყო (2_13,14). ასევე თქმულა ვინც გაუშვებს თავის ცოლს, უნდა მისცეს გაყრის წერილი, ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ვინც გაუშვებს თავის ცოლს, სიძვის მიზეზის გარეშე, ამრუშებს მას და ვინც გაშვებულს შეირთავს მრუშობს” (მათ 5, 31, 32).

თვით ქრისტიანობის შიგნით განქორწინების მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებაა. კათოლიკები უფრო მკაცრად ეკიდებიან მას, ვიდრე მართლმადიდებლები და პროტესტანტები . მათთან ის მიჩნეულია არასასურველ მოვლენად, მაგრამ არ იკრძალება. ამასთან პროტესტანტიზმი ყველაზე მეტი ლიბერალობით გამოირჩევა. “დასავლელები, _ როგორც მიტროპოლიტი ანტონ

სუროჟელი ამბობს_ ეყრდნობიან მაცხოვრის სიტყვებს სახარებიდან იმის თაობაზე, რომ გაყრის წერილის მიცემის უფლება მოსემ ადამიანებს მისცა მათი გულქვაობის გამო, მაგრამ დასაწყისში ასე არ იყო, მეც ვიტყვი ქრისტიანები დასავლეთში რატომღაც ფიქრობენ, რომ ასეთი გამონათქვამი ეხება მხოლოდ ქრისტეს დროებას, ხოლო ამჟამად ჩვენ ქრისტიანები, თავისუფალნი ვართ ამ გულქვაობისაგან და ამიტომაც
ჩვენთან გაყრა არ შეიძლება".[70] განქორწინება მოსეს რჯულით დაშვებულია: " თუ კაცი ცოლს მოიყვანს და მისი ქმარი გახდება, მერე აითვალისწუნებს, რადგან რაღაც სასირცხოს აღმოაჩენს მასში. უნდა დაუწეროს გაყრის წერილი, მისცეს ხელში და გაუშვას თავისი სახლიდან, ან მოკვდება მეორე ქმარი, რომელმაც ცოლად მოიყვანა იგი. პირველ ქმარს, რომელმაც გაუშვა იგი, ნება არ აქვს ისევ ცოლად მოიყვანოს მას შემდეგ, რაც ქალი გაუწმინდურდება, რადგან ეს სისაძაგლეა უფლის წინაშე (მეორე რჯული 24,1).

მართლმადიდებლური ეკლესია კათოლიკურისაგან განსხვავებით განქორწინებას დასაშვებად მიიჩნევდა. ამასთან ღალატი ამ უკანასკნელის საფუძვლად მიაჩნდა. ბევრი რუსი მეფე (ვასილ მესამე, ივანე მეოთხე, პეტე პირველი), თავადები, ბოიარები და სხვა წარჩინებული პირები მოძალადურად აგზავნიდნენ ცოლებს მონასტერში _ ეს განქორწინების მეთოდი იყო. მან იმდენად გავრცელებული სახე მიიღო, რომ მე_17 საუკუნეში პატრიარქმა იოაკიმმა დადგენილება გამოსცა მონასტერში აღკვეცის შესახებ, როდესაც მეორე მეუღლე ცოცხალი იყო. [71]

ჩვენს დროში გაყრა ყველდღიური ფაქტი გახდა, როგორ უყურებენ ამ საკითხს მართლმადიდებელი მორწმუნეები? აზრი იმის შესახებ თუ მეუღლეები ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს ისინი უნდა გაშორდნენ, სრულიად გაიზიარა 27,59%_მა, ნაწილობრივ ეთანხმება ამ აზრს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53,51%) ე. ი. ისინი განქორწინებას უშვებენ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ კერძოდ რა შემთხვევაში, ინფორმაცია ამის შესახებ, სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს. სრულიად შესაძლებელია მორწმუნეთა ეს ნაწილი თვლიდეს განქორწინებას აუცილებლად ღალატის და სიძვის შემთხვევაში. თუმცა

---

[70] მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, სიყვარულის საიდუმლო, თბ. 2000 წ., გვ. 51-52.

[71] 2. Синельников, დასახ. ნაშრ. გვ. 27-37.

სიბრძნე ზირაქისაში ნათქვამია: “ყოველგვარი ჭრილობა დაითმინება, მაგრამ არა ჭრილობა გულისა, ყოველგვარი სიავე, მაგრამ არა სიავე ქალისა (25, 14) “უმალ ლომთან და ურჩხულთან ვიცხოვრებდი, ვიდრე ავ ცოლთან”, “რადგან ვერარა ბოროტება ვერ მოვა ქალის ბოროტებასთან (25, 16, 19), მოცემულია რჩევაც, რომ “თუ მისცემ წყალს გასავლის და სიტყვის უფლებას ავ დედაკაცს” და “თუ შენი ხელით ვერ წარმართე, მოიკვეთე იგი შენგან” (25,25,26).

დემოგრაფიას განქორწინება და ხელახალი ქორწინება აინტერესებს ოჯახის რეპროდუქციულ ქცევასთან კავშირში. თუ არ არის მყარი ოჯახი, მაშინ სავარაუდოა შვილის გაჩენა მასში მალე შეწყდეს. ხელახალი ქორწინებები კი საინტერესოა რეპროდუქციულ პერიოდში. მართლმადიდებლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელახალ ქორწინებას უშვებს. “მეორე ქორწინება არის მკურნალობა სიძვისაგან და არა სიბილწის მიზეზი”. რაც შეეხება მესამე და შემდგომ ქორწინებებს, მათი შეფასება სხვადასხვაგვარია. “მესამე ქორწინება არის უწმინდურობა, მაგრამ სიძვაზე უკეთესია”. მრავალქორწინლობა კი სიძვაზე უარესია”. [72]

ხელახალი ქორწინებისადმი მორწმუნე რესპონდენტების მესამედი (33,33%) _ ყველაზე დიდი ნაწილი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. იგი სრულიად დასაშვებად მიაჩნია 23, 53%_ს პასუხის გაცემა კი გაუჭირდა 27,3%_ს, რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს (16%) მათ ხელახალი ქორწინება დასაშვებათ მიიჩნიეს სხვადასხვა შემთხვევაში. კერძოდ 3,85% _ისათვის ასეთი ქორწინება დასაშვებია მხოლოდ მამაკაცებში. ხოლო მათი წილი ვინც თვლის რომ ასეთი ქორწინება დასაშვებია მხოლოდ იმ ქალებისათვის, ვისაც პირველი ქორწინებიდან შვილი არ ჰყავთ , შეადგენს 11,97%-ს.

ამრიგად მორწმუნეთა დამოკიდებულება განქორწინებისადმი, როდესაც ცოლ_ქმარი ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ დადებითია, ხოლო ხელახალი ქორწინებისადმი უფრო უარყოფითი პოზიცია ვლინდება, ვიდრე დადებითი, არც თუ მცირეა იმათი ხვედრითი წილი, რომლებსაც უჭირთ ამ საკითხზე პოზიციის გამოხატვა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპონდენტების 1,81% მეორე ქორწინებაში იმყოფება, ხოლო 3,8%_ის მეუღლე მეორე ქორწინებაშია რესპონდენტთან.

---

[72] რჯულის კანონი , გვ. 66-67.

§4 მართლმადიდებელ მორწმუნეთა შვილიანობა
და ოჯახის დაგეგმვა

მოსახლეობის კვლავწარმოების საფუძველი ოჯახია. აქ ხდება თაობათა შეცვლა. დემოგრაფიული თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ ოჯახმა იყოლიოს იმდენი ბავშვი, რომ არა მარტო თაობათა რაოდენობრივი განახლება მოხდეს, არამედ ქვეყნის საჭირო მოსახლეობის ოპტიმალური გამრავლებაც უზრუნველყოს.დღეს ჩვენს საზოგადოებას აღელვებს ქართველი ერის გამრავლების არასახარბიელო მდგომარეობა. როგორც დემოგრაფები აღნიშნავენ, უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა შობადობის დონე. «მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რაც ნიშნავს შვილთა რაოდენობის თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე. მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს 2003 წლის მონაცემებით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მთელ მსოფლიოში ყველაზე დაბალია (1,1) მხოლოდ უკრაინასა და საქართველოში»[73]. მეცნიერ დემოგრაფთა აზრით საქართველოში, საშუალოშვილიანობის ნაცვლად, მცირეშვილიანობის საბოლოო ფორმირება 1992 წლიდან იწყება, დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპისაგან განსხვავებით, ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 53,5% მოდის პირველ შვილზე, 31,9%-მეორე შვილზე და მხოლოდ 14,6%-მესამე და მომდევნო შვილებზე რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს.

დაბადებულთა განაწილების დინამიკა დაბადების
რიგითობის მიხედვით (%-ში)[1]

წლები	1	2	3 და მეტი
1986 წელი	42,8	35,6	21,6
1994 წელი	54,1	32,3	13,5
2002 წელი	53,5	31,9	14,6

[73] ლ. ჩიქავა, მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტუალური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრ. კრებ II, თბ. 2004 წ., გვ. 6.

«ოჯახის რეპროდუქციული შესწავლის დროს ანგარიშობენ ერთი დაქორწინებული წყვილის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბადებულ ბავშვთა რიცხვს. ამ შემთხვევაში მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება შეესიტყვება ბავშვთა რიცხვს, რომელიც საშუალოდ 2,6 ბავშვს უდრის. თუ საშუალოდ ყველა ოჯახი ორ – ორ ბავშვს იყოლიებს, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება – ორი ბავშვი ოჯახში თაობათა შეცვლას ვერ უზრუნველყოფს. ამის მიზეზი ისაა, რომ ოჯახთა გარკვეული ნაწილი უნაყოფოა, ხოლო ოჯახთა ნაწილს არ შეუძლია ერთ ბავშვზე მეტი იყოლიოს. ამიტომ მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად საჭიროა ოჯახთა რაღაც ნაწილს ჰყავდეს ოთხი და მეტი შვილი, რათა მოვახდინოთ უშვილო და ერთშვილიანი ოჯახების კომპენსაცია. საბოლოო ჯამში სამი და მეტშვილიანი ოჯახები უნდა შეადგენდნენ მთელი ოჯახების ნახევარზე მეტს თაობათა მარტივი ცვლის უზრუნველყოფის პირობებში. თუ გვინდა მოსახლეობის მცირე მატება, მაშინ ასეთი ოჯახების კიდევ უფრო მეტი პროცენტია საჭიროა».[74]

ყოველ ოჯახს, ყოველ ადამიანს თავისი აზრი და დამოკიდებულება აქვს დემოგრაფიული პროცესების მიმართ. ეს აზრი და დამოკიდებულება ძირითადად გამომუშავდება ეროვნული, ოჯახური ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, ცხოვრების კონკრეტული პირობების, განათლების დონისა და იმ სოციალური გარემოს

მეშვეობით, რომლებშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება. ერთი სიტყვით, ადამიანთა დემოგრაფიული ქცევა მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია, ამიტომ საჭიროა ამ ფაქტორების გათვალისწინებით დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა. მით უმეტეს, რომ ხდება ადამიანთა შეხედულებების დამთხვევა მათ რეალურ დემოგრაფიულ ქცევასთან. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით დემოგრაფიული ქცევის შესწავლა, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მეცნიერულ დონეზე შევიმუშაოთ და განვსაზღვროთ დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, რომელიც დადებით გავლენას მოახდენს არსებული სიტუაციის გაუმჯობესებაზე.

---

[74]. ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, თბ. 1999 წ., გვ. 91-92

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რელიგიური დოგმები აყალიბებენ მორწმუნის ცხოვრების წესს, ე. ი. აღმსარებლობის მოთხოვნები, იდეალები, ქცევის ნორმები და წესები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანებზე, მათ რეპროდუქციულ ორიენტაციაზე და შვილიანობაზე.

თუ დოგმები აყალიბებენ მორწმუნის ცხოვრების წესს, ცხადია, იგი უნდა აისახოს ცხოვრების წესის ისეთ კომპონენტებზეც, როგორიც ქორწინება და შვილთა რაოდენობაა.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დემოგრაფიული ქცევები ძალიან სწრაფად იცვლებოდა იქ, სადაც რელიგიური აღმსარებლობა მოსახლეობას არ მოუწოდებდა მრავალშვილიანობისაკენ. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის სტატისტიკური მასალის მიხედვით ამერიკელი მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ კათოლიკების რეპროდუქციულობა ყველა ქვეყანაში 20-30%-ით მაღალია, ვიდრე იქვე მცხოვრები პროტესტანტებისა.

ამერიკელმა მკვლევარებმა ჩაატარეს საინტერესო გამოკვლევა რეპროდუქციულ ქცევაზე რელიგიური გავლენის შესახებ. რათა გამორიცხულიყო სხვა ფაქტორების მოქმედება. მათ აირჩიეს ისეთი საქორწინო წყვილები, რომლებსაც საერთო ჰქონდათ სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები (დასაქმება, შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები, განათლება, ქორწინების ხანგრძლივობა), მაგრამ ეკუთვნოდნენ განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფს. დეტროიტში ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, პროტესტანტების რეპროდუქციულობის მაჩვენებელი ახლოს აღმოჩნდა იუდეველების შესაბამის მაჩვენებელთან, მაგრამ კათოლიკებისას ჩამორჩებოდა. ასევე გამოვლენილი იყო რეპროდუქციულობის კავშირი საქორწინო წყვილების რელიგიურობის ხარისხთან. 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კათოლიკურ წყვილს, რომლებიც ყოველდღე დადიოდნენ ეკლესიაში, ჰყავდათ საშუალოდ 2,22 ბავშვი, მაშინ როდესაც იმათ,

რომლებიც იშვიათად დადიოდნენ – 1,88 ბავშვი.[75] სახეზეა სარწმუნოებრივი თანმიმდევრობის ხარისხის გავლენა შვილთა რაოდენობაზე.

მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი განსაზღვრულია რჯულის კანონით (ერისკაცთათვის), "რომლებიც დასხმულნ არიან სულის საყვირთა ყოვლადქებულ მოციქულთა, წმიდა მსოფლიო კრებებისა, განჩინებების დადგენისათვის შეკრებილი ადგილობრივი კრებისა და წმიდა მამების მიერ . . . და დაადგინეს რაც უმჯობესი იყო"[76] რჯულის კანონი მოიცავს ადამიანის

ცხოვრების ყველა მხარეს, მაგრამ ჩვენ შევეხებით მხოლოდ კანონებს შვილის მომკვლელი დედების შესახებ. ამ კანონების მიხედვით ქალები, რომლებიც იცილებენ შვილებს წამლისა თუ სხვა საშუალებებით, მიჩნეულნი არიან როგორც

მკვლელები და ისჯებიან იმავე სასჯელით, როგორც ეს უკანასკნელნი. ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე კანონს: "მეძავი დედები, რომლებიც საწამლავს ამზდებენ და თავის ნაყოფს სპობენ, ადრინდელი კანონის მიხედვით, სიკვდილამდე არ დაიშვებოდნენ (წმინდა საიდუმლოთა) ზიარებაზე. ხოლო ჩვენ ვცდილობთ უფრო მეტი კაცთმოყვარეობა გამოვიჩინოთ და განვსაზღვროთ, რომ მათ 10 წელი უნდა შეასრულონ (ეპიტამიის) დაწესებული ხარისხის მიხედვით. ანკრიის კრების 21-ე კანონით.

ქალებს რომლებიც ჩვილებს სასიკვდილო წამალს მისცემენ და რომლებიც თვითონ მიიღებენ მათ მოსაშორებელ საწამლავს, კაცისმკვლელთა კანონით განვაკანონებთ- მეექვსე მსოფლიო კრების 91-ე კანონი.

---

[75] ლ. მენაბდიშვილი; შვილიანობა ბიეთნიკურ ოჯახებში. ჟურნალი მაკრომიკრო ეკონომიკა 2002წ. 2(51) გვ.42

[76] რჯულის კანონი (ერისკაცთათვის). ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი. ოზურგეთი 1996 წელი მეოცე გვერდი.

წინასწარ განზრახვით მუცელში ჩვილის მომკვლელს კაცისკვლის სასჯელი ედება. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ, ჩასახულია და არის ბოლომდე გაფორმებული თუ არა მოწყვეტილი ჩვილი. აქ გამოიძიება და დასასჯელი იქნება არა მხოლოდ დამნაშავე დასაბადებელის მოსპობისათვის, არამედ მისი მშობელიც, რომელმაც თავის თავზე აღმართა ხელი, რადგან ამ მიზეზით მრავალი ქალი კვდება. ამას უერთდება გახრწნა ნაყოფისა, როგორც სხვა სახე კაცის კვლისა, ვინც ამის გაკეთებას წინასწარი განზრახვით გაბედავს, მკვლელია, მაგრამ მისი სინანული არ უნდა გაგრძელდეს სიკვდილამდე. მისი შეწყნარება შეიძლება 10 წლის შემდეგ. მათი სრულად განკურნება ბრალისაგან შეუძლია არა დროს, არამედ სინანულის სახეს— ბასილ დიდის მეორე კანონით.[77]

მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი მიიჩნევს, რომ ჩასახვის მომენტშივე ბავშვის ჩანასახი უკვე ადამიანია და მისი განადგურება ადამიანის მკვლელობაა. მას უნდა მივუდგეთ სერიოზულად. ამ ვითარებაში არავითარი პატიება არ არსებობს. აბორტი ან ადამიანების აღვირახსნილობის შედეგია, რომლებიც არავითარ ზომებს არ მიმართავენ, რათა ბავშვი არ ჩაისახოს, ან მეტყველებს ადამიანის სიცოცხლის მიმართ სრულ უგრძნობლობაზე. ეკლესიის თვალთახედვით, სახარების თვალთახედვით, ან უბრალოდ საღად მოაზროვნე კაცობრიობის თვალთახედვით ეს დანაშაულია.[78]

ქრისტიანული რელიგია უტოვებს ადამიანს იმის შესაძლებლობას, რომ განიწმინდოს ცოდვებისაგან, მაგრამ ცოდვაცაა და ცოდვაც. ცოდვად ითვლება ღვთის ნების საწინააღმდეგო, უფლის მიერ ადამიანთა ქცევის სახელმძღვანელოდ დაშვებული ზნეობრივი მცნებების ყოველგვარი დარღვევა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ

---

77 იქვე 88-89-ე გვერდი.

78 მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, სიყვარულის საიდუმლო; თბ. 2000 გვ. 55

ცოდვა, რომლის გამოც მისი ჩამდენი ადამიანის სული სიკვდილისაგან ვერ იხსნის თავს ე. წ. მომაკვდინებელი ცოდვა და ცოდვა, რომელიც არამომაკვდინებელია, რომელსაც ღმერთი აპატიებს ცოდვილის გულწრფელი მონანიების შემხვევაში, “ყოველგვარი უსამართლობა ცოდვაა”, მაგრამ არის არამომაკვდინებელი ცოდვა (1

იოან 5,17). მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება, მაგალითად, მოყვარის მოკვლა. ყოველივე ზემოთთქმული ცხადყოფს, რომ მართლმადიდებლური ეკლესია აბორტებისა და კონტრაცეპტივების წინააღმდეგია. ამდენად, ამ ეკლესიის მრევლი (მართლმადიდებელი მორწმუნე ადამიანი) უნდა იცავდეს იმ კანონებს, რაც მისმა სარწმუნოებამ დაუწესა, ამიტომ მათ უფრო მეტი შვილი უნდა ჰყავდეთ სხვებთან შედარებით.

იმისათვის, რომ ვაჩვენოთ მართლმადიდებელი მორწმუნეების შვილთა რაოდენობის რეალური სურათი, განვიხილავთ გამოკითხული ერთობლიობის სახეზე მყოფ შვილთა რაოდენობას.

უკანასკნელ ხანს დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიური მეთოდები. ოჯახის, მცირე ჯგუფის თუ ცალკეული ინდივიდის დემოგრაფიულ ქცევას, უპირველეს ყოვლისა შეისწავლიან შობადობის პრობლემასთან დაკავშირებით. ამგვარი კვლევები საშუალებას იძლევიან განისაზღვროს შობადობის ასამაღლებლად დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის დროს გამოკითხული იყო თხუთმეტიდან სამოცდათხუთმეტი წლის ასაკის ადამიანები. მათ შორის უმეტესობას შეადგენდნენ (71%) ქალები. რომელთა 89,27% რეპროდუქციულ პერიოდში იყო (ე. ი. 15_49 წლისანი იყვნენ). რეპროდუქციული პერიოდი წარმოადგენს ქალების ცხოვრების იმ ნაწილს, რომლის განმავლობაშიც ისინი ფაქტობრივად აჩენენ

შვილებს. რეპროდუქციის პერიოდი შეიძლება განისაზღვროს ფაქტობრივი ასაკისა და უკანასკნელი ბავშვის გაჩენის ასაკს შორის სხვაობით.[79]

ასაკობრივი, ე. წ. რეპროდუქციული ინტერვალის საზღვრები სტატისტიკოსების მიერ დიდი ხნის წინათ მე-19-ე საუკუნეში იყო შერჩეული, როცა ისინი ძირითადად შეესაბამებოდნენ ცხოვრების პერიოდის იმ რეალურ ასაკობრივ საზღვრებს, რომელშიც ქალები აჩენენ ბავშვებს. ქალთა ცხოვრების რეპროდუქციული პერიოდის ასაკობრივ საზღვრებად ითვლება 15-49 წელი. მაგრამ დღეს შობადობის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში ქალები თავიანთ 1-2 ბავშვს ძირითადად 22-დან 35 წლამდე ასაკის ინტერვალში აჩენენ.[80] ჩვენი რესპონდენტი ქალების ნახევარზე მეტი (54,87%) სწორედ ამ ასაკისანი იყვნენ.

გამოკითხულ ერთობლიობაში შვილი არ ჰყავდა რესპონდენტთა 7%-ს; ერთი შვილი ჰყავდა 14,3%-ს; ორი-41%-ს; სამი-30,4%-ს; ოთხი 6.3%-ს; ხოლო 5 და მეტი 1%-ს.

რესპონდენტები დავყავით სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ ისინი, ვინც არ ცხოვრობენ ეკლესიურად. და მათ გამოკითხული ერთობლიობის 17,5%-ს შეადგინეს. მეორეში – ისინი, ვინც ეკლესიური ცხოვრება ახლა დაიწყო(7,8%), ხოლო მესამეში – ისინი, ვინც ეკლესიურად დიდი ხანია ცხოვრობენ (74,7%). ჯგუფების ასეთი დაყოფა მოვახდინე თვითონ რესპონდენტთა შეფასებით. ჩვენი ჰიპოთეზით, ის ოჯახები, რომლებიც ეკლესიურად ცხოვრობენ, უნდა ხასიათდებოდნენ ბავშვების მეტი რაოდენობით, ვიდრე დანარჩენები. ეს განპირობებული უნდა იყოს მათი ცხოვრების წესით. ეკლესიური ცხოვრება ხომ ნიშნავს არა მხოლოდ წირვა – ლოცვებზე სიარულსა და მარხვების დაცვას, არამედ იმ მცნებების დაცვასაც, რომელსაც მართმადიდებელი ეკლესია უყენებს თავის მრევლს.

---

[79] წულაძე; დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი; გვ.236

[80] ვ.ა. ბორისოვი, დემოგრაფია, 2000, გვ.227.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ–ცალკე. თავდაპირველად შევეხოთ პირველ ჯგუფში გაერთიანებულ რესპონდენტებს. მათ შორის ერთი შვილი ჰყავს 22,16%-ს. ამ ერთობლიობაში ყველაზე ბევრია ორშვილიანი(38,64%) თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ტენდენცია მხოლოდ ამ ჯგუფისათვის არაა დამახასიათებელი, იგი ვრცელდება ყველა ჯგუფზე. Aარაეკლესიურად მცხოვრებ რესპოდენტებში სამი შვილი ჰყავს 13, 64%, ოთხი-2,27%, ხოლო ხუთი-1,14%-ს.

შვილების რაოდენობას მეტობიდან ნაკლებობისაკენ თუ დავალაგებთ, იმ რესპონდენტებში, რომლებმაც ახლა დაიწყეს ეკლესიური ცხოვრება, პირველ ადგილზე აღმოჩნდებიან ორშვილიანები (44,33%), შემდეგ მოდიან ერთშვილიანები (23,71%) და სამშვილიანები (16,49%). 5%-ს შეადგენენ ოთხშვილიანი რესპონდენტები, ხოლო ხუთი და მეტშვილიანები მათ შორის საერთოდ არ აღმოჩნდნენ.

და ბოლოს, გავაანალიზოთ ჩვენთვის საინტერესო მესამე, ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტების ჯგუფი. მათთვისაც , ისევე როგორც წინა ჯგუფებისთვის, დამახასიათებელია ორშვილიანების სიჭარბე (40,94%), მაგრამ წინა ჯგუფებისგან განსხვავებით, სიხშირის მიხედვით აქ მეორე ადგილს იკავებენ სამშვილიანი რესპონდენტები (წინა ორ ჯგუფში მეორე ადგილზე იყვნენ ერთშვილიანები) მათი ხვედრითი წილი მესამედს აღემატება(34,7%). მომდევნო ადგილებს იკავებენ ჯერ ერთშვილიანები (11,95%), შემდეგ ოთხშვილიანები (7,32%), ხუთშვილიანები კი შეადგენენ 1,25%-ს.

გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც შვილი საერთოდ არ ჰყავდათ (6,7%), არაეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტთა შორის ისინი შეადგენენ 22,16%-ს, მათ შორის ვისაც ეკლესიური ცხოვრება ახალი დაწყებული აქვს –10.31%, ხოლო ვინც დიდი ხანია ეკლესიურად ცხოვრობს—3,85%. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ჯერ არა აქვთ ოჯახი შექმნილი. ასეთი აღმოჩნდა მთლიანად რესპონდენტთა 13,13%.

დემოგრაფიაში ბავშვების მიხედვით ოჯახების შემდეგი ტიპოლოგიაა მიღებულია: მცირეშვილიანი (ბავშვთა მცირე რიცხვიანი) ოჯახი 1-2 ბავშვი. ასეთი ოჯახი არაა საკმარისი მოსახლეობის თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისათვის; საშუალოშვილიანი (ბავშვთა საშუალო რიცხვიანი) ოჯახი 3-4 ბავშვი – ასეთი ოჯახი უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას; მრავალშვილიანი ოჯახი 5 და მეტი ბავშვი.[81]

აღნიშნული ტიპოლოგიის მიხედვით, თუ გავაანალიზებთ სოციოლოგიური გამოკვლევით მოპოვებულ მასალას, აღმოჩნდება, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილ სამივე ჯგუფში უმეტესობას შეადგენენ მცირეშვილიანები 1-2 ბავშვით. არაეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებში მათი წილი შეადგენს 60,79%-ს. მათ შორის, ვინც ახლა იწყებს ეკლესიურ ცხოვრებას - 68,04%, ხოლო ეკლესიურად მცხოვრებლებში მათი ხვედრითი წილი წინა ორ ჯგუფთან შედარებით უფრო ნაკლებია (52,89%). საშულოშვილიანი ოჯახები ყველაზე მეტად ახასიათებთ ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებს (42%), ხოლო ყველაზე ნაკლებად, იმათ ვინც არ ცხოვრობს ეკლესიურად (15,9%). რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებიც ახლა იწყებენ ეკლესიურ ცხოვრებას, მათთან საშუალოშვილიანი ოჯახები 21,64%-ს შეადგენს, ე.ი. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ეკლესიურად ცხოვრების წესი გარკვეულ გავლენას ახდენს ოჯახში შვილთა რაოდენობაზე, რადგან როგორც მოყვანილი რიცხვები მეტყველებენ ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებს, სხვასთან შედარებით უფრო მეტად ახასიათებთ საშუალოშვილიანობა. ე. ი. ისინი შედარებით მეტად უზრუნველყოფენ მოსახლეობის მარტივ კვლავწარმოებას.

რაც შეეხება მრავალშვილიანობას, ის ნაკლებად ახასიათებთ როგორც ეკლესიურ ისე არაეკლესიური ცხოვრების წესის მქონე რესპონდენტებს. 5 და მეტი შვილიანი

---

81 ვ. ბორისოვი დემოგრაფია; 2001; გვ.257

აღმოჩნდა ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტების 1,25%, ხოლო არაეკლესიურები მათ კიდევ ჩამორჩებიან (1,14%).

როგორც ცნობილია, მეცნიერები გამოყოფენ შობადობაზე მოქმედ ფაქტორთა რამდენიმე ძირითად ბლოკს, როგორიცაა: ბიოლოგიური (ფიზიოლოგიური) ფაქტორი; საქორწინო-საოჯახო ფაქტორი; შვილთა ყოლის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული ფაქტორები (სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა).

ყველა ადამიანს აქვს შვილის ყოლის, ან არ ყოლის სურვილი. შვილის ყოლის მოთხოვნილებას ის სხვა მოთხოვნილებასთან კავშირში განსაზღვრავს და უმეტეს შემთხვევაში შვილის ყოლის სურვილი გააზრებულია, რის გამოც ოჯახში ხდება ბავშვთაშობის დაგეგმვა, რაც ბავშვთა გარკვეული რაოდენობის ყოლას გულისხმობს. მეუღლეები ნებაყოფლობით იღებენ ოჯახის სიდიდეს, კერძოდ, ოჯახში ბავშვთა რიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, ე. ი. განსაზღვრავენ ბავშვთა სასურველ რიცხვს, ბავშვების დაბადებას შორის ინტერვალებს, ბავშვთა დაბადების დროს მშობლების ასაკისა და სოციალურ_ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ჩასახვის საწინააღმდეგო ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება ბავშვის დაგეგმილი რაოდენობის ყოლას ემსახურება და მისი მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. ოჯახის დაგეგმვას დადებითი და უარყოფით მხარეები გააჩნია. ადამიანს უფლება აქვს იყოლიოს ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობა. ეს გადაწყვეტილება ხორციელდება ბავშვთაშობის შიგაოჯახური რეგულირების მეშვეობით. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ოჯახის დაგეგმვა ხელს უწყობს ჯანსაღი ოჯახის არსებობას. იგი დადებითად მოქმედებს თავად ბავშვების და მათი დედების ჯანმრთელობაზე.

ოჯახის დაგეგმვა, ოჯახში ბავშვთა გარკვეული რაოდენობის ყოლა წარმოებს რეპროდუქციული ციკლის ბუნებრივ მსვლელობაში ცნობიერი ჩარევით. ჩარევის

სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. მაგალითად, როგორიცაა აბორტები და კონტრაცეფციის სხვადასხვა საშუალებები, ისინი ქალის ჯანმრთელობაზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ქალის ჯანმრთელობისა და ნაყოფიერების მიხედვით თუ შევაფასებთ განსაკუთრებით არასასურველ შედეგებს იძლევა ხელოვნური აბორტი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე და არც თუ იშვიათად ის უნაყოფობასაც კი იწვევს. აბორტის შემდგომი გართულებები კი შეიძლება ქალის სიკვდილის მიზეზი გახდეს. აბორტთან შედარებით კონტრაცეპტივების ნებისმიერი სხვა საშუალებები ნაკლებად მავნებელია და შესაბამისად, მეტად მისაღებია.

ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები უძველესი დროიდანაა ცნობილი, კონტრაცეფციის ტრადიციული მეთოდებიდან დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება შეწყვეტილი სქესობრივი აქტის (coitus interruptus) მეთოდი, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ორსულობისაგან თავის დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ასევე გამოიყენება ლაქტაციური ამენორეის მეთოდი (ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში ქალი გარკვეული დროის მანძილზე დაცულია ორსულობისგან), კონტრაცეფციის კალენდარული მეთოდი, მასში იგულისხმება სქესობრივი ურთიერთობისაგან თავის შეკავება პერიოვუაციურ დღეებში. არასასურველი ორსულობისაგან თავის დაცვის საშუალებას წარმოადგენს პრეზერვატივის, სპერმაციდებისა და ვაგინალური ბარიერული საშუალებების გამოყენება. უკანასკნელ პერიოდში პოპულარობით სარგებლობს ჩასახვის საწინააღმდეგო აბები და საინექციო საშუალებები.

ორსულობის თავიდან აცილების თანამედროვე მეთოდებიდან აღსანიშნავია ქირურგიული კონტრაცეფცია (სტერილიზაცია). ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ითვლებოდა ადამიანის უფლების დარღვევად, პიროვნების ღირსების

შეურაცხყოფად და კანონით იკრძალებოდა. თანამედროვე ეტაპზე ადგილი აქვს კანონის ლიბერალიზაციას ამ საკითხთან დაკავშირებით.[82]

დემოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში სოციალურ_ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევაზე არსებითი გავლენა მოახდინა ოჯახის ტიპების და სოციალური ფუნქციების ტრანსფორმაციამ. რასაც თან ახლდა ბავშვების დაბადებაზე კონტროლის საყოველთაო გავრცელება. თითქმის ყოველი ოჯახი გეგმავს არა მარტო ბავშვთა რაოდენობას ოჯახში, არამედ მათი დაბადების ვადებსაც, რისთვისაც იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. ეს პროცესი დასრულდა იმით, რომ ქვეყანაში დომინირებული ადგილი დაიკავა ორბავშვიანმა ოჯახმა, ამასთან სულ უფრო იზრდება იმ ოჯახთა რიცხვი, რომლებიც უპირატესობას ოჯახში ერთი ბავშვის ყოლას ანიჭებენ.

ორსულობის თავიდან აცილების ისეთ თანამედროვე საშუალებებს როგორიცაა ჰორმონალური კონტრაცეფცია და საშვილოსნოს შიდა სპირალის ჩადგმა იყენებს ქალების დაახლოებით 20_25%. მაშინ როდესაც აბორტს ქალების 75_80% მიმართავს.[83]

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია ხდება თუ არა მორწმუნეთა ოჯახებში ბავშვთა შიგაოჯახური რეგულირება. თუ ხდება, რა მეთოდებს იყენებენ ისინი. რადგან ცნობილია, რომ მართლმადიებელი ეკლესია წინააღმდეგია ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების უმეტესობის და მიიჩნევს, რომ ის დედები, რომლებიც არასასურველი ბავშვის მოსაშორებლად სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ კაცის მკვლელები არიან, რადგან ამ საქციელს წინასწარი განზრახვით ჩადიან და უნდა მოხდეს მათი კაცისმკვლელი კანონებით გაკანონება. თუმცა მართლმადიდებლური ეკლესია არ

---

82 მ. ბექაია; გ. წულაძე; ზ. გოქაძე; გ. მელაძე; ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები. თბ. 1998 წ., გვ.135-137.

83 ა. თოთაძე, დასახ. ნაშ გვ 88-89.

კრძალავს ორსულობის დარეგულირებას კალენდარული მეთოდით, რაც გულისხმობს სქესობრივი ურთიერთობისაგან თავის შეკავებას. ეკლესიური ცხოვრების წესი გულისხმობს მარხვის პერიოდში სქესობრივი ურთიერთობისაგან თავის შეკავებას. მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით მარხვა წელიწადში ოთხჯერ არის და არც თუ მცირე ხნით გრძელდება. ასევე მთელი წლის განმავლობაში ოთხშაბათსა და პარასკევს, როგორც მარხვის დღეებში ისე რომ, ეკლესიურად ცხოვრების დროს ქალი თავს იცავს ორსულობისაგან ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე.

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა: “ხდება თუ არა თქვენს ოჯახში ბავშვთაშობის დაგეგმვა?” მათ უნდა აერჩიათ სამი სავარაუდო პასუხიდან ერთი. არაეკლესიურ რესპონდენტებს შორის უმეტესობას შეადგენდნენ ისინი, ვის ოჯახშიც ბავშვთაშობის დაგეგმვა არ ხდება(71.15%). კონტრაცეპტივებს მიმართავს 19.23%, ხოლო აბორტის საშუალებით არასასურველ ორსულობას წყვეტს 9.62%. იგივე ტენდენცია აღინიშნება იმ ჯგუფში, რომლის წევრებიც არიან ის რესპონდენტები, ვინც ეკლესიური ცხოვრება ახლა დაიწყო. მათ შორის დაგეგმვა არ ხდება 78,35%-თან. კონტრაცეფციურ საშუალებებს მიმართავს 12,37%. ხოლო აბორტს 9,28%. რაც შეეხება ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებს, მათთანაც ბევრია იმათი ხვედრითი წილი, ვინც ბავშვთაშობის რეგულირების არანაირ მეთოდს არ იყენებს და ეს საქმე ღმერთს მიანდო. ე.ი. მათ ოჯახში ბავშვთაშობის დაგეგმვას ღმერთი ახდენს. ამასთან ეს მაჩვენებელი საგრძნობლად აჭარბებს წინა ორი ჯგუფის ამავე მაჩვენებელს და შეადგენს 96%. თუმცა მორწმუნეთა შორისაც არიან ისეთები, ვინც ბავშვთაშობის რეგულირებისას იყენებენ კონტრაცებციებსა და აბორტებს, მაგრამ მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა. კონტრაცეპტივების მომხმარებლები მორწმუნე რესპონდენტებში შეადგენს 2,25%, აბორტს იკეთებს 1,76%.

ამგვარად, ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებში, მართალია ყველაზე ბევრია ორშვილიანი

ოჯახები, მაგრამ მათ შემდეგ, სიმრავლის მიხედვით, მოდის სამშვილიანები. ასევე საშუალოშვილიანი (3—4 შვილი) ოჯახებიც. ამ სოციალური ჯგუფისათვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი ეს ტიპი დანარჩენ ორთან შედარებით და ბოლოს, ასეთ რესპნონდენტთა ძალიან მცირე ნაწილისთვისაა ბავშვთაშობის დაგეგმვაც დამახასიათებელი. ეს კი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ბავშვთაშობის დაგეგმვა მართმადიდებელ მორწმუნე რესპონდენტებში ღმერთზეა მინდობილი, ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მათ ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა და საშუალოშვილიანთა ოჯახების რიცხვი. ამ ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა რეპროდუქციულ პერიოდში მყოფი ქალების სიჭარბე, აგრეთვე დასაოჯახებელი რესპონდენტების რიცხვი და ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტების სურვილი კიდევ იყოლიონ შვილი. მათ შორის უმეტესობას არა აქვს წინასწარ განზრახული კიდევ რამდენ შვილს იყოლიებს. 63,25% მიუთითებს, რომ კიდევ იყოლიებს იმდენ შვილს რამდენსაც ღმერთი მისცემს.

ამრიგად, შვილთა ფაქტობრივი რაოდენობით და ბავშვთაშობის დაგეგმვით ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტები განსხვავდებიან არაეკლესიურად მცხოვრებლებისგან. ეს განსხვავება ისეთია, რომ მათ გამორჩეულ ადგილს აძლევს როგორც ეკლესიურად მცხოვრებთა თაობათა აღწარმოების, ისე საერთოდ ქართველების ფიზიკური უწყვეტობის საქმეში.

§5 მართმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდიქციული განწყობა და რეპროდუქციული ქცევა

ადამიანთა ერთობლიობაში ბავშვთა შობის პროცესს შობადობა ეწოდება. იგი ბიოლოგიური და სოციალური მოვლენაა. ამ ორი ფაქტორის შეჯერებამ აჩვენა, რომ წამყვანი როლი სოციალურს უკავია. თუმცა ზოგიერთი ავტორი მოსახლეობის აღწარმოების საკითხების შესწავლისას იზიარებს იმ აზრს, რომ შობადობა

განპირობებულია “გამრავლების ბუნებრივი ინსტიქტით”. ამ თვალსაზრისის ერთ_ერთი ოპონენტი ვ. კოზლოვი კი თვლის, რომ გამრავლებასთან არის დაკავშირებული ორი განსხვავებული ინსტიქტი: სქესობრივი და მშობლის ინსტიქტი. ქართველმა მეცნიერმა მ. ბექაიამ სოციალური და ბიოლოგიური ინსტიქტის მთლიანობაში განხილვით სისტემატიზებურად დაასაბუთა ოჯახის სოციოლოგიური ინსტიტუციურობა, შობადობა მოაქცია ოჯახის სოციობიოლოგიურ ფუნქციებში და ცალკე გამოყო ოჯახის მთლიან სტრუქტურაში სოციობიოლოგიური სტრუქტურის ერთ_ერთ ქვესტრუქტურად.[84] დემოგრაფიაში შობადობის ფაქტორების შესახებ მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი აზრი. ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ბ. ურლანისმა მოახდინა მათი შემდეგნაირი კლასიფიკაცია. მან შობადობის ფაქტორებში შეიტანა სოციალური და ბუნებრივი პირობები და გარემოებები. მაგ: კლიმატი, მემკვიდრეობითობა, ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა, საქორწინო წყვილის კეთილდღეობის დონე, კულტურული დონე, კანონმდებლობა, ომი, ურბანიზაცია, ნაციონალურობა და სხვა. მიზეზებში კი შეიტანა ქალის ქორწინებაში შესვლის ასაკი, ქალის ყოფნა ქორწინების გარეშე, ნაყოფიერების პროცენტულობა, მკვდარი ბავშვის გაჩენა, უნაყოფობა, ოჯახში ბავშვების რაოდენობის რეგულირება.

ამერიკელმა დემოგრაფმა რ. ფრიდმანმა გაანალიზა შობა. შობის “ნაყოფიერების” სქემა. მასში გამოყოფილია ‘შესვენების ჯგუფი’, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ბიოლოგიური ციკლის ამა თუ იმ საფეხურზე, ჩასახვაზე და ორსულობაზე. მან ცალკე გამოყო “სოციალური ნორმები”, “სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა”, რომლებიც მოქმედებენ შობადობაზე. ასევე ღნიშნა სიკვდილიანობის დონის მნიშვნელობა, რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს ბავშვთა რიცხვზე ოჯახში.

---

84 მ. ბექაია, მ. წულაძე, ზ. გოქაძე, მ. მელაძე, ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბ. 1998 წ., გვ. 12-26, 36, 43.

ო. ვ. ლარვინმა შობადობის ფაქტორები დაყო ობიექტურად და სუბიექტურად. იმის გათვალისწინებით, რომ პირველს არ შეუძლია შეცვლა, ხოლო მეორე შეიძლება შეიცვალოს ადამიანის შეგნებული თავისუფალი მოქმედებით. მან ობიექტურ ფაქტორებში შეიყვანა დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, სოციალურ_კულტურული და ის ფაქტორები, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობასთან არიან დაკავშირებული. სუბიექტურ ფაქტორებს კი მიაკუთვნა სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის და დემოგრაფიული ცნობიერების მდგომარეობა. ინდივიდის, ჯგუფის, ოჯახის დემოგრაფიული ქცევის ცნობიერების წარმართვა. მასში შედის ეთნიკური და რელიგიური წესები, ტრადიციები და სოციალურ_ფსიქოლოგიური ქცევები.

ვ. კოზლოვი კი თვლის, რომ მიზანშეწონილია შობადობის ფაქტორების ანალიზი მოვახდინოთ რამოდენიმე ძირითად "ბლოკად". გამოიყოფა ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური ფაქტორი საქორწინო საოჯახო ფაქტორი, შვილის ყოლის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ესენია: სოციალურ_ეკონომიკური, სოციალურ_კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა.[85]

შობადობის მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთებს, რომლებიც შობადობას ახასიათებენ არა დაბადებული ბავშვების რაოდენობის საფუძველზე, არამედ შეხედულებათა რაოდენობრივი შეფასების მიხედვით, რომლებიც მიიღება სპეციალური გამოკვლევების შედეგად ოჯახში ბავშვთა იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი და სხვა რაოდენობების დადგენით.

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამა თუ იმ რელიგიისადმი მიკუთვნებულება დიდი გავლენას ახდენს ცალკეული ინდივიდისა თუ მთლიანად საზოგადოების ცნობიერებაზე. რელიგიური დოგმები აყალიბებენ ადამიანთა ქცევას, მათი ყოფის ურთიერთობის ნორმებს. არეგულირებენ ოჯახურ ცხოვრებას და გავლენას ახდენენ

---

85 В. И. Козлов, Этническая демография , М. 1977 г.

რეპროდუქციულ ქცევაზე. სხვადასხვა რელიგიები ამ მხრივ განსხვავდებიან. როგორც ცნობილია ისლამის მიმდევრები მრავალშვილიანობით ხასიათდებიან. რასაც ვერ ვიტყვით ქრისტიანობის მიმდევრებზე. ამავე დროს განსხვავებაა თვით ქრისტიანებს შორისაც. ჩვენთვის მეტად აქტუალურია გაირკვეს მართლმადიდებელთა რეპროდუქციული ქცევა. მაგრამ სანამ კონკრეტულად რეპროდუქციულ ქცევას და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს შევეხებოდეთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვებს გარკვეული ადგილი უჭირავთ პიროვნების ფასეულობათა სისტემაში .პიროვნება ბავშვებთან, როგორც ფასეულობათა სისტემაში არსებულ სოციალურ ობიექტებთან, ცნობიერ დამოკიდებულებაში იმყოფება. ბავშვთა ფასეულობა რეპროდუქციული სიტუაციის შეფასებისა და რეპროდუქციული გადაწყვეტილების კრიტერიუმად გვევლინება. ამასთან იგი ბავშვებზე მოთხოვნილებისა და რეპროდუქციული მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორიცაა.

რეპროდუქციული ქცევის კვლევა, დემოგრაფიული პროცესების, კერძოდ კი შობადობის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამგვარი კვლევის საშუალებით ხდება იმ ასპექტების გაანალიზება, რომელიც აუცილებელია შობადობის სრული და ამომწურავი შემეცნებისათვის. საუბარი ეხება ბავშვთაშობის ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევას. იგი განაპირობა მცირეშვილიანობის მიზეზების დადგენის აუცილებლობამ. რეპროდუქციული ქცევის კანონზომიერებათა შესწავლა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და ახალი ფურცელი გადაშალა მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შემეცნებაში. მიუხედავად მისი შესწავლის მოკლე ისტორიისა, ამგვარი კვლევის ირგვლივ საკმაოდ სერიოზული გამოცდილება დაგროვდა.

რუსი დემოგრაფი ვ. ბორისოვი რეპროდუქციული ქცევის ამგვარ განსაზღვრებას იძლევა : “რეპროდუქციული ქცევა არის ქორწინებაში ან ქორწინების გარეშე ნებისმიერი რიგითობის ბავშვის გაჩენასთან, ან გაჩენაზე უარის თქმასთან დაკავშირებული

პიროვნების მოქმედების ურთიერთობის და ფსიქიკური მდგომარეობის სისტემა."[86] რეპროდუქციული ქცევა პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული საერთო ქცევის ნაწილია. ისევე, როგორც ნებისმიერი ქცევა , ისიც წარმოადგენს თავისი ფიზიკური და ფსიქიკური კომპონენტებით მთლიან რეაქციას გარე და შიგა სტიმულებზე. გარეგან სტიმულს წარმოადგენს სოციალური ნორმები და ფასეულობანი ,კერძოდ, ბავშვებისა და მშობლების ფასეულობანი პიროვნების, ოჯახისა და საზოგადოებისთვის, აგრეთვე რეპროდუქციულ ფასეულობებთან ასე თუ ისე დაკავშირებული სხვა სოციალური ფასეულობანი და მათი შესაბამისი შვილიანობის სოციალური ნორმები. შინაგან სტიმულებს კი განეკუთვნება პიროვნებისა და ოჯახის მოთხოვნილებანი შვილების რაოდენობაზე.

რეპროდუქციულ ქცევას გააჩნია სტრუქტურა , რომელიც წარმოდგება ფსიქიკური კომპონენტების თანმიმდევრობის სახით: რეპროდუქციული მოთხოვნები, განწყობები, მოტივები, ინტერესები, გეგმები, გადაწყვეტილებები, ქმედებები, მოქმედებათა შედეგები.[87] ბორისოვის აზრით, რეპროდუქციულ ქმედებათა შედეგები შეიძლება იყოს არა მაინც და მაინც ბავშვების გაჩენა, არამედ ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებები და აბორტები. ამგვარად, ბორისოვთან რეპროდუქციული ქცევა აერთიანებს იმ მოქმედებებსა და ურთიერთობებს, რომლებიც სრულდება ბავშვთაშობით ან ბავშვთაშობის აღკვეთით.

ცნობილი დემოგრაფი და მკვლევარი ა. ანტონოვი, ეხება რა "რეპროდუქციული ქცევის" ტერმინს, აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი გამოიყენება იმ მოქმედებათა და ურთიერთობათა აღსანიშნავად, რომლებიც დაკავშირებულია იმ ცდომილებათა თანმიმდევრულ განხორციელებასთან, რომლებიც დამახასიათებელია სრული

---

86 ვ. ა. ბორისოვი, დემოგრაფია, თბ. 2001. გვ. 318-319.

87 იქვე, გვ. 320, 321, 322.

რეპროდუქციული ციკლის განხორციელებასთან; ხოლო ის მოქმედებები და ურთიერთობები, რომლებიც რეპროდუქციული ციკლის ნებისმიერი რგოლის დადგომას აფერხებენ, ტრადიციულად აღინიშნება ისეთი ტერმინებით, როგორიცაა "შობადობის რეგულირება", "შობადობის შიგაოჯახური კონტროლი", "ოჯახის დაგეგმვა". ზოგჯერ აღნიშნული მომენტები რეპროდუქციული ქცევის თეორიაში გაერთიანებულია ცნებით "კონტრაცეპტული ქცევა".[88] ანტონოვისთვის რეპროდუქციული ქცევა აერთიანებს მხოლოდ იმ ქცევებსა და ურთიერთობებს, რომლებიც ბავშვთაშობით სრულდება.

საქართველოში რეპროდუქციული ქცევა შესწავლილ იქნა პროფ. გ.წულაძის მიერ. მასთან რეპროდუქციული ქცევა შესაბამისი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, რომელიც "ბავშვის ყოლის მოთხოვნილების", შესაბამისი სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების ურთიერთდამთხვევის საფუძველზე აღმოცენდება. გ.წულაძის რეპროდუქციული ქცევისა და ევოლუციის სქემას საფუძვლად დაედო აკადემიკოს შ.ნადირაშვილის მიერ შემუშავებული ადამიანის ფსიქიკური აქტივობის სამი დონის ამსახველი სქემა. რეპროდუქციული ქცევის სპეციფიკურობა იმ მოთხოვნილებების სპეციფიკურობითაა განპირობებული, რომლის დაკმაყოფილებასაც იგი ემსახურება.

გ.წულაძის თვალსაზრისი დაფუძნებულია დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიურ თეორიაზე, ხოლო ზემოთ დახასიათებული ა. ანტონოვის თვალსაზრისში განწყობის ადგილი დისპოზიციას უკავია. ამის გამო ამ ორი მეცნიერ_მკვლევარის შეხედულებების საფუძვლებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს.

ა. ანტონოვის მიხედვით, დისპოზიციის სისტემა ქცევის რეგულაციის ძირითად ფსიქოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ბავშვების ყოლის მოთხოვნილების

---

88 ДЭС. М. 1985, СТ. 369.

დაკმაყოფილების სიტუაციით განისაზღვრება. თუ ა. ანტონოვთან შობადობა ყოველთვის სოციალურადაა განპირობებული, გ.წულაძის გაგებით, გარკვეულ პერიოდში ბავშვთაშობა თვისუფალი იყო ყოველგვარი სოციალურისაგან და იმპულსურ დონეზე მიმდინარეობდა. ა.ანტონოვი ადამიანის ცნობიერებას ზოგადად ე.წ. "დემოგრაფიულ ცნობიერებას" უკავშირებს, მაშინ როდესაც გ.წულაძის გაგებით, ადამიანს ცნობიერება სავსებით შეიძლება ჰქონდეს ჩამოყალიბებული, მაგრამ ბავშვთაშობას არაცნობიერად მიმართავდეს. ამასთან, გ.წულაძეს მიაჩნია, რომ "დემოგრაფიული ცნობიერების" მოქმედების მექანიზმი, რომელიც დემოგრაფიულ პროცესში ცნობიერების მონაწილეობას გულისხმობს, საკმაოდ ბუნდოვანია. მის ნაცვლად ის უფრო მართებულად მიიჩნევს ობიექტივაციისა და ნებელობის ცნებების გამოყენებას.

ორივე თვალსაზრისის მიხედვით, შობადობის ცვლილება ძირითადად გამოწვეულია "ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების" ცვლილებით[89] .ე.ი. რეპროდუქციულ ქცევაში წამყვანი როლი ბავშვთა მოთხოვნილებას ეკუთვნის. ა.ანტონოვის განმარტებით, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება "წარმოადგენს ინდივიდის სოციალურ_ფსიქოლოგიურ თვისებას, რაც იმაში ვლინდება, რომ ბავშვების გარეშე და მათი შესაფერისი რიცხვის გარეშე ინდივიდი, როგორც პიროვნება, განიცდის დაბრკოლებას".[90] ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება განსაზღვრავს ბავშვთა რაოდენობას ოჯახში. "თუ ოჯახში ბავშვთა რიცხვი შეესატყვისება მეუღლეთა შვილებზე მოთხოვნილებას, _აღნიშნავს ა. ანტონოვი_ მაშინ ცხოვრების პირობების ვერავითარი გაუმჯობესება ვერ გამოიწვევს ბავშვთა რაოდენობის გადიდებას.

---

89 გ. წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2000 წ., გვ. 234.

90 ვ. ბორისოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 321.

მაგრამ თუ ოჯახში ბავშვთა რაოდენობა მოთხოვნილებაზე ნაკლებია, მაშინ ამ მოთხოვნილების რეალიზაციის პირობების გაუმჯობესებას შეუძლია აამაღლოს დაბადებათა დონე. სხვადასხვა ადამიანს შეფასების კრიტერიუმი განსხვავებული აქვს, ამიტომ, ცხოვრების ერთი და იგივე პირობები შეიძლება მიღებული იქნეს ერთისთვის როგორც კეთილსასურველი, მეორისთვის როგორც მოთხოვნილების რეალიზაციისთვის არაკეთილსასურველი".[91]

დემოგრაფიაში მეცნიერები განასხვავებენ სამ ძირითად ტიპს, იმის მიხედვით, თუ რეპროდუქციული ქცევა რამდენი შვილის ყოლის მოთხოვნილებას ემყარება. ეს ტიპებია: მრავალშვილიანი, საშუალოშვილიანი და მცირეშვილიანი. მრავალშვილიანი რეპროდუქციული ქცევის ტიპისთვის დამახასიათებელია ხუთ და მეტ შვილზე მოთხოვნილების რეალიზება, საშუალოშვილიანისთვის _ სამ-ოთხ შვილზე მოთხოვნილების რეალიზება, ხოლო მცირეშვილიანისთვის _ ერთ-ორ შვილზე მოთხოვნილების რეალიზება. მრავალშვილიანი რეპროდუქციული ქცევის ტიპი ძირითადად განისაზღვრება ნაყოფიერების თავისებურებით, ხოლო მცირეშვილიანი _ ორსულობის თავიდან არიდებითა და ორსულობის შეწყვეტით. სოციალურ_ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რეპროდუქციული ქცევის სამივე ტიპს ქცევის რეგულაციის ზოგადი სტრუქტურა აქვს. სხვა თანაბარ პირობებში ისინი ხასიათდებიან განსხვავებული ხანგრძლივობის ნაწილობრივი რეპროდუქციული ციკლებით.

რეპროდუქციულ ქცევას წინ უსწრებს რეპროდუქციული განწყობა, იგი წარმოადგენს ადამიანის მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისათვის, რომელიც

---

91 ДЭС. М. 1985, СТ. 370.

მიმართულია “ბავშვების ყოლის მოთხოვნილების” დაკმაყოფილებისაკენ და განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას.[92]

“რეპროდუქციული განწყობა ქცევის ფსიქიკური რეგულატორია, ბავშვების განსაზღვრული რიცხვის გაჩენისადმი პიროვნების დადებითი ან უარყოფითი დამიკიდებულებით განპირობებული სხვადასხვა ქმედებათა შეთანხმებულობის განმსაზღვრელი მიდრეკილებაა”.[93]

რეპროდუქციული განწყობის აღმოცენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბავშვების ყოლის მოთხოვნილების, შესაბამისი სიტუციისა და ოპერაციული შესაძლებლობების არსებობა, ურთიერთდამთხვევა და ერთდროული ზემოქმედება. რეპროდუქციულ განწყობაში ასახულია ეს ფაქტორები და ამიტომ მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა ხასიათდება მიზანშეწონილობით.

ყველა ქცევა, მათ შორის რეპროდუქციულიც, ვითარდება თანმიმდევრულად მოთხოვნილებისა და განწყობის ფორმირებიდან მოქმედებისა და შედეგებისაკენ. აქედან გამომდინარე ქცევის გამოკვლევა ხდება ქცევისა და მოქმედებათა შედეგებიდან განწყობებისა და მოტივების გზით მოთხოვნილებისაკენ. რეპროდუქციული განწყობის უმთავრეს ინდიკატორებს წარმოადგენენ შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები : ბავშვების საშუალო იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი (დაგეგმილი) რიცხვი.

ბავშვების საშუალო იდეალური რიცხვი ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას საერთოდ ოჯახში ბავშვთა საუკეთესო რიცხვის შესახებ. ამ შემთხვევაში მხედველობაში არაა მიღებული ცხოვრების კონკრეტული პირობები და პირადი უპირატესობის მინიჭება. აგრეთვე, არაა აუცილებლად გათვალისწინებული თავისი ოჯახის მდგომარეობა და პირობები. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ბავშვის საშუალო

---

92 გ. წულაძე , დასახ. ნაშრ. გვ. 231.

93 Yfhjljyfctktybt, Эywbrkjgtlbxtcrbq ckjdfhm, ,jk]ifz hjccbqcrfz эywbrkjgtlbz V, 1994, cn. 383-384.

იდეალური რაოდენობა დაკავშირებულია რეპროდუქციული ქცევის ნორმებთან და მის გამოხატულებას წარმოადგენს.

ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი განიხილება როგორც მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე ახლოს ახასიათებს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებას და გამოხატავს რესპონდენტთა პიროვნული უპირატესობის გამოვლენას ბავშვების იმ რიცხვთან დაკავშირებით, რომელიც რესპონდენტს უნდოდა, რომ ჰყოლოდა თავის ოჯახში, თუკი მას ხელს არაფერი შეუშლიდა თავისი სურვილების შესრულებაში.

ბავშვთა სასურველი რიცხვი უჩვენებს იმ ზღვარს, რომელამდეც შეიძლება ამაღლდეს შობადობის დონე ჩვეულებრივი ეკონომიკური საშუალებებით, ოჯახთა სოციალური დახმარებით.

ბავშვთა საშუალო მოსალოდნელი რიცხვი ეს ბავშვების ის რაოდენობაა, რომლის ყოლასაც კიდევ აპირებს ადამიანი. იგი ახასიათებს ადამიანისა და ოჯახის რეპროდუქციული გეგმების რეალურ განზრახვებს მათი ცხოვრების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. სტატისტიკოს დემოგრაფთა მიერ ეს მაჩვენებელი განიხილება, როგორც ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშნელობის მქონე სიდიდე პროგნოზირებისთვის.

საქართველოში რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევის შესწავლა ხდებოდა როგორც საბჭოურ, ისე პოსტსაბჭოურ პერიოდში. ეს საკითხი შესწავლილ იქნა ზოგიერთ ეროვნებაში და სხვადასხვა სოციალურ, პროფესიულ და ასაკობრივ ჯგუფებში. ის სოციალური ჯგუფი, რომელსაც გვინდა შევეხოთ და რომლის რეპროდუქციული ქცევაც ფაქტიურად არ არის შესწავლილი, არის მართლმადიდებელი მორწმუნე.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევისადმი დიდი ინტერესი განაპირობა მართლმადიდებელი სარწმუნოების დამოკიდებულებამ ისეთი ფასეულობებისადმი, როგორიცაა ოჯახი,

ბავშვები. მორწმუნე ადამიანი კი ცხოვრობს იმ მსოფლმხედველობით, რასაც მას თავისი სარწმუნოება ასწავლის. სოციოლოგები არ კამათობენ იმაზე, რომ რელიგიას აქვს პრინციპული მნიშნელობა საზოგადოებისთვის. იმის დასადგენად, თუ რატომაა რელიგიური ასპექტი სოციალური ცხოვრებისთვის მეტად მნიშნელოვანი, ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკჰემი განიხილავს რელიგიის სამ ძირითად ფუნქციას. ესენია: სიციალური დარაზმულობა, სოციალური კონტროლი და ადამიანის ცხოვრებისადმი აზრის მიცემა. ყველა საზოგადოებაში, როგორც სოციოლოგი ემილ დიურკჰეიმი აღნიშნავს, რელიგიური იდეები ემსახურება კონფრომიზმის გაძლიერებას. ბევრი კულტურული ნორმა _ განსაკუთრებით კი ისეთი, რომელიც ეხება ქორწინებასა და შობადობას _ სოციუმში იღებს რელიგიურ გამართლებას.[94] კალიფორნიელი პროფესორის, რელიგიის სიციოლოგიის სპეციალისტის ჩარლზ გლოკის აზრით, რელიგიურ რწმენას შეუძლია გავლენა მოახდინოს ღირებულებებზე.[95] როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მართლმადიდებელი სარწმუნოებისთვის ოჯახი და ბავშვები მნიშვნელოვანი ფასეულობებია. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია გაირკვეს როგორია მართლმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციული განწყობა და რეპროდუქციული ქცევა შესწავლა. იგი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ მისი როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აღწარმოების პროცესში.

ჩვენ დავკმაყოფილდებით იმ მორწმუნეთა გამოკითხვის მონაცემების ანალიზით, რომლებსაც ჰყავთ მოძღვარი. რადგან ისინი ერთგულად და თანმიმდევრულად იცავენ იმ ნორმებს, მცნებებს და წესებს, რომლის მრევლსაც ისინი წარმოადგენენ. ცხადია, მათ შორის თავისი ადგილი უკავია ოჯახურ ურთიერთობებს

---

94 L;. Vfcbjybc, Cjwbjkjubf. 2004, cn. 617.

95 ე. კოდუა , სოციოლოგია , გვ. 192.

და შვილს, როგორც ფასეულობას. როგორც ცნობილია სხვადასხვა რელიგიები ამ მიმართულებით განსხვავდებიან. თვით ერთ რელიგიურ ერთობებში იმისდა მიხედვით თუ როგორია მორწმუნის დამოკიდებულების ხარისხი, გნებავთ ერთგულება სარწმუნოებრივი ნორმებისა და მცნებებისადმი, ადგილი აქვს გარკვეულ დიფერენციაციას. კერძოდ, მართლმადიდებელი მორწმუნენი შეიძლება თეორიულადაც და პრაქტიკულადაც განსხვავდებოდნენ თავისი რელიგიური ნორმებისა და მცნებებისადმი ერთგულებით. რაც შეიძლება გამოვლინდეს ეკლესიური ცხოვრების წესის დაცვით, წირვა_ლოცვებზე დასწრებით, მოძღვრის ყოლით და ა. შ. როგორც აღნიშნული, იყო ამ მხრივ საზღვარგარეთელი მეცნიერების მიერ რელიგიურობის ორი ტიპი გამოიყო. მათი ფასეულობებისადმი დამოკიდებულება განსხვავებული აღმოჩნდა. ჩვენი ვარაუდით ასეთი დიფერენციაცია უნდა გამოვლინდეს დემოგრაფიულ ქცევებსა და ორიენტაციებშიც. ოღონდ ამის გასარკვევად ავიღეთ მორწმუნეთა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მოძღვრის ყოლა, ეკლესიაში სიარული ეკლესიური ცხოვრების წესი. ჩვენს გამოკვლევაში ამგვარი დიფერენციაცია გამოვლინდა.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციული განწყობის გადმოცემა დავიწყოთ ოჯახში ბავშვთა იდეალური რიცხვის გარკვევით. ე. ი. იმის გარკვევით, თუ მორწმუნეთა წარმოდგენით, რომელია საერთოდ ოჯახში ბავშვთა იდეალური რაოდენობა. მორწმუნეთა უმეტესობისათვის (36,68%) იგი არის ოთხი, შედარებით უფრო მცირე ნაწილი (30.9%) ოჯახში შვილთა იდეალურ რაოდენობად თვლის ექვსს და მეტ ბავშვს. 19,18%_ისთვის კი ბავშვთა იდეალური რაოდენობა ხუთია. კიდევ უფრო მცირეა იმათი ხვედრითი წილი, ვინც ამ რიცხვს საზღვრავს სამი, ორი და ერთი ბავშვით. (შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლებიც ასე ნაწილდება: სამი _ 8,21% ; ორი _ 4,44% ; ერთი _ 0,59%). რაც შეეხება ბავშვთა საშუალო იდეალურ რიცხვს იგი შეადგენს 4,62 ბავშვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მაჩვენებელი აღემატება იმ მორწმუნეთა

ანალოგიურ მონაცემებს, რომლებსაც მოძღვარი არ ყავთ (3,02 ბავშვი). ამრიგად, ოჯახში ბავშვთა საშუალო იდეალური რაოდენობის მიხედვით მოძღვრიან და არამოძღვრიან რესპონდენტთა მონაცემები განსხვავებულია. კერძოდ, იგი მაღალია მოძღვრიან რესპონდენტებში და დაბალია იმ რესპონდენტებშუ, რომლებსაც არ ჰყავთ მოძღვარი.. ეს კი მათი რეპროდუქციული ორიენტაციების დიფერენციაციას მოწმობს.

ბავშვთა საშუალო იდეალური რიცხვი ასახავს საერთოდ ოჯახში ბავშვთა საუკეთესო რიცხვს და არა აუცილებლად თავის ოჯახში. საკითხის მეცნიერული შემეცნებისათვის უფრო მეტად საინტერესოა ის მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს ახასიათებს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებას. ბავშვების რა რაოდენობა სურდათ ჰყოლოდათ მათ და რა რაოდენობა ჰყავდა გამოკითხვის დროს რეალურად, ხომ არ არის მოსალოდნელი მათ ოჯახებში ბავშვთა რიცხვის გაზრდა, ე. ი. აპირებენ თუ არა კიდევ იყოლიონ შვილი. ამ საკითხების გარკვევას შევეცდებით მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახებში.

რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ, ჰყავდათ თუ არა იმდენი შვილი, რამდენის ყოლასაც ქორწინებამდე აპირებდნენ. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების ნახევარზე მეტს (59%)არ ჰყავს იმდენი შვილი, რამდენის ყოლასაც ქორწინებამდე გეგმავდა.

მართმადიდებელ მორწმუნეთა რეპროდუქციული განწყობის ინდიკატორების შესწავლისას ყველაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის გარკვევა. კითხვა რომელიც პასუხს იძლევა ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შესახებ ჩვეულებრივ ასეთნაირადაა ფორმულირებული: “კიდევ რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?” მართმადიდებელ მორწმუნეთა მხოლოდ მეოთხედი (25,0%) არ აპირებს არცერთი ბავშვის ყოლას. რესპონდენტების 13,1 პროცენტისათვის მოსალოდნელი შვილების რაოდენობა გარკვეულია იმ აზრით, რომ მათ სურთ კიდევ იყოლიონ შვილების განსაზღვრული რაოდენობა. მათ შორის ერთი შვილის ყოლას

აპირებს 3,56%. ორის – 5,66%; სამის – 3,1%; ოთხის კი – 0,82%. ხოლო იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვისაც არ აქვს დაგეგმილი კიდევ რამდენ შვილს იყოლიებს და ეს საქმე ღმერთისთვის აქვს მინდობილი შეადგენს 61,7%, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. მართლმადიდებელ მორწმუნეებში ამ მაჩვენებლის მაღალი პროცენტით გამოხატვა მოწმობს მათ რელიგიურ მსოფლმხედველობაზე. თუ დავუშვებთ, რომ ღმერთი ერთ ბავშვს მისცემს, ბავშვთა სასურველი საშუალო რიცხვი იქნება 0,89 ბავშვი, ხოლო თუ ღმერთი ორ ბავშვს მისცემს, ბავშვთა საშუალო რიცხვი იქნება 1,51 ბავშვი. სამი ბავშვის შემთხვევაში კი _2,12 ბავშვი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის შვილი მნიშვნელოვანი ფასეულობაა. ეს სარწმუნოება ქადაგებს სიყვარულს და ამიტომ მისთვის დაუშვებელია კაცის კვლა. ბავშვის ჩანასახშივე მოშორებაც მკვლელობად ითვლება. მართლმადიდებლური ეკლესია თავის მრევლს უკრძალავს აბორტის გაკეთებას. “იმის თქმა, რომ აბორტი შესაძლებელია გაკეთდეს რაღაც მომენტში მანამადე, სანამ ჩანასახი უკვე ხილულად მიიღებს ბავშვის სახეს, ასევე არ არის მდგომარეობიდან გამოსავალი, ყოველ შემთხვევაში მორწმუნეთათვის. გვაქვს კი უფლება ვთქვათ, რომ როდესაც ღვთისმშობელს ჩაესახა ქრისტე მაცხოვარი, რაღაც მომენტამდე მე-14, მე-18, 28-ე კვირამდე ის არ იყო ადამიანი და არ იყო დაბადებული ღმერთი? არა, ჩასახვის მომენტშივე ბავშვის ჩანასახი უკვე ადამიანია, მისი განადგურება ადამიანის მკვლელობაა”.[96] ყველა ადამიანი ცოდვილია, მათ შორის მორწმუნეც. მაგრამ ყველანაირი ცოდვის გამოსწორება შეუძლებელია. ბოროტება რომელიც გავუკეთეთ შეიძლება გამოვასწოროთ, მაგრამ ცოცხალი არსებისათვის სიცოცხლის წართმევა გამოუსწორებელი დანაკარგია. ღვთის წინაშე, ყოველი ჩასახული არსება ცოცხალი არსებაა; საჭიროა მისთვის ლოცვა და სინანული სიცოცხლის ბოლომდე იმის გამო, რომ

---

96 მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, სიყვარულის საიდუმლო, საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე, თბ. 2000 წ., გვ. 55.

ცოცხალ არსებას მოესწრაფა სიცოცხლე ქარაფშუტობის, ბიწიერების, რაღაც სხეულებრივი თუ სულიერი გაუმაძღრობის გამო”.[97]

ზემოთ, როცა ვსაუბრობდით, ბავშვთა საშუალო მოსალოდნელ რიცხვზე, აღვნიშნეთ რომ დემოგრაფების მიერ ეს მაჩვენებელი განიხილება როგორც პროგნოზირებისათვის ყველაზე მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის სიდიდე. გამოკვლევით მოპოვებული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხული მორწმუნეების 75 პროცენტში მოსალოდნელია კიდევ უფრო გაიზარდოს შვილების რაოდენობა. 3 და მეტი შვილის ყოლა სურს რესპოდენტების 4% ე. ი. ამ სოციალურ ჯგუფში მრავალშვილიანი ოჯახები იზრდება, რაც გამოწვეული იქნება იმ აღმსარებლობით, რომლებსაც ისინი თავის თავს აკუთვნებენ. რომლის მსოფლმხედველობასაც იზიარებენ და დოგმებს იცავენ. ჩვენი გამოკვლევის მიხედვით მოსალოდნელი ბავშვთა საშუალო რაოდენობა იმ რესპონდენტთა ოჯახებში, რომლებსაც მოძღვარი ჰყავთ იქნება 3,19 ბავშვი ხოლო 2,34 ბავშვი, იმ რესპონდენტების ოჯახებში, რომლებსაც მოძღვარი არ ჰყავთ. ვფიქრობ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება ხელს უწყობს მორწმუნეთა ოჯახში შვილთა რაოდენობის ზრდას.

დემოგრაფიული ქცევა მარტოოდენ შეხედულებებით როდი ყალიბდება. მოსალოდნელი და ფაქტიური ბავშვთა რიცხვი უწინარეს ყოვლისა ცხოვრების კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული. ამიტომ უნდა გაირკვეს ის მიზეზებიც, რომლებიც ხელს უშლიან ქალს იყოლიოს იმდენი ბავშვი, რამდენიც მას სურს. შეკითხვას _ “ რამ შეიძლება შეგიშალოთ ხელი სასურველი რაოდენობის შვილების ყოლაში?” რესპონდენტების უმეტესობამ (41, 89%) უპასუხა _ “ჩემმა ჯნმრთელობამ”. ამ მაჩვენებელს მეათედებით ჩამორჩება ეკონომიური მდგომარეობა (41,3%), მათთან შედარებით ძალიან მცირეა სოციალური მდგომარეობა (8,93%) და “სხვა”_ 7,8%.

---

[97] იქვე, გვ. 56.

როგორც კვლევის ანალიზიდან გახდა ნათელი მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახებში მოსალოდნელ შვილთა რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდას ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამოსწორება. ე. ი. ქვეყნის და აქედან გამომდინარე მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებით შევძლებთ მივუახლოვოთ სასურველი და ფაქტიური ბავშვთა რაოდენობა და შობადობაც ავამაღლოთ. მით უფრო რომ ჩვენი რესპონდენტების მხოლოდ 17,97%_მა შეაფასა თავისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა დადებითად. მათ შორის 1,41%_მა აღნიშნა რომ "ძალიან კარგია", ხოლო 16,56%_მა კარგია. საშუალოდ შეაფასა 40,02%_მა, ხოლო უარყოფითად 42,01%_მა. მათ შორის 34,36_ცუდი, 7,65 ძალიან ცუდი. აქვე მინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დემოგრაფიულ ლიტერატურაში აუცილებელ ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ მაღალი განათლებისა და მაღალი ფულადი შემოსავლების მქონე ოჯახებში შობადობა დაბალია.[98] პროფ. ლეო ჩიქავა წერს: "მატერიალურად შეძლებულ ოჯახებში ბავშვების რიცხოვნობა შედარებით მცირეა არა იმიტომ, რომ მას ხელს უშლის სიმდიდრე, არამედ იმიტომ, რომ ასეთ პირობებში წარმოიქმნება დემოგრაფიულ პროცესებზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა მთელი კომპლექსი.

სხვა თანაბარ პირობებში, მატერიალური კეთილდღეობის ზრდა არა მარტო არ უშლის ხელს მოსახლეობის აღწარმოებას, არამედ პირიქით, არაპირდაპირი გზით ხელს უწყობს მას _დაწყებული რეპროდუქციული ორიენტაციის ფორმირებით და დამთავრებული ბავშვთა სასურველი რაოდენობის გაჩენით, მისი მოვლა_პატრონობით, ფიზიკურად ჯანსაღი და გონებრივად მაღალინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებით. თუმცა არ შეიძლება ამ პრობლემაზე ერთდროულად ვიმსჯელოთ ყველა ვითარებაში, ვთქვათ საქართველოსა და შვედეთის მიმართ, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იქ მართლაც ძნელი შესამჩნევია იმ ფაქტორთა ზემოქმედება შობადობის გადიდებაზე (და

---

98 ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე , თბ. 1999 წ., გვ. 95

შეიძლება ითქვას უმეტეს შემთხვევაში არც ახდენს მასზე გავლენას) ჩვენთან კი პირიქით, ძალიან ადვილი დასანახია, რამდენადაც ბავშვების სასურველ რაოდენობას მოსალოდნელი რაოდენობა ძირითადად სწორედ ამ ფაქტორთა გამო ჩამორჩება (განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში _ 90_იან წლებში), ე. ი. ეშინია თითოეულ ოჯახს შესძლებს თუ არა სასურველი რაოდენობის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას".[99]

ამრიგად, ქართველ მართლმადიდებელთა რეპროდუქციული ორიენტაციები, რომელიც ოჯახში ბავშვთა იდეალური რაოდენობისა და ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობის მაჩვენებლებით გამოიხატება, საქართველოში თაობათა მარტივ ან გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს. ამავე დროს იმ მორწმუნე რესპონდენტების შესაბამისი მაჩვენებლები, რომლებსაც მოძღვარი ჰყავთ უფრო მაღალია და შეიძლება ითქვას თაობათა გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფენ.

§6 მართმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარებისადმი

მეცნიერ-დემოგრაფთა აზრით საქართველო განეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელთაც (თუმცა შორეულ მომავალში) თავიანთი გენოფონდის გადაშენების საშიშროება ემუქრებათ. როგორც პროფ. ლ. ჩიქავა აღნიშნავს, ეს ნათლად ჩანს მისი დღევანდელი მწვავე დემოგრაფიული ვითარებიდან, მოსახლეობის აღწარმოების მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ტენდენცენდიებიდან. მისი ძირითადი მახასიათებლებია შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ

---

[99] ლ. ჩიქავა, დემოგრაფიული პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხისათვის. სამეცნიერო სესია თემაზე: "ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო რეგულირების თავისებურებანი, მექანიზმი საბაზრო ურთიერთობების გადასვლის პერიოდში" მოხსენებათა თეზისები თბ. 1994 წ., გვ. 16_17.

ბავშვთა მოკვდაობის) ზრდა და, ყოველწიურად გარდაცვლილთა რიცხოვნობის გადამატება დაბადებულთა რიცხოვნობაზე, რასაც დემოგრაფიულ ენაზე დეპოპულაციას უწოდებენ და, რომელიც საქართველოში 2000 წლიდან დაიწყო. შობადობის მხრივ საქართველოზე უარესი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანას __ რუსეთს, უკრაინას, ესტონეთს, ლატვიას, ბულგარეთს.[100]

მათემატიკური მეთოდებით გაანგარიშებული პროგნოზები გვიჩვენებენ, რომ მომავალში კიდევ უფრო შემცირდება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა.[101] პროგნოზი და ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება მეტად დამაფიქრებელია. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს დროული ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც უნდა დაემყაროს დემოგრაფიული პროცესების საფუძვლიან, მეცნიერულ ანალიზს. ბუნებრივია იგი გულისხმობს ასაკობრივი, ტერიტორიული, საქმიანობის, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფების დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა გარკვევას.

დემოგრაფიულ ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ცხოვრების კონკრეტული პირობები, არამედ შეხედულებები. იმის გამო, რომ ადამიანთა შეხედულებები უაღრესად თანხვდება რეალურ დემოგრაფიულ ქცევას ხოლო შეხედულებების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენენ ის ფასეულობები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, პროფესიული თუ ასაკობრივი ჯგუფისათვისაა მნიშვნელოვანი, დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას

---

100 ლ. ჩიქავა მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში. “საქართველოს რესპუბლიკა” 2004 №29-32.

101 გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. “საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები” თბ. 2003. გვ.19.

უმნიშვნელო არაა და არც შეიძლება იყოს ცალკეულ ადამიანთა, სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფთა შეხედულებების შესწავლა. ამ მიზნით დემოგრაფიაში ფართოდაა გამოყენებული კვლევის სოციოლოგიურ მეთოდები.

აღნიშნულმა მეთოდებმა მრავალი ასპექტის შესწავლა გახადა შესაძლებელი. მისი გამოყენებით ქართველი დემოგრაფების მიერ ჩატარებულია გამოკვლევები, რომლებიც სწავლობენ, აინტერესებს და იცნობს თუ არა ქვეყნის მოსახლეობა არსებულ ვითარებას. ამგვარი კვლევები აუცილებელია, რადგან როცა ადამიანს გაცნობიერებული აქვს, რომ ესა თუ ის მდგომარეობა ცუდია, დამღუპველია, მის მომავალს გადაშენებას უქადის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის აუცილებლად აქტიურად იზრუნებს ამ მიმართებით მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ქვეყნის დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესი, შეფასება და გაუმჯობესების გზები დემოგრაფიისა და სოციოლოგის კვლევის ინსტიტუტეს თანამშრომლების მიერ შესწავლილია სტუდენტებში. აღმოჩნდა, რომ საკითხისადმი ინტერესს იჩენს გამოკითხულ სტუდენტთა 65,7%, რესპონდენტთა ერთ მესამედზე მეტს (34,3%) არ აინტერესებს ეს საკითხი, ხოლო მცირე ნაწილმა თავი აარიდა კითხვაზე პასუხის გაცემას. იმათ შორის ვისაც აინტერესებს დემოგრაფიული ვითარება, ინტერესის მაღალი ხარისხი (“ძალიან მაინტერესებს”) გამოავლინა დაახლოებით ყოველმა მეათე რესპონდენტმა.

რაც შეეხება შეფასებას, გამოკითხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი (71,6%) ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას აძლევს შეფასებას “ცუდი”, ყოველი მეოთხე _ “ძალიან ცუდი”. მხოლოდ მცირე ნაწილი (5,4%) აფასებს “ძალიან კარგად” ან “კარგად”. რესპონდენტთა 53,6% იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ ოჯახში ორზე მეტი შვილის ყოლა გააუმჯობესებს საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებას. ამ საკითხზე სტუდენტი ვაჟებისა და გოგონების პოზიცია არ განსხვავდება (შესაბამისად 53,4% და 54,2%). ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყოველი მეხუთე სტუდენტი,

როგორც ვაჟი (19,5%), ისე გოგონა (18%) ამ საკითხზე საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს. გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს კი უჭირს თავისი აზრის დაფიქსირება. დამაფიქრებელია, რომ თითქმის ყოველ მეორე სტუდენტს ვერ გაუაზრებია ოჯახში ორზე მეტი შვილზე ორიენტირებული რეპროდუქციული ქცევის აუცილებლობა, ან სათანადოდ ვერ გარკვეულა ამ მიმართულებით ქვეყნის წინაშე მდგარ უმწვავეს პრობლემაში.[102]

ჩვენი ქვეყნის ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულების დადგენის მიზნით, გავარკვიოთ ისეთი საკითხები როგორიცაა: რამდენად იცნობენ ისინი ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას; როგორ აფასებენ და რისი გაკეთება რა მიაჩნიათ აუცილებლად ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის, როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის მხრიდან.

მართლმადიდებელ მრევლში სოციოლოგიური გამოკვლევით მოპოვებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ისინი საკმაოდ კარგად იცნობენ დღევანდელი საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას. მათ არც სათანადო შეფასება გასჭირვებიათ. ასე მაგალითად, რესპონდენტების ძალიან დიდმა ნაწილმა (91%) ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარება უარყოფითად შეაფასა. მათ შორის 59% მას "ძალიან მძიმე" უწოდა, ხოლო 32% - "მძიმე". რესპონდენტთა მხოლოდ 2%-მა აღნიშნა, რომ არ იცის, როგორია ის. დადებითი შეფასება "ძალიან კარგი" და "კარგი" აღნიშნა ნახევარ პროცენტზე ნაკლებმა, ხოლო დანარჩენს (6%) მიაჩნია, რომ დემოგრაფიული ვითარება საქართველოში "ნორმალურია." როგორც ვხედავთ, სტუდენტ ახალგაზრდებთან შედარებით გამოკითხულ მორწმუნეთა მიერ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების შეფასება უფრო კვალიფიციურ და ობიექტურ ხასიათს ატარებს. ჩვენი

---

102 ნ. მენაბდიშვილი, ც. გვრიტიშვილი, დემოგრაფიული ვითარება და კულტურული უწყვეეტობის საკითხი ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერესთა სისტემაში. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული II, თბ. 2004 წ., გვ. 86_87.

ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით რესპონდენტთა აზრით, აუცილებელია ხელისუფლებამ მოაგვაროს ისეთი საკითხები, როგორიცაა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა(28%): ქვეყანაში სოციალურ_ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება (20%); გადაჭრას მოსახლეობის დასაქმების პრობლემა (21%); გაზარდოს ხელფასები და პენსიები (18%); უფრო მცირე ნაწილის მიერ დასახელებულ იქნა: ახალგაზრდა ოჯახების წახალისება; ახალშობილებზე დახმარების გაცემა: ფეხმძიმე ქალების წახალისება: ადამიანის უფლებათა დაცვა; გადასახადების შემცირება; საშინაო პოლიტიკის შეცვლა; უფასო სწავლა_განათლება; მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ხელის შეწყობა და სხვა ოღონდ, მათ დაბალი პროცენტები ერგოთ, ზემოთ დასახელებულთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც რესპონდენტებმა დაასახელეს, როგორც ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით აუცილებლად მოსაგვარებელი, მეცნიერ-დემოგრაფთა მიერ არაერთგზისაა აღნიშნული, როგორც უახლოეს მომავალში უწინარესად გადასაჭრელი. რომლის გარეშეც ქვეყანაში დეპოპულაციის დონე და მისი სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები 2010 წლისათვის კატასტროფული იქნება. ეს პრობლემები მათ მიერ დაჯგუფებულია შემდეგნაირად: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, პრონატალური და დემოგრაფიული. განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეული მათგანი. პოლიტიკურის ქვეშ იგულისხმება: ერთაშორისი ურთიერთობის არაკეთილსასურველი კლიმატის წარმოქმნა და ეთნოკონფლიქტების ნეგატიური შედეგები; სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ქვეყანაში დიდი რაოდენობით არსებული ძალდატანებით მიგრანტთა პრობლემები და ა.შ. ეკონომიკურით აღინიშნება: ეკონომიკური დეპრესია; ეკონომიკური რეფორმების არათანმიმდევრულობა და ნელი ტემპი; ფინანსური დესტაბილიზაცია და საბიუჯეტო კრიზისი; მრეწველობისა და ეკონომიკის დარგების სტაგნაცია; საოჯახო ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების

სიძნელეები; კორუფციისა და კონტრაბანდის მაღალი დონე; არასრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკა; მძაფრი ენერგეტიკული კრიზისი; სოციალური შედეგების თვალსაზრისით ეკონომიკური პროგრამების არასრულფასოვნება და ა.შ.

სოციალური: არსებული სოციალური ინფრასტრუქურის მოშლა: ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმაში დაშვებული შეცდომები; სოციალური პოლიტიკის სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება; უმუშევრობა და სიღარიბის მაღალი დონე; სარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის შეუსაბამობა; სოციალური პროგრამების დაფინანსების პრობლემები; ოჯახის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ოჯახების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები; ქალთა საკითხების მოგვარების არაეფექტიანობა. პრონტალური და დემოგრაფიული: მაკრო, მეზზო და მიკრო დონეზე დემოგრაფიული ქცევის მკვეთრი ცვლილება; ფასიან სამედიცინო მომსახურებაზე გადასვლით ავადობათა ზრდა; მოსახლეობის თვითმოვლითი ფუნქციების ერთობ დაბალი დონე, განსაკუთრებით, ახალგაზრდა გოგონებში; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსების სიმწირე; ბავშვთა და მოზარდთა ადრეული რეპროდუქციული ანომალიების პროფილაქტიკისა და მკურნალობის დაბალი დონე; ქალთა უნაყოფობის დონის ზრდა; ორსული ქალებისათვის შეღავათების მოშლა; ქორწინებათა და სასურველ შვილთა ყოლის გადავადება; სოციალურ-დემოგრაფიული და პრონტალური პროგრამების მწირი დაფინანსება და ა.შ.[103]

როგორი დიდმნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს აღნიშნული პრობლემების მოგვარება, იგი თავისთავად სპონტანურად ვერ უზრუნველყოფს შობადობის იმ დონემდე გაზრდას, რომ დეპოპულაცია მარტივი, მით უფრო გაფართოებული აღწარმოებით შეიცვალოს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ყველა განხილულ

---

103 ა. სულაბერიძე, “ საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და სოციალურ—დემოგრაფიული პოლიტიკა გარდამავალ პეროიდში” ავტორეფერატი, თბ. 2003 წ., გვ. 43.

პრობლემათა მოგვარება არსებითად შობადობას გაზრდის მხოლოდ იმ ადამიანთა რეპროდუქციული ქცევით, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ პრობლემათა მოუგვარებლობის გამო თავს იკავებენ თაობათა განახლების პროცესში მონაწილეობისაგან. მაგრამ არსებობს შობადობის ამაღლების სხვა ფაქტორებიც, რომლის შედეგებიც არც თუ უმნიშვნელოა ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების შეცვლისათვის. ესაა ბავშვის ფასეულობა ე. ი. საზოგადოების, ოჯახისა და ინდივიდის დადებითი დამოკიდებულება არა საერთოდ ბავშვისადმი, არამედ ბავშვთა განსაზღვრული რაოდენობისადმი. ბავშვთა ისეთი რაოდენობისადმი, რომელიც ხელს უწყობს საშუალო და მრავალშვილიანობის გავრცელებას. ბავშვის ფასეულობა პიროვნებისა და ოჯახის ფასეულობათა ორიენტაციის ნაწილია და განსაზღვრავს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებსა და ხერხებს. იგი გამოდის სხვადასხვა რეპროდუქციული სიტუაციის შეფასებისა და რეპროდუქციული გადაწყვეტილებების კრიტერიუმად. იგი პიროვნების ნორმასთან ერთად აითვისება და განსაზღვრავს ბავშვების მოთხოვნილების შინაარს, რეპროდუქციულ მოტივაციას.[104]

როგორც აღვნიშნეთ, დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის მხოლოდ მარტივი კლავწარმოების შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რომ სამი და მეტშვილიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს. გამოკვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ მორწმუნეთა უმეტესობას ეს გააზრებული აქვს. რესპონდენტების უდიდესი ნაწილი (96,68%) თვლის, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად აუცილებელია ოჯახში სამი და მეტი შვილის ყოლა. მხოლოდ 1%-ზე ნაკლები არ იზიარებს ამ აზრს, ხოლო 2,4%-ს გაუჭირდა თავისი აზრის გამოხატვა.

---

[104] ДЭС, М. 1985 г., стр. 517.

ჯერ კიდევ ექვსი ათეული წლის წინ ამერიკელი მეცნიერები _ დემოგრაფი ფრენკ ნიუტსტეინი და სოციო-ჰიგიენისტი რეგინა სტიქსი წერდნენ, რომ “ ვერც ერთი მოსახლეობა დაბალი მოკვდაობის პირობებშიც კი ვერ შეძლებს თავის კვლავწარმოებას მრავალშვილიანი ოჯახების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის გარეშე, რათა გააწონასწორონ ქორწინებაში არმყოფები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ჰყავდეთ ერთ ან ორ შვილზე მეტი. გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ კვლავწარმოებისათვის საჭიროა, რომ ოჯახების 30%-ზე მეტს ჰყავდეს ოთხი და მეტი ბავშვი”. მრავალი წლის შემდეგ, სხვა უდიდესმა ამერიკელმა დემოგრაფმა ენსლი კოულმა თავისი ავტორიტეტული მოსაზრებებით ფაქტიურად დაადასტურა ამ გაანგარიშების სისწორე.[105] გამოკვლევის დროს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ დემოგრაფების ამ გაანგარიშებებს და გამოეთქვათ თავისი აზრი. აღმოჩნდა ,რომ მეცნიერთა გაანგარიშებებს იზიარებს რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (84,85%). ქართველთა დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად ქართულ ოჯახში საჭიროდ თვლის ოთხი შვილის ყოლას გამოკითხულთა 48,67%; ხუთს _ 16,7%; ხოლო ექვსსა და მეტს 19,45%.

ამგვარად, გამოკვლევის შედეგების ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მართლმადიდებელ მორწმუნეთა უმეტესობა თავიანთი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების შესახებ საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულნი ხოლო მათი შეფასება არის საქმეში კარგად ჩახედული ადამიანის პოზიცია. მათ კარგად აქვთ გააზრებული ის პრობლემები, რომლებიც უნდა გადაჭრას ხელისუფლებამ მწვავე დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად.

თუ ჩვენი გამოკვლევის შედეგებს შევადარებთ ზემოთ მოხსენებული გამკვლევის შედეგებს, რომელიც სტუდენტეში ჩატარდა, ცხადი გახდება, რომ მართლმადიდებელი მორწმუნეები უფრო კარგად არიან ინფორმირებულები და შეფასების დროსაც უფრო

---

105 ვ. ა. ბორისოვი, “დემოგრაფია”, თბილისი, 2001 წ., გვ.256.

რეალისტები არიან. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი (9%) არის სტუდენტი, ამიტომ სავარაუდოა, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინფორმირებულები, არადა სწორედ მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ხვალინდელი დღე. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მთავარი ყურადღება დაუთმონ სწორედ ამ მწვავე საკითხს.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა საკმაოდ დიდი ნაწილი არა მხოლოდ იცავს იმ აზრს, რომ ოჯახში ოთხი და მეტი შვილის ყოლაა აუცილებელი, არამედ თავისი რეპროდუქციული ქცევითაც ფაქტობრივად ახორციელებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას თავისი რეპროდუქციული ქცევითაც ემსახურება. ამის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ მათი დიდი ნაწილის ბავშვთა კიდევ ყოლის სურვილი, არამედ ისიც, რომ გამოკითხულ მორწმუნეთთაგან შვილების ყოლას კიდევ არ აპირებს მხოლოდ მეოთხედი. იმათ შორის, ვისაც კიდევ სურს იყოლიოს შვილი, მათი კონკრეტული რაოდენობა არა აქვთ განსაზღვრული. მათი მომავალი შვილების რიცხვი რელიგიური მრწამსითაა განპირობებული. რესპოდენტების 61,79%-მა მიუთითა, რომ კიდევ იმდენ შვილს იყოლიებს, რამდენსაც ღმერთი მისცემს.

ყოველივე ზემოთ თქული ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესი, მდგომარეობის შეფასება, გაუმჯობესების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა, მისი გამაუმჯობესებელი ქმედების განხორციელება მართმადიდებელ მორწმუნეთა შორის ისეთია, რომ საქართველოში ქართველთა გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს და თუ ქართველთა შეკვეცილ აღწარმოებას აქვს ადგილი, ეს ალბათ იმითაცაა განპირობებული, რომ ქართველთა დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელ მორწმუნეთა ცხოვრების წესით არ ცხოვრობს.

დასკვნები

ქართველთა გენოფონდის შენახვის საშიშროებამ განსაკუთრებით აქტუალური გახადა იმ სოციალური ჯგუფების გამოვლენა, რომლებიც ხასიათდებიან სამი და მეტი შვილის ყოლის მოთხოვნილებით. თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ ტექნიკურმა და სოციალურმა პროგრესმა უარყოფითად იმოქმედა მრავალშვილიანობის ფასეულობაზე, ხოლო ტექნიკური, სოციალური და საერთოდ, გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები ყველაზე ნაკლებად აისახება აღმსარებლობის ჯგეფებში, ლოგიკურია, ვივარაუდოთ საშუალო და მრავალშვილიანობის მოთხოვნილების არსებობა იმ აღმსარებლობით ჯგუფებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ქორწინების, ოჯახის და შვილიანობის ისეთი ნორმები, რომლებიც ხელს უწყობენ მრევლში დაოჯახებისა და მრავალშვილიანობისადმი ორიენტაციების ჩამოყალიბებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურობა შეიძინა მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლების დამოკიდებულების გარკვევამ ოჯახის, ქორწინების, განქორწინების, ბავშვთაშობისა და შვილიანობისადმი.

მორწმუნე ადამიანის ქცევა განსაზღვრულია რწმენით. ე.ი. სარწმუნოება უდიდეს როლს თამაშობს მორწმუნე ადამიანის ქცევაში და რა თქმა უნდა, დემოგრაფიულ ქცევაზეც. ბიბლიის, წმინდა წერილების, მოციქულთა და გამოჩენილ თეოლოგთა შეხედულებები ქორწინების, ოჯახის, განქორწინების, ცოლ-ქმრული ერთგულების და ოჯახური ურთიერთობების შესახებ ისეთია, რომ მართლმადიდებელი მორწმუნის დემოგრაფიული ორიენტაციების მიმართულება და შინაარსი, მხოლოდ გამორჩეული როლის შესრულებას განაპირობებს თაობათა აღწარმოების პროცესში.

აღმსარებლობის მიმდევრები ერთგულების მიხედვით ერთგვაროვანი არაა. მათი ნაწილი თუ დიდი ერთგულებით ხასიათდება, ნაწილის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. ამდენად, საინტერესოა ქართველი მართლმადიდებლების ერთგულება, ე.ი. იმ მოთხოვნების შესაბამისად ცხოვრება, რასაც ბიბლია, მოციქულთა და გამოჩენილ თეოლოგთა შრომები გადმოგვცემენ.

სოციო-დემოგრაფიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხული ერთობლიობის (უმეტესობა) უმრავლესობა იცავს წმინდა წერილების მოთხოვნებს, ქორწინებით პარტნიორს ირჩევს სიყვარულისა და ხანგრძლივი ნაცნობობის საფუძველზე, ქორწინების წინააღმდეგია სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთან და წმინდათაწმინდათ მიაჩნია ცოლქმრული ერთგულება, ოჯახში მეუღლეთა შორის ურთიერთობის დამყარებას ახდენს მეგობრობის, სიყვარულის,

ურთიერთპატივისცემის და ერთგულების ნიადაგზე, რაც ხელს უწყობს იმას, რომ ისინი ავლენენ მიმტევებლობას დაძაბულობისა და უსიამოვნების გამო, რომელსაც იწვევს ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახისადმი მოუცლელობა, ბავშვთა აღზრდა და სხვა. ყოველივე ამით გამოკვლეულთა უმრავლესობის ოჯახში ისეთი ფსიქო-სოციალური ატმოსფეროა, რომელიც ხელს უყწობს სასურველი დემოგრაფიული ქცევისა და რეპროდუქციული ორიენტაციების რეალიზაციას.

ტრადიციულად, ქრისტიანობა ქორწინებას განიხილავს, როგორც ღმერთის მიერ დადგენილს. ქრისტიანული ზნეობა შეუთავსებელია ოჯახის დაშლასთან საკმაო საფუძვლის გარეშე. ცოლ-ქმრული კავშირის დაშლის საპატიო მიზეზი მეუღლის სიკვდილია, _"რჯულით შეუღლებულებს მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებს".

დემოგრაფიას განქორწინება და ხელახალი ქორწინება აინტერესებს ოჯახის რეპროდუქციულ ქცევასთან კავშირში. თუ არ არის მყარი ოჯახი, დიდია იმის ალბათობა, რომ არ განხორციელდეს სასურველი ბავშვთაშობა. ხელახალი ქორწინება კი საინტერესოა რეპროდუქციულ პერიოდში, როგორც თაობათა განახლების პროცესში მონაწილე სუბიექტების გაფართოების მაუწყებელი. რჯულის კანონით მეორე ქორწინება სიძვისაგან მკურნალობაა, მესამე ქორწინება _ უწმინდურობა, მაგრამ სიძვაზე უკეთესი. მრავალქორწილიანობა კი სიძვაზე უარესია. მორწმუნეთა მესამედს (33,3%) უარყოფითი პოზიცია უკავია ხელახალი ქორწინებისადმი, მეოთხედზე ნაკლებს (23,5%) _ დადებითი, ამასთან იგი დასაშვებია მხოლოდ მამაკაცებისთვის (3,8%) და იმ ქალებისთვის, რომლებსაც პირველ ქორწინებაში შვილი არ ჰყავთ (11,9%). ერთი სიტყვით, მორწმუნეთა დამოკიდებულება განქორწინებისადმი, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ, დადებითია, ხელახალი ქორწინებისადმი კი უფრო უარყოფითი პოზიცია აღინიშნება, ვიდრე დადებითი. დიდია იმათი ხვედრითი წილი, ვისაც ამ საკითხზე პოზიციის გამოხატვა გაუჭირდათ. რესპონდენტებს შორის კი მცირე ნაწილი (1,8%) ან თვითონ იყო მეორე ქორწინებაში, ან მეუღლე (3,8%).

ადამიანის დემოგრაფიული ქცევა მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია. იგი გამომუშავდება ეროვნული ოჯახური ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, ცხოვრების კონკრეტული პირობების, განათლების დონისა და იმ სოციალური გარემოს მეშვეობით, რომელშიც ადამიანებს ცხოვრება უხდებათ.

ადამიანთა რეპროდუქციულ ორიენტაციებზე, შვილიანობაზე, საერთოდ ცხოვრების წესზე აღმსარებლობის მოთხოვნების, იდეალების, ქცევის ნორმებისა და წესების გავლენა დამოკიდებულია აღმსარებლობისადმი დამოკიდებულებაზე. მორწმუნისათვის ეს გავლენა მაქსიმალურია, ე.ი. აღმსარებლობის მოთხოვნათა იდენტური, ან თითქმის იდენტურია, ხოლო არამორწმუნისათვის _ მინიმალური ე.ი. თითქმის არაიდენტური. რჯულის კანონით, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს, ქალები, რომლებიც წამლისა თუ სხვა საშუალებით იცილებენ შვილებს, მკვლელებად არიან მიჩნეული და ისევე ისჯებიან, როგორც მკვლელები. კაცისკვლის სასჯელი ედება წინასწარ განზრახვით მუცელში ჩვილის მომკვლელს. “ჩასახვის მომენტშივე, აღნიშნავს მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, ბავშვის ჩანასახი უკვე ადამიანია და მისი განადგურება ადამიანის მკვლელობაა... ეკლესიის თვალთახედვით, სახარების თვალთახედვით ან უბრალოდ, საღად მოაზროვნე კაცობრიობის თვალთახედვით ეს დანაშაულია”. (მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, სიყვარულის საიდუმლო; თბ. 2000 წ. გვ. 55)

იმისათვის, რომ ნათელი ყოფილიყო აღმსარებლობის როლი შვილიანობაში რესპონდენტები დაჯგუფდა სამ ჯგუფად : ვინც დიდი ხანია ეკლესიურად ცხოვრობს, ვინც არ ცხოვრობს ეკლესიურად და ვინც ახლა იწყებს ეკლესიურ ცხოვრებას. შვილთა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით ეს ჯგუფები განსხვავდებიან. ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებში ყველაზე მეტადაა გავრცელებული საშულო შვილიანი ოჯახები, მათ ჩამორჩებიან ის რესპონდენტები, რომლებიც ახლა იწყებენ ეკლესიურ ცხოვრებას და ყველაზე მცირეა საშუალო შვილიანი ოჯახები არა ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებში.

ეს სამი ჯგუფი განსხვავდება, აგრეთვე, ოჯახის დაგეგმვითაც ეკლესიურად მცხოვრებთა 96% ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე საშუალებებს არ იყენებს, ე.ი. ოჯახში ბავშვთაშობის დაგეგმვა ღმერთს მიანდო, ხოლო მცირეა (4,01%) იმათი რიცხვი, ვინც ბავშვთაშობის რეგულირებისათვის იყენებს კონტრაცეფციებსა და აბორტს. არაეკლესიურად მცხოვრებთა შორის კონტრაცეფციას 19,2% მიმართავს, აბორტს _ 9,62%, ხოლო ოჯახში ბავშვთაშობას არ გეგმავს 71,1%. უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ახალი დაწყებული აქვთ ეკლესიური ცხოვრება.

ამრიგად, შვილთა ფაქტობრივი რაოდენობით და ოჯახში ბავშვთაშობის დაგეგმვით ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტები განსხვავდებიან არაეკლესიურად

მცხოვრებლებისაგან. ეს განსხვავება ისეთია, რომ მათ გამორჩეულ ადგილს აძლევს როგორც ეკლესიურად მცხოვრებთა თაობათა აღწარმოების, ისე საერთოდ ქართველების ფიზიკური უწყვეტობის საქმეში.

ქართველ მართლმადიდებელთა რეპროდუქციული ორიენტაციები, რომელიც ოჯახში ბავშვთა იდეალური რაოდენობისა და ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობის მაჩვენებლებით გამოიხატება, ისეთია, რომ მათი ფაქტობრივი რეალიზაციის შემთხვევაში, საქართველოში თაობათა მარტივ ან გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს. ამავე დროს, აღნიშნული მაჩვენებლები უფრო მაღალი აქვთ იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ჰყავთ მოძღვარი. მათ რეალიზაციის ხელისშემშლელი ფაქტორების მოხსნის შემთხვევაში (ჯანმრთელობის მდგომარეობა, მატერიალური მდგომარეობა) ისინი აუცილებლად უზრუნველყოფენ გაფართოებულ აღწარმოებას.

ქვეყნის დღევანდელი დემოგრაფიული ვითარებისადმი ქართველ მართმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულების დადგენის მიზნით ისეთი ასპექტების გარკვევამ, როგორიცაა ქვეყნის დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესი, არსებული მდგომარეობის შეფასება და გაუმჯობესებისათვის საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების ქონა, გვიჩვენა, რომ მართლმადიდებელ მორწმუნეთა უმეტესობა თავიანთი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების შესახებ საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული, ხოლო მათი შეფასება არის საქმეში კარგად ჩახედული ადამიანის პოზიცია. მათ კარგად აქვთ გააზრებული ის პრობლემები, რომლებზეც ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა საკმაოდ დიდი ნაწილი არა მხოლოდ იცავს იმ აზრს, რომ ოჯახში ოთხი და მეტი შვილის ყოლაა აუცილებელი, არამედ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას თავისი რეპროდუქციული ქცევითაც ემსახურება. ამის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ მათი დიდი ნაწილის ბავშვთა ყოლის სურვილი, არამედ ისიც, რომ გამოკითხულ მორწმუნეთა შვილების კონკრეტულ რაოდენობას განსაზღვრავს არა მეუღლის სურვილი და ნება, არამედ რელიგიური მრწამსი, კერძოდ, რესპონდენტთა 61,8%-ის აზრი: “ კიდევ იმდენ შვილს იყოლიებს, რამდენსაც ღმერთი მისცემს”.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესი, მდგომარეობის შეფასება, გაუმჯობესების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა, მისი

გამაუმჯობესებელ ქმედებათა განხორციელება მართმადიდებელ მორწმუნეთა შორის ისეთია, რომ საქართველოში ქართველთა გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს და თუ ქართველების შეკვეცილ აღწარმოებას აქვს ადგილი, ეს იმის შედეგიცაა, რომ ქართველების დიდი უმრავლესობა არ ცხოვრობს მართლმადიდებელ მორწმუნეთა ცხოვრების წესით.

მონაცემთა ცხრილები

დაოჯახებული ბრძანდებით თუ არა?

ცხრილი №1

პასუხი	აბსოლუტური მონაცემები	%
	1500	100
კი	1294	86
არა	206	14

გყავთ თუ არა მოძღვარი?

ცხრილი №2

პასუხი	Aაბსოლუტური მონაცემები	%
	1500	
კი	1210	81
არა	290	19

ინახავთ თუ არა მარხვას?

ცხრილი №3

პასუხი	აბსოლუტური მონაცემები	%
	1500	
ყოველთვის	775	52
ხშირად	388	26
იშვიათად	90	6
არ ვინახავ	247	16

ესწრებით თუ არა წირვა-ლოცვებს?

ცხრილი №4

პასუხი	აბსოლუტური მონაცემები	%
	1484	100
ყოველთვის	409	27,6

ხშირად	735	49,5
იშვიათად	188	12,7
არ ვესწრები	152	10,2

ცხრილი №5

რამდენი ხანია რაც ეკლესიურ ცხოვრებას ეწევით?

პასუხი	აბსოლუტური მონაცემები	%
	1231	100
1 წელი	53	4,3
2-3 წელი	171	13,9
4-5 წელი	132	10,7
6-7 წელი	150	12,2
8-9 წელი	325	26,4
10-11 წელი	400	32,5

თქვენი ოჯახის წევრებიდან კიდევ ვინ ცხოვრობს ეკლესიურად?

ცხრილი №6

პასუხი	აბსოლუტური მონაცემები	%
მეუღლე	766	51
შვილები	710	47
ჩემი მშობლები	215	14
მეუღლის მშობლები	101	7
სხვა	66	4
ჯამი	1858	-

რამდენი შვილი გყავთ?

ცხრილი №7

პასუხი	აბსოლუტური მონაცემები	%
ერთი	190	14,3
ორი	541	41
სამი	403	30,4
ოთხი	86	6,3
ხუთი და მეტი	16	1
არცერთი	90	7
ჯამი	1326	100

რამდენი შვილი გყავთ (%-ში)

ცხრილი №8

პასუხი	დიახ,ეკლესიურად ვცხოვრობ	არა, ეკლესიურად არ ვცხოვრობ	ახლა ვიწყებ ეკლესიურ ცხოვრებას
ერთი	11,95	22,16	23,71
ორი	40,94	38,64	44,33
სამი	34,68	13,64	16,49

ოთხი	7,32	2,27	5,15
ხუთი და მეტი	1,25	1,14	-
არცერთი	3,85	22,16	10,31

გყავთ თუ არა იმდენი შვილი, რამდენის ყოლასაც ქორწინებამდე აპირებდით?

ცხრილი №9

პასუხი	დიახ,ეკლესიურად ვცხოვრობ	არა, ეკლესიურად არ ვცხოვრობ	ახლა ვიწყებ ეკლესიურ ცხოვრებას
დიახ	40,06	38,46	53,85
არა	59,94	61,54	46,15

კიდევ რამდენი შვილის ყოლა გსურთ?

ცხრილი №10

პასუხი	დიახ,ეკლესიურად ვცხოვრობ	არა, ეკლესიურად არ ვცხოვრობ	ახლა ვიწყებ ეკლესიურ ცხოვრებას
რამდენსაც ღმერთი მომცემს	63,25	18,98	44,83
არცერთი	24,63	40,15	34,48
ერთი	3,65	23,36	4,60
Oორი	5,12	11,68	6,90
სამი	2,56	4,38	9,20
ოთხი	0,79	1,46	-

თქვენს ოჯახში ხდება თუ არა ბავშვთა შობის დაგეგმვა?(%-ში)

ცხრილი №11

პასუხი	დიახ,ეკლესიურად ვცხოვრობ	არა, ეკლესიურად არ ვცხოვრობ	ახლა ვიწყებ ეკლესიურ ცხოვრებას
არა, ეს საქმე ღმერთს მივანდე	95,99	71,15	78,35
დიახ, ხდება კონტრაცეპტივების საშუალებით	2,25	19,23	12,37
დიახ,არასაურველ ბავშვს ვიცილებთ აბორტის საშუალებით	1,76	9,62	9,28

რამდენი შვილი გყავთ?(%-ში)

ცხრილი №12

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი

ერთი	12,92	22,45
ორი	41,86	34,69
სამი	33,01	15,31
ოთხი	7,17	2,55
ხუთი და მეტი	1,15	1,53
არცერთი	3,89	23,47

გყავთ თუ არა იმდენი შვილი, რამდენის ყოლასაც ქორწინებამდე აპირებდით?(%-ში)

ცხრილი №13

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
დიახ	40,98	40,70
არა	59,02	59,30

№კიდევ რამდენი შვილის ყოლა გსურთ?(%-ში)

ცხრილი №14

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
რამდენსაც ღმერთი მომცემს	61,77	22,88
არცერთი	25,09	40,52
ერთი	3,56	2,88
ორი	5,66	8,00
სამი	,10	4,58
ოთხი	,82	0,65

თქვენი აზრით რამდენი შვილის ყოლა შეიძლება ოჯახში ჩაითვალოს იდეალურად?(%-ში)

ცხრილი №15

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
ერთი	0,59	2,29
ორი	4,44	30,25
სამი	8,21	36,90
ოთხი	36,68	26,20
ხუთი	19,18	2,58
ექვსი და მეტი	30,90	1,85

რამ შეიძლება შეგიშალოთ ხელი სასურველი რაოდენობი შვილების ყოლაში? (%-ში)

ცხრილი №16

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
ჩემმა ჯანმრთელობამ	41,89	24,89

ეკონომიურმა მდგომარეობამ	41,37	55,90
სოციალურმა მდგომარეობამ	8,93	8,73
და სხვა	7,81	10,48

თქვენს ოჯახში ხდება თუ არა ბავშვთაშობის დაგეგმვა?(%-ში)

ცხრილი №17

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
არა, ეს საქმე ღმერთს მივანდე	94,77	73,03
დიახ, ხდება კონტრაცეპტივების საშუალებით	3,25	16,29
დიახ,არასაურველ ბავშვს ვიცილებთ აბორტის საშუალებით	1,99	10,67

იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომ მეუღლისადმი ერთგულება ცოლის წმიდათაწმიდა ვალია? (%-ში)

ცხრილი №18

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
დიახ	98,42	95,07
არა	0,33	1,06
ნაწილობრივ	1,00	2,28
მიჭირს პასუხის გაცემა	0,25	1,06

იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომ მეუღლისადმი ერთგულება ქმრის წმიდათაწმიდა ვალია? (%-ში)

ცხრილი №19

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
დიახ	97,18	83,27
არა	0,0,8	2,49
ნაწილობრივ	1,99	12,46
მიჭირს პასუხის გაცემა	0,75	1,78

იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომ მეუღლეები თუ ვერ შეეწყვნენ, ისინი უნდა დაშორდნენ?(%-ში)

ცხრილი №20

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
დიახ	27,59	63,21
არა	18,90	10,71
ნაწილობრივ	53,51	26,07

როგორი დამოკიდებულება გაქვთ ხელახალი ქორწინებისადმი?(%-ში)

ცხრილი №21

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
სრულიად დასაშვებად მიმაჩნია	23,53	49,10
უარყოფითი აზრის ვარ	33,33	21,15
დასაშვებია მხოლოდ მამაკაცთათვის	3,85	3,23
დასაშვებია უშვილო ქალებისათვის	11,98	7,89
მიჭირს პასუხის გაცემა	27,30	18,64

რა გამოხატავს თქვენსა და თქვენი მეუღლის ურთიერთობას? (%-ში)

ცხრილი №22

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
სიყვარული	62,18	48,95
მეგობრობა	9,14	10,04
შეჩვევა	7,50	7,95
ერთგულება	11,07	13,39
ურთიერთპატივისცემა	9,51	16,32
გულგრილობა	0,22	0,84
უპატივცემლობა	0,07	0,42
ეჭვიანობა	0,07	0,84
ჯიბრიანობა	0,15	0,84
სხვა	0,07	0,42

გაქვთ თუ არა ოჯახში კონფლიქტები?(%-ში)

ცხრილი №23

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
ყოველთვის უთანხმოება გვაქვს	0,27	2,54
ზოგჯერ გავაქვს უთანხმოება, მაგრამ მალევე ვივიწყებთ	84,46	70,56
უთანხმოებები ხშირად შეურაცხყოფამდე მიდის	0,54	2,54
ჩვენ უთანხმოება არ გვაქვს	14,54	20,81
სხავა	0,18	3,55

გთხოვთ მიუთითოთ თუ რა არის მეუღლესთან უთანხმოების მიზეზი.(%-ში)

ცხრილი №24

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
Oოჯახის ეკონომიური საკითხები	41,61	31 ,90
Oოჯახისადმი უყურადღებობა	6,69	13,50

Ოჯახისადმი მოუცლელობა	20,61	13,50
მეუღლის მშობლებთან ურთიერთობა	2,51	4,29
ჩემს მშობლებთან ურთიერთობა	1,21	2,45
ბავშვების აღზრდის საკითხი	15,88	4,29
ეჭვიანობა	1,86	4,91
ხშირი სმა	2,97	10,43
ხასიათის შეუთავსებლობა	6,22	4,91
ნარკომანია	0,09	2,45
სხვა ქალთან ურთირთობა	0,19	5,52
სხვა კაცთან ურთიერთობა	0,19	1,84

რატომ ქმნიან ადამიანები ოჯახს?(%-ში)

ცხრილი №25

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
მარტოობის შიშის გამო	2,48	6,42
მემკვიდრის გაჩენის სურვილით	4,36	7,55
ოჯახი დიდი ბედნიერებაა	84,69	63,40
იმიტომ, რომ ეს აუცილებელია	8,30	21,89
სხვა	0,17	0,75

როგორ უყურებთ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის ქორწინებას?(%-ში)

ცხრილი №26

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
დაუშვებლად მიმაჩნია	81,75	27,50
არ ვანიჭებ მნიშვნელობას	4,92	20,71
მიჭირს პასუხის გაცემა	5,42	11,79
შესაძლებელია გამონაკლისები	7,92	40,00

როგორ უყურებთ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ქორწინებას?(%-ში)

ცხრილი №27

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
არ მომწონს	49,29	19,43
არ აქვს არსებითი მნიშვნელობა	12,32	16,25
მთავარია სიყვარული	26,89	54,77
მიჭირს პასუხის გაცემა	11,49	9,54

ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ქორწინებამდე ქალს უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება?(%-ში)

ცხრილი №28

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
მთლიანად ვეთანხმები	2,00	8,39
ნაწილობრივ ვეთანხმები	1,91	11,89
არ ვეთანხმები	94,26	65,38
მიჭირს პასუხის გაცემა	1,83	14,34

შეაფასეთ თქვენი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა(%-ში)

ცხრილი №29

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
ძალიან კარგი	1,41	3,56
კარგი	16,56	16,01
საშუალო	40,02	65,84
ცუდი	34,36	11,03
ძალიან ცუდი	7,65	3,56

როგორ აფასებთ საქართველოს დღევანდელ დემოგრაფიულ ვითარებას?(%-ში)

ცხრილი №30

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
ძალიან მძიმეა	67,45	25,80
მძიმეა	28,44	45,94
ნორმალურია	2,94	19,79
კარგია	0,17	0,71
ძალიან კარგია	0,08	0,71
არ ვიცი	0,92	7,07

იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად აუცილებელია ოჯახში სამი და მეტი შვილის ყოლა?(%-ში)

ცხრილი №31

პასუხი	მყავს მოძღვარი	არ მყავს მოძრვარი
დიახ	97,00	81,09
არა	0,75	7,64
მიჭირს პასუხის გაცემა	2,25	11,27

გამოყენებული ლიტერატურის სია :

1. ბიბლია, თბ. 1989.
2. მ. ბექაია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე, ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბ. 1998.
3. ვ. ა. ბორისოვი, დემოგრაფია, თბ. 2001.
4. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ. 1973.
5. პ. გუგუშვილი, უახლესი დემოგრაფიული სიტუაციის ზოგიერთი საკითხი, “ეკონომისტი”, 1981, №4 გვ.7-14.
6. ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ. 1993.
7. ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, თბ. A1999.
8. ა. თოთაძე, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და ქვეყნის დემოგრაფიული უშიშროება, “დემოგრაფია”, 2000, №1 გვ. 21-29.
9. ლ. კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბ. 1995.
10. ვ. ლორთქიფანიძე, თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია და რეგიონული თავისებურებანი, “დემოგრაფია” №1, გვ. 11-20.
11. გ. მელაძე, დემოგრაფიული გადასვლის თეორიები, თბ. 1997.
12. გ. მელაძე, გ. წულაძე, საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები, თბ. 1997.
13. ე. მენაბდიშვილი, ახალგაზრდობის სოციალურ და კულტურულ ღირებულებათა ფორმირების საკითხები, თბ. 1989.
14. ე. მენაბდიშვილი, ქართველები ღმერთის მნიშვნელობის შესახებ. დისციპლინათაშორისო რესპუბლიკური კონფერენცია, ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა. მოხსენებათა თეზისები, თბ. 2004. გვ. 40.
15. ლ. მენაბდიშვილი, შვილიანობა ბიეთნიკურ ოჯახებში, “მიკრო-მაკრო ეკონომიკა,” 2002. 2(51), გვ. 42.

16. ლ. მენაბდიშვილი, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება ქართულ ოჯხებში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული II, თბ. 2004. გვ

17. ნ. მენაბდიშვილი, ეროვნულობა და სარწმუნოება სტუდენტ-ახალგაზრდობაში, დისციპლინათშირისი რესპუბლიკური კონფერენცია: ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა, მოხსენებათა თეზისები თბ.2004 გვ. 41.

18. ნ. მენაბდიშვილი, ლ. მენაბდიშვილი, სტუდენტთა რელიგიური ორიენტაციები, "რელიგია," თბ. 2005, №4,5,6.

19. ნ. მენაბდიშვილი, ც. გვრიტიშვილი, დემოგრაფიული ვითარება და კულტურული უწყვეტობის საკითხი ქართველი სტუდენტი_ახალგაზრდობის ინტერესთა სისტემაში, დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული II, თბ. 2004 გვ. 85-90.

20. მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, სიყვარულის საიდუმლო, თბ. 2000.

21. შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1975.

22. რჯულის კანონი (ერისკაცთათვის), ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი, ოზურგეთი, 1996.

23. ა. სულაბერიძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში, ავტორეფერატი. თბ. 2003.

24. ვ. სულაბერიძე, დეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება, ავტორეფერატი, თბ. 2004.

25. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბ. 2004.

26. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, თბ. I, 2003.

27. გ. ფირცხალავა, საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურებების შესახებ, _ "ეკონომიკა" 1993, №8-9, გვ.52-58.

28. ქრისტიანული ქორწინება, განმარტებანი წმინდა იოანე ოქროპირის ქადაგებისა, თბ. 1995.

29. მ. შელია, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების შესახებ, "ეკონომიკა" 1992, №12, გვ. 23-28.

30. ი. შჩეპანცკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ. 1997.

31. ლ. ჩიქავა, საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების სოციალურ_ეკონომიკური საფუძვლები, “ეკონომისტი”, 1990, №8, გვ. 3-12.

32. ლ. ჩიქავა, მოსახლეობის დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი თავიდან აცილების გზები, “ეკონომიკა,” 1993, №2-3, გვ. 14-21.

33. ლ. ჩიქავა, კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში : არსი, მიზეზები, დაძლევის გზები, ‘მეცნიერება” 1995, გვ. 32.

34. ლ. ჩიქავა. დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. “მაკრო-მიკრო ეკონომიკა,” 1998, №11, გვ. 26-34.

35. ლ. ჩიქავა, მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტუალური დემოგარფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული II, თბ. 2004. გვ. 5-21.

36. მ. ჩიტაშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია, ემპირიული გამოკვლევები, თბ. 1998.

37. “ცოლ_ქმრობა,” შედგენილი მღვდლის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ, ტფ. 1899.

38. გ. წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2000.

39. გ. წულაძე, გ. მელაძე, დემოგრაფიის გადასვლის შედეგი : სტაბილიზაცია თუ რეგრესი, “საქართველო,” 1998, №9, გვ. 171-179.

40. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები, თბ. 2003.

41. გ. წულაძე, გ. მელაძე, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, თბ. 1998.

42. გ. წულაძე, გ. მელაძე, დემოგრაფიული გადასვლის მაჩვენებელი და საქართველოში მცხოვრები ეროვნებების დემოგრაფიული განვითარება, “საქართველო,” 1999, №1,2, გვ. 170-179.

43. გ. წულაძე, ნ. კოპალეიშვილი, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, (1990_2000) “ეპოქა” 2001, №1, გვ. 99-117.

44. წმ. დედოფალი ალექსანდრა, ქორწინება და ოჯახი,
ზუგდიდი, 2000.

45. წყარო, ოზურგეთის მართლმადიდებელ ქრისტიანთა გამოცემა, 1994, №25.

46. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ. 2000.

47. მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები, თბ. 1994.
48. Гидденс Э, Социология, М. 1999.
49. Демографический энциклопедический словарь, М.1985.
50. Джеин Л. Томпсон, Джудит Пристли, Социология , М. 1998 .
51. Козлов В.И. Этническая демография, М. 1977.
52. Масионис Дж. Социология, М. 2004.
53. Максуд Рукая , Ислам , М.1999.
54. Форсова В. Православные семейные ценности, Соц. Исслед. 1997, №1.
55. Франк С. Духовные основы общества, №1, 1992.
56. Синельников А. Б. Социально одобряемые причины развода в прошлом и настояшем , Соц. Иссл. №2, 1992.
57. Смелзер Н. Социология, М. 1994 .
58. Социологический энциклопедический словарь, М.